# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 ივნისი, 2006 წელი.

№ 116 (5456)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

## სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ იდიოტი უწოდა „მწვანეთა პარტიის" ლიდერს გიორგი გაჩეჩილაძეს

იხ. მე-3 გვ.



რამ აღაშფოთა ხობელები?

იხ. მე-3 გვ.

მძევალი ტბაში დაახრჩვეს

იხ. მე-5 გვ.

გიორგი მეშვიდე, ფეხბურთი და მარშირება მაგნოლიების ჩრდილში

იხ. მე-2-3 გვ.

როდის მთავრდება თაფლობის თვე?

იხ. მე-16 გვ.

შეიძლება მოჰყვეს ახალი სისხლისღვრაო

იხ. მე-10 გვ.



## ჭიქა წყლისთვის ნაშვილები ბავშვები და საიდუმლოს გამჟღავნების ინტრიგები

იხ. მე-2 გვ.

## დაუსჯელი ვერავინ დაისჯა...

იხ. მე-8-9 გვ.



## ვინ ესროლა პარლამენტარს?

იხ. მე-4 გვ.



თქვენ თუ წაიკითხავდით ასე დაწერილ სხვის მოთხრობას, ბატონო გურამ?..

იხ. მე-6, მე-11 გვ.

◉ კვირის თვალსაწიერი

# გიორგი მეშვიდე, ფეხბურთი და მარშირება მაგნოლიების ჩრდილში

## ბოლმა

**უკვე იმდენი და ისე გამოწვლილვით დაიწერა სანკტ-პეტერბურგში ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრის შესახებ, ჩვენი პრეზიდენტი მართლაც ბედნიერი კაცია, გაზეთებს რომ არ კითხულობს.**

იმ შეხვედრიდან, ანუ იქ ბრიფინგზე ნათქვამიდან, ერთი განსაკუთრებით მომხვდა გულზე.

...სიტყვა ასლან აბაშიძეზე ჩამოვარდა.

პრეზიდენტმა პუტინმა, რომელიც ოსტატურად ნიღბავდა გაღიზიანებას, ბატონ მიხეილს ღიმილით, მაგრამ მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა: თავის დროზე როცა გვთხოვეთ, ხელი არ შეგვეშალა აბაშიძის რუსეთში წამოსვლისთვის, თქვენ აღგვიქვით, რომ არასდროს მოითხოვდით მის დაბრუნებას. ახლა კი მოითხოვთო!..

პუტინს, რომელიც, ვილაც-ვილაცეებისაგან განსხვავებით, საკმაოდ არის დაუფლებული დიპლომატიურ ეტიკეტს, ის აღარ უთქვამს, რა ხართ ასეთი უპირო, რომ თქვენს სიტყვას ნაბიჯზე არ უნდა ენდოს კაციო. ეს იგულისხმებოდა, ძარღვიანი რუსული გინების თანხლებით.

1400 წელს თემურ ლენგმა საქართველოს მეფეს გიორგი მეშვიდეს ელჩი გაუგზავნა და გადაჭრით მოსთხოვა, მისთვის მიეცა ერთი მაჰმადიანი მფლობელი, თემურის მტერი, რომელიც საქართველოს იყო შემოხიზნული. გიორგიმ უარი შეუთვალა, სტუმრისთვის მფარველობის სიტყვა მაქვს მიცემული და ვერ გავტეხავო. განრისხებული თემური საქართველოში შემოიჭრა (მეხუთედ!ძ და ააოხრა.

გიორგიმ მშვენივრად იცოდა, რაც ელოდა, ალბათ, სჯობდა კიდეც მეფური სიტყვა გაეტეხა, მაგრამ მეფე იყო და არ იკადრა.

ხელმძღვანელის, ლიდერის ღირსება, უპირველეს ყოვლისა, იმით იზომება, თუ რა ფასი აქვს მის სიტყვას. დასავლეთში, დიდი ბიზნესის ჯუნგლებშიც კი, ჯენტლმენური შეთანხმება დიდად ფასობს: მიცემულ კაცურ სიტყვაზე მილიონებს ანდობენ ერთმანეთს.

ეს აბაშიძე რაღა გახდა, ხო წავართვით თითქმის ყველაფერი და გავაგდეთ. რა, ბოლმა არ გვასვენებს?..

## ცხვირში რგოლი დამშვენდებოდა

**ბატონი გიორგი არველაძე დიდად ალმატებული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ენამჭევრი ორატორი და გამოზრძმედილი პოლემისტი რომ არის, ეს მშვენივრად იცის ერმა. მაგრამ ფეხბურთის თავგადაკლული ტრფიალიც თუ იყო, პირადად მე ნამდვილად არ ვიცოდი. ალბათ, არც ერმა.**



კოტ დივუარის ფეხბურთი ნაყვარება მომეტებულად.

ამიტომაც გადაიკლა ამ გაუცინარმა კაცმა თავი და კოტ დივუარის ფანებს შეუერთდა (თუ სულაც თვითონ დააფუძნა მათი კლუბიძ.

აფრიკის ეს ნამცეცა ქვეყანა, ადრე სპილოს ძვლის ნაპირი რომ ერქვა, დარწმუნებული ვარ, ამ საფეხბურთო ჩემპიონატამდე საქართველოში სულ ორიოდ კაცს თუ გაეგონა.

იმ ორიოდ კაცმაც მაშინ შეიტყო მისი არსებობა, როცა რამდენიმე თვის წინათ კოტ დივუარის საპატიო კონსული (?!ძ ერმილე თორთლაძე დააპატიმრეს (თუ არ ვცდები, ნარკოტიკებით ბარიგობის გამოძ და ახლა ორთაჭალის ციხის გისოსებიდან ადევნებს თვალს მისი საყვარელი ქვეყნის საფეხბურთო ბატალიებს (ერთი, ის გამაგებინა, საიდან მოხვდა ეს ერმილე კოტ დივუარში, რა მანქანებით მიიღო საპატიო კონსულის წოდება და მომკლა!ძ.

არადა, იმის შეტყობის სურვილიც მწვავს, როდის და როგორ განიგმირა ასე გარდარეულად კოტ დივუარის ფეხბურთელთა გულშემატკივრობით ბატონი გიორგი არველაძე, ამ გუნდის ფანკლუბში ყველაზე მეტ ლუდს რომ სვამს და ყველაზე ხმაურიანად გულშემატკივრობს, რამაც სულ გადარია ეს ისედაც ატროკებული ხალხი.

ისე, კიდევ კარგი, გვინეა-პაპუას გუნდი არ თამაშობს და მას არ გულშემატკივრობს, თორემ მოუწევდა ცხვირში რგოლის გაყრა. არადა, დამშვენდებოდა!

ნეტა, ერმილეს გამოთავისუფლებულ სკამს — კოტ დივუარის საპატიო კონსულობას ხომ არ უმიზნებს შეთავსებით? ისე, უკვე კი ლაპარაკობს ამაზე ხალხი, ხო იცი!..

## დოქსოპულო, თბილისი გიყვარს?

**ორშაბათს ტელეპროგრამა „რეაქციაში" ითქვა, გიგი უგულავას თბილისის მერად ასარჩევად ხელისუფლებას 270 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილიო.**

თუ ეს მართალია (კაცმა რომ თქვას, ვითომ რა შეუშლის ხელს, რომ მართალი იყოსძ, ოპოზიციას მოვუწოდებ: თუ თბილისი მართლა უყვარს და მისთვის კარგი უნდა, მოხსნას მერის პოსტზე თავისი შესაძლო ერთიანი კანდიდატურა (როგორც კოჭებში ეტყობა, მაინც არაფერი გამოუვა — გიგის ამ თანხის გარეშეც გაიყვანს ხელისუფლებაძ, უგულავას აუნთოს მწვანე შუქი და ამით ის 270 მილიონი არჩევნებზე ქარს გაუტანებლად შემატოს დედაქალაქის ბიუჯეტს.

ამაზე უკეთესს რას გაუკეთებენ ქალაქს!

## კარზე ბართლომე აკაკუნებს

**გახსოვთ, ალბათ, ერთი საუკუნის წინანდელი — აქეთ რომ ანტანტა იყო, იქით სამთა კავშირი აჟღარუნებდა იარაღს.**

ახლა ახალი სამთა კავშირი შეიკრა, რომლებმაც ჟღარუნი უნისონში უნდა წარმართონ, თანაც ძირითადად საქართველოს წინააღმდეგ. ოთხშაბათს სოხუმმა, ცხინვალმა და ტირასპოლმა „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების დაცვის თანამეგობრობა" დააფუძნეს და ქვეყნიერებას მოუწოდეს, მხარი დაუჭირონ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის „ცივილიზებულ არჩევანს". იქვე მოაწერეს ხელი დოკუმენტს ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც სამხედრო დახმარებასაც ითვალისწინებს.

რამ შეჰყარა მაინცდამაინც ამ დღეებში ეს სამი მეამბოხე „თანამეგობრობის" შესაკვრელად? მათ ასულდგმულებთ კრემლის მიერ აღებული კურსი სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის შესაძლო ცნობის შესახებ (ვ. პუტინი: „ყველას აქვს თვითგამორკვევის უფლება!"ძ.

ქვეყნად „ისე" არაფერი ხდება. სოხუმსა და ცხინვალს ტირასპოლი განსაკუთრებით ეჭიდებათ გულზე, ის მათთვის გზის მნათობელი ვარსკვლავია. საქმე ის არის, რომ დნესტრისპირეთს ლამის თავი ქუდში აქვს.

ამ კვირის დასაწყისში ვაშინგტონში წარადგინეს სამეცნიერო მოხსენება „მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად". იგი უცხოელ ექსპერტთა — ოქსფორდის, სტენფორდის, ჰარვარდის, კემბრიჯის უნივერსიტეტების მეცნიერთა ჯგუფმა მოამზადა.

ექსპერტები მისულან დასკვნამდე, რომ თურმე არასდროს ისტორიაში ტერიტორია, რომელზეც დღეს დნესტრისპირეთი მდებარეობს, მოლდავეთის ნაწილი არ ყოფილა: „თანამედროვე მოლდოვის რესპუბლიკის წარმოშობის და არსებობის საფუძველია მოლდოვისა და დნესტრისპირეთის ძალადობრივი შერწყმა სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, რასაც არავითარი „რეალური სამართლებრივი ბაზა" არ ჰქონია. სსრ კავშირის დაშლის დროს მოლდავეთის სსრ გაიყო ორ მემკვიდრე სახელმწიფოდ: მოლდოვად და დნესტრისპირეთად. მათ შორის ამჟამად არსებული საზღვარი სრულიად შეესაბამება ტრადიციულ ისტორიულ საზღვარს, რომელიც მათ ჰყოფდა ადრე შუასაუკუნეებიდანო.

ექსპერტები აჯამებენ: დნესტრისპირეთი შეესაბამება ქარტიებში თავმოყრილ საერთაშორისო პრაქტიკის ყველა მოთხოვნას, აქვს სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი: ჰყავს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი და საკანონმდებლო ორგანო, გამართულად მოქმედებს ხელისუფლება საკუთარი ორგანოებით, კონსტიტუციით, ვალუტით, საგადასახადო სისტემით, იურისპრუდენციითა და მოსახლეობით, რომლის რაოდენობაც აღემატება გაეროს წევრი მრავალი ქვეყნის მოსახლეობას. მთავრობა ხელმძღანელობს შეიარაღებულ ძალებს...

ასე რომ, ტირასპოლმა დღე-დღეზე შეიძლება დე იურე დამოუკიდებლობას გამოკრას ხელი, რაკიღა თავისი „ისტორიულობა" დაასაბუთებინა უცხოელ ექსპერტთა კომისიას.

მე არ ვიცი, „ისტორიულად" რამდენად სწორია დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა (ყოველ შემთხვევაში, ისტორიაში ასეთი სახელმწიფო არ მეგულებაძ. რომც არ იყოს, დღეს „ისტორიული დოკუმენტების" შოვნა ისეთ გამოქექილ ხალხს, როგორნიც უხვად არიან სოხუმსა და ცხინვალში და მათ მეგობარ ფალსიფიკატორებს კავკასიის გადაღმა (განსაკუთრებით — მოსკოვშიძ, სულაც არ გაუჭირდება. ჰოდა, იქნებ შორს არ არის დღე, როცა საერთაშორისო ექსპერტები დადებენ „დასაბუთებულ" ცნობას, რომ ქართველებს სტალინ-ბერიამდე არასოდეს უცხოვრიათ აფხაზეთში, აფხაზეთი კი არ იყო საქართველოს ნაწილი, საქართველო იყო აფხაზეთის ნაწილიო, „სამხრეთ ოსეთი" ტერიტორიულად არასდროს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, ის კი არა, 1774 წლიდან სულაც რუსეთის ნაწილია ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად, ტკბილად და ბედნიერადო.

**მაგრამ** მანამდე სხვა ამოცანებიც აქვთ.

აფხაზეთი, მაგალითად, ახალი ეთნიკური წმენდისთვის ემზადება.

ამჯერად სომხები უსხედან სამიზნეზე.

ახლახან სოხუმსა და „მის მიმდებარედ" ყველა აფხაზურმა ოჯახმა მიიღო ასეთი პროკლამაცია:

**АбХАЗЦЫ, ОПОМНИТЕСЬ!**

**Мы пролили много крови, отвоевали нашу землю.**

**Сеичась нашу Родину начали заселять полчиша Вонючих. Они как таракани, как саранча повсюду.**

იხ. მე-3 გვ.

◉ შემობრუნებას პირი არ უჩანს

# რისი იმედი აქვთ „უღიარებელი სამიტის" ლიდერებს?

**ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში თუ შემობრუნება არ დაიწყება, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაუარესების ტემპი მაინც შეჩერდება. სააკაშვილმა პირდაპირ განუცხადა პუტინს, ჩვენი ტერიტორიების ერთ გოჯსაც არავის დავუთმობთო, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთი არც ცხინვალის რეგიონში და არც აფხაზეთში, ჯერჯერობით, დათმობას არ აპირებს.**

პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა ნართაულად თქვა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაწყვეტა იქ მცხოვრები ხალხების სურვილზეა დამოკიდებული. ეს იგივეა, რასაც ლავროვი ხშირად აცხადებს, რომ ხალხებს თვითგამორკვევის უფლება რეფერენდუმის ჩატარებით უნდა მიეცეთ. მაშინ, როდესაც ამ რეგიონებიდან ქართული მოსახლეობა გამოყრილია, ცხადია, რეფერენდუმით ჩვენ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა სწორი პოზიციით პუტინს განუცხადა, რომ ჯერ ქართველი დევნილები უნდა დაბრუნდნენ სახლებში — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, სეპარატისტული ხელისუფლების პირობებში რეფერენდუმის ჩატარება დაუშვებელია, რომ საქართველოს ტერიტორიები ანექსირებულია.

რეფერენდუმზე ფიქრი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მისი წინაპირობა დევნილთა უპირობო და სრული დაბრუნება იქნება, — მიაჩნიათ საქართველოს პარლამენტში.

**გურამ ვახტანგაშვილი, ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი:** „დააბრუნონ ეს 300 000 ადამიანი აფხაზეთში და მერე გინდა რეფერენდუმი ჩაატარონ და გინდა გამოკითხვა. დარწმუნებული ვარ, რომ დაბრუნებული დევნილები იტყვიან და შედეგი იქნება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. რაც შეეხება ცხინვალს, ოსი სეპარატისტები იძახიან, რუსეთის მოქალაქეები ვართო. თუ რუსეთის მოქალაქეები არიან, რუსეთში ჩაატარონ რეფერენდუმი".

პუტინის განცხადება, რომ რუსეთის პოზიცია ტერიტორიული საკითხების მოგვარებაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ხალხების ინტერესებს, მათი აზრის გათვალისწინებას ეფუძნება, სიხარულით მიიღეს აფხაზეთის, ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერებმა.

მოგეხსენებათ, სერგეი ბაღაფშმა, ედუარდ კოკოითმა და იგორ სმირნოვმა სოხუმში გამართულ შეხვედრაზე ხელი მოაწერეს დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ამიერიდან სამი რესპუბლიკა შეეცდება საქართველოსა და მოლდოვოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად იბრძოლოს. „არაღიარებული სამიტის" ლიდერები აღნიშნავენ, რომ არც ერთი რესპუბლიკა არ აპირებს თავისი ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაშვებას, რომლებსაც ისინი მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად მიიჩნევენ, თუმცა, თუ ეს მოხდა, მაშინ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი შექმნიან საკუთარ „აფხაზურ-ოსურ-დნესტრისპირულ სამშვიდობო ძალებს".

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტი ივლისში სამშვიდობოებთან დაკავშირებით, დადგენილების მიღებას აპირებს. ექსპერტთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ჩვენი პარლამენტარები შეწყვეტენ ლაპარაკს საქართველოდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე და ეს საკითხი ნელ-ნელა მიჩუმათდება, რადგან პუტინი სააკაშვილს სამშვიდობოების გაყვანის პირობას ნამდვილად არ მისცემდა.

**მზია გელენავა**

◉ სხვისი შვილები

# ჭიქა წყლისთვის ნაშვილები ბავშვები და საიდუმლოს გამჟღავნების ინტრიგები

**შვილად აყვანის პროცესის მოსაწესრიგებლად და მოქნილი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტმა შეიმუშავა კანონპროექტი „შვილად აყვანის შესახებ". ყველამ ვიცით, რომ არსებული კანონი ამ პროცესს ვერ არეგულირებს, რის გამოც ბავშვების გაშვილება კორუფციის წყაროდ არის ქცეული. კანონპროექტის ინიციატორები ირწმუნებიან, რომ ახალი კანონის მიღების შემდეგ პროცესი გამჭვირვალე გახდება და „ფულის საკეთებელი ხვრელები" არ დარჩება.**

კანონპროექტი შვილად აყვანის საკითხზე პასუხისმგებელ ორგანოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცხადებს. ბავშვის შვილად აყვანა შეეძლება ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელსაც ჩამორთმეული არა აქვს მშობლის უფლება; ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უშლის ხელს, ჯეროვნად შეასრულოს მშობლის უფლება; არ არის ნასამართლევი ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი განზრახ დანაშაულისათვის და რომლის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე მეტია. ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, სადაც გუშინ განიხილეს აღნიშნული კანონპროექტი. მთლიანობაში, ადამიანის უფლებათა დამცველები ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივას იწონებენ, მაგრამ რამდენიმე პრინციპულ შენიშვნას გამოთქვამენ. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირი წესით გაშვილებას ეხება.

საერთაშორისო ორგანიზაციები უშუალოდ დირექტივებს არავის უგზავნიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ პირდაპირი წესით გაშვილების თავიდან არიდება სჯობს, რაკი ასეთ შემთხვევაში კონტროლის მექანიზმები სუსტია. ეს მოსაზრება გამოითქვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტშიც, მაგრამ კანონპროექტის ინიციატორები ასეთი შეზღუდვის დაწესებას გამართლებულად არ მიიჩნევენ. რაც შეეხება საზღვარგარეთ პირდაპირი წესით გაშვილებას, ეს მხოლოდ ნათესავებს შეეძლებათ.

— თუ ერთი და, ვთქვათ, შვეიცარიაში ცხოვრობს და მატერიალურად უზრუნველყოფილია, მეორე კი წვრილშვილიანია, საქართველოში ცხოვრობს და უჭირს, მას ვერ ავუკრძალავთ, ერთი შვილი დასთან გაამგზავროს და ამით გაშვილებულ ბავშვს ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას, — ამბობენ ჯანდაცვის კომიტეტის წევრები.

მთავარი, რასაც ადამიანის უფლებათა დამცველნი ეწინააღმდეგებიან, არის შვილად აყვანის საიდუმლო. ამ პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია, თავის ხელთ არსებული ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახოს. გამშვილებლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება, გამოქვეყნება ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამჟღავნება. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრების აზრით, უმჯობესია, მშვილებელმა გააცნოს ბავშვს მისი წარმომავლობა, რათა ამით აიცილოს სტრესი, რომელიც გარეშე პირთა მიერ ბავშვისთვის ამ საიდუმლოს გამჟღავნებას მოჰყვება.

— ჩვენთან ბავშვი სათავისოდ აჰყავთ, იმისთვის, რომ სიბერეში ჭიქა წყლის მიმწოდებელი ჰყავდეთ და ყველას ავიწყდება, რომ ბავშვი თავისთავადი ღირებულებაა. მისი უფლებები დაცული უნდა იყოს, სტრესი უნდა ავარიდოთ. ბავშვს უფლება აქვს, ადრეულ ასაკშივე იცოდეს თავისი წარმომავლობა, — აღნიშნა თემურ ნერგაძემ. მას ნაზი არონიაც ეთანხმება. ამდენად, ამ საკითხზე ჯანდაცვის კომიტეტს ფიქრი და საუკეთესო გამოსავლის მოძებნა მოუწევს. რაც მთავარია, კანონმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ერთ-ერთი მთავარი უფლების რეალიზებას — პატარები არა ბავშვთა სახლებში, არამედ ოჯახურ გარემოში აღიზარდონ.

**რუსუდან გახარია**

◎ კვირის თვალსაწიერი

# გიორგი მეშვიდე, ფეხბურთი და მარშირება მაგნოლიების ჩრდილში

(მეორე გვერდიდან)

Скоро на нашей прекрасной земле останутся одни армяне.

Братья, пора обьединится против этой чумы.

Мы призываем:

Не покупайте у них товари.

Не продовайте им землю и дома.

Не выдаваите своих дочерей замуж за этих свиней.

Создадим им невыносимые условя.

Дадим достойный отпор новому врагу!!!

**აფხაზებო, გამოფხიზლდით! ჩვენ ბევრი სისხლი დავღვარეთ, ბრძოლით დავიბრუნეთ ჩვენი მიწა. ამჟამად ჩვენს სამშობლოში დასახლება დაიწყო მჭრალთა ურდომ. ისინი ყველაფერს მოდებენ, როგორც ტარაკანები, როგორც კალია. მალე ჩვენს ულამაზეს მიწაზე მხოლოდ სომხები დარჩებიან. ძმებო, დროა გავერთიანდეთ ამ ჭირის წინააღმდეგ. ჩვენ მოგიწოდებთ: არ იყიდოთ მათგან საქონელი, არ მიჰყიდოთ მათ მიწა და სახლები. ამ ღორებს ცოლად არ გააყოლოთ თქვენი ქალიშვილები. შევუქმნათ მათ აუტანელი პირობები.**

**საკადრისი პასუხი გავცეთ ახალ მტერს!!!**

ჯერ ეს ვთქვათ: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

რაც აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა ქართველებს დღე დაგვაწიეს, რატომ უარესი არ ეკუთვნით. ბაგრამიანის სახელობის ფორმირებაში ბევრად უფრო სასტიკად, დაუნდობლად და მეტწილად იქცეოდნენ, ვიდრე ჩეჩნებისა და თვით აფხაზებისა. ამით უმტკიცებდნენ ერთგულებას.

ვერ გათვალეს, რომ აფხაზებმა, როგორმაც არ იგუეს სისხლით მონათესავე ათასობით წლის გვერდით მცხოვრები ქართველები, მათ – ყოვლად უცხოები და თავს კალაფოსეთული, სულ ვერ იგუებდნენ.

ჰოდა, შეიქმნება მალე იქ ახალი „ზართლოვმეს ლაში“ დაიწყოს.

მაგრამ ეს მოვლენის ერთი მხარეა.

მეორე ის, თუ რა ზნეობითი და სიძულვილით არის დაწერილი ეს პროკლამაცია.

ასე წერდნენ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ფაშისტები ებრაელებზე.

თანამედროვე მძინვარე სეპარატიზმსა და ფაშიზმს ბევრი აქვთ საერთო, უპირველეს ყოვლისა, „მტრის“ მიმართ ზოოლოგიური სიძულვილი და უფლებების (თავისუფლებისთვის ბრძოლა სხვის მოსპობას არ ნიშნავს). და თითქოს გაჩვენის, როგორ მარშირებენ სოხუმში ჰორსტ ვესელის სიმღერით: „აფსუა, აფსუა, იუბერ ალეს“...

ამიტომ იწვევს ირონიულ ღიმილს „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებების დაცვის“ სახელით სოხუმში დაფუძნებული „თანამეგობრობა“.

აქლემი და გალია?

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ გაწამაწია



# „ჰესიყლაპია სააკაშვილი“, „სეთურის ბანდა“ და ბრძოლა ტყისთვის

**გუშინდელმა მთავრობის სხდომამ ტყის 49-წლიანი იჯარით გაცემის შესახებ აღარ იმსჯელა, თუმცა მინისტრთა კაბინეტის წევრები ამ საკითხში ერთსულოვანნი იყვნენ.**

სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ იდიოტი უწოდა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელიც ტყის 49-წლიანი იჯარით გაცემას ეწინააღმდეგება: „მოიყვანეთ ექსპერტები და დავიწყოთ სერიოზული დისკუსია. ხომ არ შეიძლება ეს ყველაფერი იდიოტებისა და პოლიტიკურად ანგაჟირებული პირების რაღაც წვრილმანი ინტერესების გამო ხდებოდეს?“ – უთხრა ჟურნალისტებს კახა ბენდუქიძემ.

სახელმწიფო მინისტრი დარწმუნებულია, რაც უფრო გრძელვადიანი იქნება იჯარა, მეპატრონე მისი მოვლით უფრო დაინტრესდება. „მესაკუთრე ხეების დარგვით უნდა იყოს დაინტერესებული. ხეების გასაზრდელად კი 4-5 წელი საკმარისი არ არის და ათეული წლები სჭირდება. მესაკუთრეს განაშენიანებისთვის დიდი ხნით უნდა გადაეცეს ტყეები მართვის უფლებით“, – თქვა ბენდუქიძემ.

ამ აზრის საპირისპიროდ, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი ამტკიცებს, რომ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში საქართველოს ეკოლოგიაში განუკითხაობა დაიწყება. გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, 2000 წელს პარლამენტის მიღებული კანონით თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყისა და ტყის ფონდის მიწების პრივატიზაცია, მათთვის კატეგორიის შეცვლა და მათი იჯარით გაცემა აკრძალულია. კანონის შეცვლის შემთხვევაში კი დაიწყება ტყეების გაჩეხვა და იმ ტერიტორიაზე რესტორნები, სასტუმროები და საცხოვრებელი სახლები აშენდება.

„მწვანეთა პარტია“ ტყეების კერძო საკუთრებაში გადაცემას არ დაუშვებს და მაქსიმალურად შეეცდება მოსახლეობის მობილიზებას.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტები ენერგოობიექტების შესყიდვითაც დაინტერესდნენ. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის თქმით, ენერგოობიექტების შესყიდვით ამ ეტაპზე 6 კომპანიაა დაინტერესებული. ისინი, ძირითადად, უცხოური ენერგოკომპანიები არიან.

**სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ იდიოტი უწოდა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელიც ტყის 49-წლიანი იჯარით გაცემას ეწინააღმდეგება**

კონკურსი სამ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე და ექვს ჰესზეა გამოცხადებული. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის საწყისი ფასი 30 მილიონი დოლარით განისაზღვრა, აჭარის ენერგოკომპანიის – 5 მილიონი დოლარით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის – 2 მილიონი დოლარით.

კონკურსი გამოცხადდა, აგრეთვე, „ძევრულაჰესზე“, „აწჰესზე“, „შაორჰესზე“, „გუმათჰესის კასკადზე“, „ლაჯანურჰესზე“ და „რიონჰესზე“.

ამ 9 ენერგოობიექტის გაყიდვით საქართველოს მთავრობა 119 მილიონი დოლარის მიღებას ვარაუდობს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეზოში გამართულ აქციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ თუ ინვესტორები განაცხადებს არ გაიტანენ და მაინც შეიძენენ საპრივატიზაციოდ გამოტანილ ობიექტებს, „ლეიბორისტული პარტია“ მათ ამერიკული კომპანიის „ეი-ი-ეს თელასის“ მსგავსად აიძულებს ქვეყნის დატოვებას.

აქციის ლოზუნგი იყო „ჰესიყლაპია სააკაშვილი“.

ნათელაშვილის თქმით, ენერგოობიექტების გასხვისების შემდეგ ქვეყანაში ტარიფი კიდევ უფრო გაიზრდება: „მინდა, მივმართო ქართველ ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რა დროს კოტ დივუარის საფეხბურთო გულშემატკივრობაა. შეხედეთ, რას დაგვამსგავსა მამაძაღლმა სეთურის ბანდამ. გამოიხედეთ, გამოდით და შეკარით გალავანი საქართველოს, ჰესებისა და ამ სამინისტროს გარშემო. არ მივცეთ საშუალება, დახლზე დადონ საქართველო და თხასავით, ქათამივით და ინდაურივით გაყიდონ“...

არადა, ნელ-ნელა მაინც იყიდება!

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ გამგებლობას რა უნდა?!

# რამ აღაშფოთა ხობელები?

**ბევრმა რამემ. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.**

**ჯერ იყო და „ვარდების რევოლუციის“ ტალღამ რაიონის გამგებლად ისეთი ვინმე ამოატივტივა, ხობელებმა თავში ხელი წაიშინეს. დავით კუკავა – მაღალმთიანი სოფლის აუდიტორი, გორის ეკონომიკის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებული – ახალმა ხელისუფლებამ ხონჩით მიართვა თავკაცად ხობელებს. და ეს მაშინ, როცა ვარდების მოყვარული ნაციონალები თითქმის ყველას, ვინც ინგლისურად სხაპასხუპით არ რაკრაკებდა, სამსახურიდან ითხოვდნენ. კუკავა კი ქართულს მეგრულნარევად ფლობდა მხოლოდ. ამას რომ თავი დავანებოთ, ხობის გამგებელი განცხადებაზე რეზოლუციას ვერ ადებდა. ერთი წლის განმავლობაში თათბირი არ ჩაუტარებია, იმიტომ რომ, არ შეეძლო მისი მართვა. მოკლედ, ხობელები დაბოღმილები ამბობდნენ, მასხრად აგვიგდესო.**

სამაგიეროდ, კუკავას სხვა მარიფათი აღმოაჩნდა. ჩაჯდა თუ არა გამგებლის სავარძელში, პირადი ცხოვრების მოწყობას შეუდგა. – რითი ვარ სხვაზე ნაკლებიო და, უწინარესად, „ჯიპით“ გრიალი მოისურვა. ურჩიეს, მშიერ ქვეყანაში ძვირფასი მანქანით სიარული უხერხულიაო, მაგრამ ხელები გაასავსავა, „ჯიპი“ და მხოლოდ „ჯიპიო“... ამისთვის კი სოფელ ხორგაში უნიკალური ალოეს მეურნეობა გაანიავა – ნაწილ-ნაწილად გაყიდა და სასურველი მანქანა შეიძინა.

ნათქვამია, „მადა ჭამაში მოდისო“, და კუკავამ საკუთარ დას (ორი წლის წინათ გათხოვილს) მდიდრული მზითევი მიართვა, თან სახლი „ევროპულად“ გაურემონტა. თავად გამგებელმა „ვერსაჩეს“ და „პიერ კარდენის“ კოსტიუმებს მუსრი გაავლო... მოდურ ჰალსტუხებში 500-500 დოლარს იხდიდა და თან დღე და ღამე ლოცავდა თურმე ყულევის ტერმინალით გამდიდრებულ ხობის ბიუჯეტს, რომელიც „ჯიბეში ედო“...

კუკავას ქეიფიც ძალიან უყვარდა და მხოლოდ ძვირადღირებულ რესტორანს როდი ეტანებოდა, ხობელები ჯიხურთანაც ხშირად ხედავდნენ არყის ბოთლით ხელში.

კუკავა მისვლისთანავე დაერია წიგნიერ ხალხს, სპეციალისტებს, და გამგეობაში არაპროფესიონალებსა და სახელგატეხილებს აუნთო მწვანე შუქი. ხობელთა უკმაყოფილებამ მასმედიამდე მოაღწია და დიდი „ჭიდაობის“ შემდეგ, სწორედ ჟურნალისტების ძალდატანებით, ხელისუფლებამ კუკავა სამსახურიდან დაითხოვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ხობის გამგებელმა დევნა გამოუცხადა გამგეობის კულ-



ტურის განყოფილების გამგეს, ახალგაზრდა ქალბატონს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ადგილი სხვისთვის ეფეშქაშა. მთელი წლის დავიდარაბის შემდეგ კუკავამ საწადელს მიაღწია. როცა ნატო გოგინავა უზენაესმა სასამართლომ სამსახურში აღადგინა, კუკავამ დოკუმენტი სანაგვე ყუთში გადაუძახა და გოგინავა არამც და არამც უკან არ დააბრუნა. ასეთმა განუკითხაობამ თანამდებობიდან მოხსნილი ქალბატონის მეუღლე, ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლა, შეურაცხყოფა ვერ აიტანა და ინფარქტით გარდაიცვალა.

წესით და კანონით, დავით კუკავა სისხლის სამართალში უნდა მიეცათ, მაგრამ რატომღაც სამსახურიდან დაითხოვნა აკმარეს და საყვარელი „ჯიპიც“ საჩუქრად გაატანეს.

მაშინ მოსახლეობა კუკავას მსუბუქად დასჯას – მხოლოდ თანამდებობიდან განთავისუფლებას, კოტე კემულარიას დამსახურებად თვლიდა.

კუკავას ადგილზე დანიშნეს ხობის საკრებულოს წევრი, რაიონის ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდა კაცი რობერტ გვიჩია. ხობელები სიხარულს არ მალავდნენ, მაგრამ ეს ნაადრევი აღმოჩნდა. პირველი დღეებიდანვე შესამჩნევი იყო, რომ ახალი გამგებელი დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდა, აშკარად იგრძნობოდა მასზე ზეწოლა, ამიტომ რაიონში არაფერი იცვლებოდა...

საქმე ის გახლავთ, რომ ახალ გამგებელს გამგეობაში დახვდა თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომელიც თურმე ყურით დაატარებდა ძველს – დავით კუკავას. ხობელები მათ გვარებს თამამად ასახელებენ: **– პრესსამსახურის უფროსი დალი გერგაია, კულტურის განყოფილების გამგე ჯულიეტა ქვარაია და გამგებლის მოადგილე ოცი წლის სტაჟით, მამუკა ჭოხონელიძე.** სწორედ ეს სამეული შეეცადა, კვლავაც ემართა რაიონი და გვიჩიასთვისაც შეება ეჟვანი. გამგებელი ხელქვეითებს თავიდან არ დანებდაო, გაუძალიანდაო, მაგრამ თურმე თბილისიდან მიახვედრეს გვიჩია – თუ სამეულის წესებს არ დაემორჩილები, თანამდებობას დატოვებო. როგორც ჩანს, გვიჩიამ არ იკადრა რომ აყოლოდა სამეულს და სამსახურს ძებნა დაუწყო.

– შენ ნუ შეწუხდები, თუ წასვლა გინდა, სამუშაოს თვითონ გიშოვითო, – უთხრა თურმე მას დალი გერგაიამ...

დალი გერგაია კოტე კემულარიას ალალი მამიდაშვილია, მისი კლანის წევრი. მან თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. 52 წლის ქალბატონს არსად უმუშავია, იჯდა სახლში და ერთადერთ შვილს ზრდიდა. მაგრამ როგორც კი კოტე კემულარია ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი გახდა, ამ ორიოდე წლის წინათ, დიასახლისმა დალი გერგაიამ, ბიძაშვილის დახმარებაში დარწმუნებულმა, გამგებლობა მოინდომა, მაგრამ ვინაიდან პირდაპირ სამზარეულოდან რაიონის ხელმძღვანელის სავარძელში გადასკუპება ფრიად უხერხული იყო, თავდაპირველად გამგეობის პრესსამსახურის უფროსობას დასჯერდა: ტრამპლინად ესეც საკმარისი იყო:

ზის ახლა ხობის გამგეობაში და რასაც მოისურვებს, იმას აკეთებს, ისაა ხობის გამგებელიც და გუბერნატორიც. ვინ რას გაუბედავს, როცა მისი ერთი ღვიძლი ნათესავი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია, მეორე და მესამე კი პარლამენტის წევრები არიან?

ამიტომ, ხობში თუ რაიმე თანამდებობაა, ყველაზე დალი გერგაიას ახლო ნათესავი და მეგობარია დანიშნული. სხვათა შორის, დავთვალე და, მათმა რაოდენობამ 30-ს გადააჭარბა... ყველა უკლებლივ ფულს შოულობსო, ამბობს ხალხი.

ამ თემაზე ვესაუბრე საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას, მივაწოდე ზოგიერთი კონკრეტული მასალაც, შემპირდნენ, რომ დაინტერესდებოდნენ. ფინანსური პოლიციის ან სხვა ძალოვანების საქმის კურსში ჩაყენებას აზრი არა აქვს, მათ თავადაც კარგად იციან, რაც ხდება ხობში, ვინაა კორუმპირებული და ვინ არა, მაგრამ რას იზამ, როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დალი გერგაიას ღვიძლი ძმაა?

დამეთანხმებით, ასეთ სიტუაციაში ხობის გამგებლის რობერტ გვიჩიას მუშაობა რთულზე რთულია. ალბათ ამიტომაც უნდა, გაეცალოს იქაურობას, და თუ ეს მოხდა, გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ თუ ეს დაუშვა, მაშინ სავარაუდოა, რომ რობერტ გვიჩიას ადგილზე დროებით, მოვალეობის შემსრულებლად მოგვევლინება „სამეულის“ ერთ-ერთი წევრი – ყველა მთავრობის „ჩაშკა-ლოჟკად“ მონათლული, ე.წ. დემოკრატი მამუკა ჭოხონელიძე.

ხალხი იმასაც ამბობს, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ხობს კვლავ ახალი გამგებელი ეყოლება, ეს იქნება ან დალი გერგაია ან კემულარიების სიძე – ლევან გულუა. თუმცა ჩურჩულებენ იმასაც, რომ მამუკა ჭოხონელიძე კარგა ხანია დაკავშირებულია მოსკოვში გაქცეულ ფულიან ქართველთა ერთ ჯგუფთან და როცა მოიშორებენ გვიჩიას, სწორედ ხობი იქნებაო დასაყრდენი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების განსახორციელებლად.

იქნებ კემულარიების კლანის წარმომადგენელი დალი გერგაიაც მონაწილეობს ამ შეთქმულებაში? ვინ იცის? ეს ალბათ იცის მხოლოდ პრეზიდენტმა და სხვამ არავინ.

თუ მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ კოტე კემულარია მისი ერთგულია და გულწრფელად ემსახურება ქვეყანას, მაშინ შეუძლია მშვიდად იძინოს...

მე კი არა ვარ დარწმუნებული.

**კლარა აბრამია**

◎ ინფორმაცია

## ქართული ღვინის ხარისხიანობა დაადასტურა

**ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს ალკოჰოლისა და თამბაქოს ვაჭრობისა და გადასახადების ბიურომ დაადასტურა, რომ ქართული და მოლდოვური ღვინოები სიცოცხლისათვის საშიში არ არის.**

**ბიურომ ქართული და მოლდოვური ღვინისა და სხვა ალკოჰოლური პროდუქციის 22 ნიმუშს ჩაუტარა ლაბორატორიული ანალიზი და არც ერთ მათგანში ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერება არ აღმოჩნდა.**

**კვლევის შესახებ ოფიციალურ ცნობას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აშშ-დან რამდენიმე დღეში მიიღებს.**

## იწყება ჩეჩენ ლტოლვილთა აღწერა

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს ლტოლვილთა ყოველწლიურ სავალდებულო რეგისტრაციას, რომელიც 26 ივნისიდან 9 ივლისამდე ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ჩატარდება.**

**10 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით კი რეგისტრაცია გაგრძელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16ძ, როგორც რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან „პრიმა ფაციე“ (კოლექტიური, არაინდივიდუალური) პრინციპით ლტოლვილ პირთათვის, ასევე საქართველოში რეგისტრირებული ინდივიდუალური ლტოლვილებისთვის.**

მედიანიუსი

**კონფლიქტი**

# ვინ ესროლა პარლამენტარს?

**ბოლო ხნის ერთ-ერთი გახმაურებული ოჯახური კონფლიქტი პარლამენტარ გიორგი ჩახვაძესა და მის ყოფილ მეუღლეს ეთერ ჭუმბურიძეს უკავშირდება. სადღეისოდ საქმე დახურულია, სასამართლომ ეთერ ჭუმბურიძე უდანაშაულოდ ცნო, თუმცა მომხდართან დაკავშირებით კვლავ ბევრი უპასუხო კითხვაა. ფაქტია, რომ საქმეში ფიგურირებდა იარაღი, მოხდა გასროლაც, მაგრამ დამნაშავე არსად ჩანს და რაც ყველაზე მთავარია, ეთერ ჭუმბურიძემ გარკვეული პერიოდი უკანონო პატიმრობაშიც დაჰყო.**

ამ საქმესთან დაკავშირებით ომბუდსმენის ოფისში სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, ეთერ ჭუმბურიძემ და მისმა ადვოკატმა ირაკლი ართილაყვამ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. ეთერ ჭუმბურიძემ ომბუდსმენის აპარატს დახმარებისთვის პირველად 2005 წლის 13 სექტემბერს მიმართა. ჩახვაძე შვილების (8 და 10 წლისძ ნახვას უკრძალავდა. ჭუმბურიძის თქმით, მეუღლე მას ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა, არაერთხელ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, არსებობს ექსპერტიზის დასკვნაც.

სახალხო დამცველის თანამშრომელმა გიორგი ჩახვაძეს განუმარტა, რომ ჭუმბურიძეს ჰქონდა შვილების ნახვის უფლება, რის შემდეგაც ჩახვაძე და ომბუდსმენის თანამშრომელი შეთანხმდნენ, რომ ჭუმბურიძეს მიეცემოდა ბავშვების ნახვის შესაძლებლობა, ოღონდ იმ პირობით, რომ ის ბავშვების სანახავად მარტო მივიდოდა. 2005 წლის 1 ოქტომბერს ეთერ ჭუმბურიძე შვილებს ჩახვაძის სახლის მახლობლად ეკლესიის ეზოში უნდა შეხვედროდა, ბავშვები გარეთ ჩახვაძის მძღოლს ტარას გოგიჩაიშვილს უნდა გამოეყვანა. ჭუმბურიძის ჩვენებით, როდესაც იგი მივიდა ჩახვაძის სახლის ეზოსთან, კარების გაღების შემდეგ ტარას გოგიჩაიშვილმა უთხრა, რომ გიორგი ბავშვებს გარეთ არ უშვებდა და თუ უნდოდა შვილების ნახვა, ეზოში უნდა შესულიყო. ამ მიზნით ჭუმბურიძე შევიდა და ეზოში სკამზე დაჯდა. მძღოლმა, რომელიც კართან გაჩერდა, დაუძახა მისულიყო მასთან. მისვლისთანავე გოგიჩაიშვილმა მარცხენა ხელი კისერზე მოხვია და მარჯვენა ხელით, რომელზეც ცელოფანი ჰქონდა გადაცმული, იარაღით 4-5-ჯერ ისროლა დახურული კარების მიმართულებით. შემდეგ ძალის გამოყენებით ჭუმბურიძე ფილაქანზე დააგდეს და იარაღზე ხელის დადებას შეეცადნენ. ყოველივე ამის შემდეგ გამოჩნდა ყოფილი ქმარი და დარეკა საპატრულო პოლიციაში მისი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე.

ეთერ ჭუმბურიძე ჩახვაძის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს და დააპატიმრეს, მოგვიანებით პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობით შეეცვალა. ჩახვაძე ამბობდა, რომ ჭუმბურიძემ ეზოში შემოსვლისთანავე ამოიღო იარაღი და 4-ჯერ ისროლა კარის მიმართულებით.

საგულისხმოა ექსპერტიზის შედეგები. 2005 წლის 6 ოქტომბერს გამოძიების მიერ დაინიშნა კომპლექსური ქიმიური, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით ეთერ ჭუმბურიძის ხელჩანთაში, ქურთუკზე და სხვა ნივთებზე იარაღის კვალი არ აღმოჩნდა, ისევე როგორც, ჭუმბურიძის ხელის მტევნებიდან აღებულ ანაწმენდებზე დენთის წვის პროდუქტებისთვის დამახასიათებელი კვალი არ დადგინდა, რომელიც გასროლის შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა. „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტზე კი ჭუმბურიძის ხელის თითების კვალი არ დადასტურდა.

წლეულს, 3 მარტს გიორგი ჩახვაძემ თავისი ინიციატივით შეახვედრა ბავშვები დედას, ხოლო ამის შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის დროებითი განკარგულების შესაბამისად, დედას შვილებთან შეხვედრის უფლება მიეცა, კვირაში ორჯერ — შაბათს და კვირას, დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე.



— დიდ ბოდიშს ვუხდი, უპირველესად, ჩემს შვილებს, რადგან, ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს მათ მამაზე უსიამოვნო საუბარი, მაგრამ მე სხვა გზა არა მაქვს, — განაცხადა ეთერ ჭუმბურიძემ და მედიას საკუთარი გადაწყვეტილება გააცნო. კერძოდ, 2006 წლის 12 მაისს მიღებულია დადგენილება ეთერ ჭუმბურიძის დევნისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე. დადგენილების მეორე ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ეხებოდა, ჭუმბურიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. იგი ითხოვს იარაღის წარმომავლობის, იმ პირის დადგენას, ვინც ისროლა. სოზარ სუბარის განმარტებით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცრუ დასმენასთან, თანაც ძალიან მძიმე ბრალდებით, ანუ ოთხმა ადამიანმა ჭუმბურიძეს ლამის კაცის კვლა წამოჰკიდა და ბრალდების მტკიცებულებებიც ხელოვნურად შექმნა, ამ დანაშაულისთვის სასჯელი 2-დან 4 წლამდეა.

ჭუმბურიძის ადვოკატი ირაკლი ართილაყვა საქმის აღძვრისთანავე დეპუტატ ჩახვაძისთვის იმუნიტეტის მოხსნას ითხოვდა, ამის აუცილებლობა პროკურატურამ ვერ დაინახა და მისი მოთხოვნაც არ დააკმაყოფილა. — დღეს აშკარაა, რომ ჩახვაძის იმუნიტეტის გამო გამოძიება ბევრ პრობლემას გადააწყდა. ჩვენ კვლავ მივმართავთ თხოვნით პროკურატურას. იმედია, რომ განცხადებას დააკმაყოფილებს, რის შემდეგაც გამოძიება გაცილებით ობიექტურად წარიმართება, — აცხადებს ართილაყვა. სხვა შემთხვევაში კი არ გამორიცხავს, რომ საქმე სტრასბურგამდეც მივიდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, გასული წლის ბოლო 6 თვეში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით დადასტურებულია 1469 ოჯახური კონფლიქტი. თუმცა ეს ციფრი რეალურ სურათს არ ასახავს. კი, ოჯახური კონფლიქტები არის, მაგრამ პარლამენტარობა? სროლის დაბრალება?

**ლელა ხვადაგიანი**


# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ დაბა მახინჯაურის სამგზავრო ვაგზლის შენობის ნაწილის (შემდგომში — საიჯარო ქონება) იჯარით გაცემის მიზნით, კაფე-ბარის მოსაწყობად

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:*

- **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** — დაბა მახინჯაური, სამგზავრო ვაგზლის შენობა
- **საიჯარო ქონების ფართობი** — 50 კვ/მ.
- **შენობის დახასიათება** — ექსპლუატაციაში შედის 2006 წლის 15 ივლისს, შენობა შედგება 2 სართულისაგან, საიჯარო ქონება განთავსებულია მეორე სართულზე
- **საწყისი თვიური საიჯარო ქირა —** 200 ლარი, დღგ-ს გარეშე.
- **„ბე“** — 150 ლარი.
- **იჯარის ვადა** — 3 თვე.
- **განაცხადების მიღების ადგილი —** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-33-70, 56-65-10.
- **განაცხადების მიღების ვადა —** 2006 წლის 17 ივნისიდან 2006 წლის 3 ივლისის ჩათვლით, 10.00 საათიდან – 18.00 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო —** 2006 წლის 4 ივლისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები —** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ —** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

- საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი კაფე-ბარის მოწყობა და ექსპლუატაცია.
- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად თანაბარწილად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების, კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარემ უნდა დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარე ვალდებულია შექმნას ყველა საჭირო პირობა საიჯარო ქონების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს უფლება არა აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს საიჯარო ქონება და ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს „საქართველოს რკინიგზის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს საიჯარო ქონების რეკონსტრუქცია, ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“.
- იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება (რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას).
- საუკეთესო სერვისის შემოთავაზება (სასურველია საზ-კვების სფეროში მუშაობის გამოცდილების ქონა).
- ვალდებულების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, მაშინ იგი ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას პირგასამტეხლო თვიური საიჯარო ქირის 0,01 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (პირგასამტეხლო მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის ან პირგასამტეხლოს გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი*

*დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.
- მოიჯარეს გადახდილი „ბე“ გათვალისწინებული იქნება საბოლოო ანგარისწორებისას.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

***შპს „საქართველოს რკინიგზა“***

◉ საით მივდივართ?

# კაცობის შაბაში



**27 მაისს მოსკოვში, ქალაქის ცენტრში, ჰომოსექსუალისტთა აღლუმი უნდა გამართულიყო. ასეთი აღლუმი ბოლო ხანს ევროპის უამრავ ქვეყანაში შედგა. ჰოდა, რუსებმაც მოინდომეს თავის გამოჩენა. მოსკოვის მერიამ იძალა, გეები წინასწარაც გააფრთხილა და დათქმულ დღესაც სპეცრაზმელები მიუსია. მართალია, ზოგს ხელები გადაუგრიხეს, ზოგს საკანიც აჰყნოსინეს, მაგრამ ჰომოსექსუალისტებს სურვილი მაინც არ აღასრულებინეს. სხვათა შორის, აღლუმის მოწყობას წინ აღუდგნენ არა მარტო სამართალდამცავები, არამედ ეკლესიის, თვით საზოგადოების ფართო ფენებიც.**

სქესობრივ უმცირესობებთან ძალადობრივ თუ სამართლებრივ მიდგომაში სადღეისოდ რუსეთი რაღაც თეთრ ყვავად გამოიყურება. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ ამერიკაში ჩავარდა თვით პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივა კონსტიტუციურ დონეზე ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის შესახებ. პრეზიდენტი კონგრესს ამუნათებდა, – ერთსქესიანთა ქორწინებით ტრადიციული ოჯახი ინგრევაო, მომავალი თაობის ბედი სასწორზე იდებაო, მაგრამ... ბუშს ინიციატივა ჩაუფლავდა, ტრადიციული ოჯახის შენარჩუნების, ზნეობის განმტკიცების იდეა ჩაუწყდა.

დასამალი არაა, რომ სექსუალურ უმცირესობებს მხარდაჭერა მსოფლიოს ზოგ ქვეყანაში ოფიციალურად გამოუცხადეს თვით საზოგადოების საწინააღმდეგოდაც კი. ავიღოთ თუნდაც ესპანეთის ამბები, სადაც გზა მისცეს ერთსქესიანთა ქორწინებას. მთლად ამ დონეზე არა, მაგრამ სიმპათიები სხვაგანაც შეინიშნება. ბოლო მონაცემებით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ჰომოსექსუალებს დაეძებენ (დიახ, დაეძებენ!) ცენტრალურ ოფისებში, სუპერმარკეტებში თუ მომსახურების სხვა ობიექტებში დასასაქმებლად. თურმე ისინი კლიენტებს ემსახურებიან გაცილებით თავაზიანად, კულტურულად, შთამბეჭდავად და ა. შ. ნუ, რას ვიზამთ, ალბათ ბევრს ურჩევნია დახლთან გამყიდველად დახვდეს ყოველმხრივ მოქნილი „პედერასტი", ვიდრე ყოველმხრივ გაქნილი მუტრუკი. ისე, იმ მუტრუკის გაგდებაც შეიძლება და უკეთესით შეცვლაც, მაგრამ რაღა ძებნით თავი ავიტკივოთ, აგერ, ჰომოსექსუალი, უკვე აღზრდილი, ჩამოყალიბებული, უტყუარი... და ასე შემოდის იგი ჩვენს ყოფაში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს სისხლში, ჩვენს გულში, ჩვენს სულში...

ახლა, 2006 წელს, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს გერმანიაში. იქნებ ბევრმა არც იცის, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი 2007 წელსაც გაიმართება არგენტინაში. იქ ერთმანეთს გაეჯიბრებიან მამათმავლები და ლესბოსელები. ეს იქნება რიგით უკვე IV ჩემპიონატი. წინა სამი გაიმართა ლონდონში, სიდნეისა და ბოსტონში. ახლა გეები და ლესბოსელები ჩავლენ ბუენოს-აირესში. ამ ქალაქმა ომი გადაიხადა, რიო-დე-ჟანეიროსა და ლიმას მკაცრ კონკურენციაში აჯობა. და საერთოდ, თურმე ბუენოს-აირესი ბოლო ხანს იქცა ლათინური ამერიკის ჰომოსექსუალისტთა ცხოვრების ეპიცენტრად. ყველა იქ გარბის, რადგან თავს სამოთხეში გრძნობს.

როგორც კაცობრიობას სჩვევია, ხვალ და ზეგ სპორტული არენა გაფართოვდება. სულ მალე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს გამართავენ არა მარტო ჰომოსექსუალები და ლესბოსელები, არამედ მანიაკები, ნუდისტები, იმპოტენტები, პედოფილები... აგერ, სულ ახლახან ჰოლანდიაში შეიქმნა პედოფილთა პარტია. მათ, ცხადია, უმალ განიზრახეს საკუთარი უფლებების გაფართოება, კერძოდ, მოითხოვეს 12 წლამდე ასაკის ბავშვებთან სექსუალური კავშირის დაუსჯელად დამყარება, ბავშვთა პორნოგრაფიის შეუზღუდავად გავრცელება... და ამას ისინი აცხადებენ საჯაროდ, სატელევიზიო კამერების წინ. 2008-ში ასეთი პედოფილები მოინდომებენ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას. რომელიმე ქვეყანა მათ მასპინძლობას ითავებს, პატარა ბავშვების გამაუპატიურებლებსა და მკვლელებს მინდორზე გამოუშვებს და ტაშში ჩაახრჩობს...

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე მინდვრიდან უყოყმანოდ აძევებენ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მოედანზე სამკაულებს (საყურეებს, ბეჭდებს, სამაჯურებს) შეიტანენ ან მიმიკებით (სახის დაჯღანვით, კბილების ღრჭიალით, ხელების ქნევით) მოწინააღმდეგეს გაამწარებენ, ან მსაჯებს „გააშაყირებენ". საინტერესოა, რას უზამენ მოედანზე ჰომოსექსუალისტებსა და ლესბოსელებს, რომლებიც ერთ წამსაც ვერ ელევიან ვერც სამკაულების ტარებას და ვერც გავის ქნევას?

ჰომოსექსუალისტებიც და ლესბოსელებიც კარგა ხანია გამოჩნდნენ საქართველოშიც. გამოჩნდნენ პრესაშიც, ტელევიზიაშიც. ესე იგი, მოდიან, სიტყვით და საქმით გვერწყმიან. კი, ბატონო, ისინიც საზოგადოების წევრები არიან, თანადგომა თუ თანაგრძნობა მათაც სჭირდებათ, მაგრამ რას ნიშნავს გამორჩეული ყურადღება? რატომ უნდა ტარდებოდეს აღლუმები, მსოფლიო ჩემპიონატები ჰომოსექსუალებისა, როცა ასეთი რამეები არ ტარდება მწერლებისა, მეცნიერებისა, მხატვრებისა, პედაგოგებისა ან ინჟინრებისა? თუ ისინი ცხოვრობენ უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, რით დაიმსახურეს ესოდენ დიდი პატივი სქესობრივი უკუღმართობებით „სახელგანთქმულმა" ადამიანებმა?

**ბონდო გულიაშვილი**

◉ ჭრუანტელი

## ჭურჭელსაც არეცხინებენ

**ევროპაში ჩაატარეს სოციოლოგიური კვლევა მეოჯახე მამაკაცთა გამოსავლენად. ყველას აჯობეს შვედებმა. აქ მამაკაცთა მხოლოდ 8 პროცენტი უარყოფს იატაკის გამოგვას ან ჭურჭლის რეცხვას. ესპანეთში ასეთი მამაკაცების რაოდენობა „ურტყამს" 47, საბერძნეთში – 57, პორტუგალიაში კი – 61 პროცენტს.**

## სექსი ავიწყდებათ

**სოციოლოგები, როგორც იტყვიან ხოლმე, ლოგინშიც იძეძებიან. ახლახან მათ გამოიკვლიეს ქალთა და მამაკაცთა სექსუალური აქტიურობა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში. ყველაზე ცუდად საქმე აქვთ დიდ ბრიტანეთში. აქ მამაკაცთა 30 პროცენტს, ხოლო ქალთა 40 პროცენტს ბოლო ერთი წლის მანძილზე სექსი არც გახსენებიათ.**

## ესეც ქართული ტემპერამენტი!

**მსოფლიოს მასშტაბით, უშვილობა აწუხებს ცოლ-ქმართა 18-20 პროცენტს. სამედიცინო ცენტრ „იუნონას" მონაცემებით, საქართველოში უნაყოფო მამაკაცთა რაოდენობამ უკვე 50 პროცენტს მიაღწია. ამის მიზეზებიაო სასქესო სისტემების ხშირი ანთება, სქესობრივი გზით გადამდები ავადმყოფობების მომრავლება, მუდმივი სტრესის ქვეშ ყოფნა, ალკოჰოლის, თამბაქოს და ნარკოტიკის უზომო მოხმარება, კომპიუტერთან ხანგრძლივი მჯდომარე მუშაობა...**

## მტერი №2

**იური ლევადის ანალიტიკურმა ცენტრმა გამოაქვეყნა 2006 წლის გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც „დადგინდა" რუსეთის მტრები. ყოფილი იმპერიის №1 მტერია ლატვია (46 პროცენტი), №2 კი – საქართველო (44 პროცენტი); მესამე ადგილი ერგო ლიტვას (42 პროცენტი), მეოთხე – აშშ-ს (37), ხოლო მეხუთე – ესტონეთს (28). 2005 წლის მონაცემებით საქართველოს მტრად თვლიდა გამოკითხულთა 38 პროცენტი. წინ მივდივართ. მალე პირველ ადგილზეც გავალთ!**

## არც მოწიოთ, არც დალიოთ!

**სამხრეთ კორეაში უმაღლესი სასწავლებლების კარი მიუხურეს ყველა იმ ახალგაზრდას, ვინც სიგარეტს ეწევა. სტუდენტებს ერთ გაბოლებასაც არ პატიობენ და დაუყოვნებლივ რიცხავენ. სხვათა შორის, ბოლო სამიოდ წელიწადში ამ ქვეყანაში მწეველთა რიცხვი 15 პროცენტით შემცირდა; დანიაში კი სამსახურს ატოვებინებენ ყველა იმ მუშაკს, ვინც სამუშაო საათებში ალკოჰოლს ეტანება. ბოლო სამი წლის მანძილზე აქაურ საწარმოებშიც მსმელთა რაოდენობა 75-დან 13 პროცენტამდე დაეცა!**

## მწველავი განა ყვავის?

**მოსკოვში 60 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინის შესაძენად ხელფასი კოსმონავტმა კაპიკის დაუხარჯავად უნდა აგროვოს 20 წელიწადს, მეშახტემ – 23,5, ქირურგმა – 26,7, პედაგოგმა – 30,8, კომბაინერმა – 40,5, მწველავმა – 267 წელიწადს. როგორც ვთქვით, არც ჭამა, არც სმა, არც ფეხსაცმელი, არც ტანსაცმელი...**

## ხანდახან ძაღლობა სჯობს

**ამჟამად ავსტრალიაში ცხოვრობს 20 მილიონი ადამიანი, რომელთაც ოჯახებში ჰყავთ 4 მილიონი ძაღლი, 2,5 მილიონი კატა, 8,7 მილიონი ჩიტი და 12 მილიონი თევზი. მათ პატრონები ისე ულმერთოდ ასუქებენ, რომ უმოძრაობისგან ლამის გადააგვარონ ან ათასგვარი საშიში დაავადებები შეჰყარონ.**

◉ სასამართლო

# მძევალი ტბაში დაახრჩვეს

**ახლახან უზენაესმა სასამართლომ რუსეთიდან ექსტრადირებული კრიმინალის ბესო ცეცხლაძის საქმე განიხილა. მას ბრალი ედება მკვლელობაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და გამოძალვაში.**

ცეცხლაძე წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა. 1995 წლის გაზაფხულზე ომარ ჩიტაურმა როსტოვში მას ალან ტატოევა და იგორ ბიჩინოვი გააცნო. გაცნობის მიზანი ასეთი გახლდათ:

ბიჩინოვი ცხინვალიდან როსტოვში მეგობარ ტატოევასთან სტუმრად ჩავიდა, ამ პერიოდში იგი შპს „სოიუზის" დირექტორს ალექსანდრე ტუტოვს შეხვდა, რომელიც საკმაოდ მდიდარი იყო. მისი ფული ბიჩინოვისთვის იმდენად სასურველი გახდა, რომ ტუტოვის მოტაცება და ფულის გამოძალვა განიზრახა. თავისი ჩანაფიქრი მეგობარ ტატოევას გაანდო, რომელმაც იდეა მოუწონა და დახმარებისთვის საჭირო პიროვნებების ძებნა დაიწყეს. მათ ჩიტაურს კრიმინალებთან დასაკავშირებლად დახმარება სთხოვეს, თუმცა რისთვის სჭირდებოდათ, – არ დაუკონკრეტებიათ. მან ბესო ცეცხლაძე და ხვიჩა გოგსაძე მოძებნა.

1995 წლის 29 აგვისტოს ტუტოვი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა. ცეცხლაძე, გოგსაძე და ტატოევა უკან შეუმჩნევლად მიჰყვებოდნენ, ცარიელ ქუჩაზე მანქანა გააჩერებინეს, იქიდან გადმოსული ძალის გამოყენებით თავიანთ მანქანაში ჩასვეს და ქალაქგარეთ წაიყვანეს. მოკვლის მუქარით აიძულეს თავისი მოადგილისთვის სერგეი შვეცოვისთვის წერილი მიეწერა და გამტაცებლებისთვის ფულის მიცემა ეთხოვა. სასურველი შინაარსის წერილის მიღების შემდეგ გადაწყვიტეს მძევალი თავიდან მოეცილებინათ. ხელ-ფეხი შეუკრეს, სხეულზე ლითონის მძიმე ნაჭრები შეაბეს და იქვე ტბაში ჩააგდეს. მისი სიკვდილის შემდეგ კი თანხის მოთხოვნით მეუღლეს დაურეკეს.

გარდაცვლილის მეუღლის ჩვენებით, იმ დღესვე, როდესაც ტუტოვი სახლში არ დაბრუნდა, შვეცოვთან ერთად მისი ძებნა დაიწყო. მანქანა იმავე ღამეს იპოვეს, მის კვალს კი ვერსად მიაგნეს. მეორე დღეს „სოიუზის" მაღაზიაში უცნობმა პირმა დარეკა და მძევლის განთავისუფლებაში ნახევარი მილიონი დოლარი მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოკვლით იმუქრებოდა. რამდენიმე დღეში „სოიუზის" მაღაზიაში მივიდა იგორ ბიჩინოვი, მომხდარის გამო ძალიან „შეწუხდა" და დახმარებაც ითავა. მოგვიანებით მან შვეცოვს უთხრა, რომ გამტაცებლების ვინაობა დაადგინა და 300 ათას დოლარს ითხოვენო, თან ტუტოვის წერილი გადასცა, რომელიც სიკვდილამდე დააწერინეს. სექტემბერში მასვე ურეკავს და ეუბნება, რომ გამოსასყიდი 50 ათას დოლარამდე დავიყვანეო...

ამის შემდეგ ტუტოვის მეუღლე პოლიციას დაუკავშირდა და დამნაშავეების დაკავებამაც არ დააყოვნა.

დაპატიმრებისთანავე ცეცხლაძე დანაშაულს უარყოფდა, თუმცა როსტოვის საოლქო სასამართლომ მას ადამიანის გატაცებასთან ერთად მკვლელობის მუხლიც წაუყენა. ეს დანაშაული მაშინ სასამართლოზე შვეცოვის და რუსეთის ციხეში გარდაცვლილი ბიჩინოვის ჩვენებებით დადასტურდა.

მისი ექსტრადაციის შემდეგ კი 2005 წლის 5 დეკემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ მკვლელობის მუხლი მოუხსნა და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენს მისი ადვოკატი არ დაეთანხმა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმ მოტივით მოითხოვა, რომ თითქოს მის მიმართ წაყენებული ბრალდება დაუსაბუთებელია და მამხილებელი მასალები საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო პალატამ ადვოკატის საჩივარი არ გაიზიარა და განაჩენი უცვლელად დატოვა.

**ლელა მანაველიშვილი**

◉ მოგვხედეთ!

# ბირჟის ტუალეტი

**ამ ბოლო დროს ბევრჯერ ითქვა, – თბილისში პრესტიჟული უბნები აღარ იქნებაო, ყველა კუთხეს ერთნაირი ყურადღება მიექცევაო, ვაკე და გლდანი „გათანაბრდებაო"... არა, რაღაც-რაღაცეების კეთება კი დაიწყეს, მაგალითად, „ნახალოვკაში" საძირკველი აკვაპარკს ჩაუყარეს, მაგრამ ერთი მერცხალი რა გაზაფხულს მოიყვანს?**

ვაკეში სასწრაფოდ შეაჩერეს მაღალსართულიანი სახლების მშენებლობა, – უბანი გადაიტვირთებაო. ღმერთმანი, კარგია! მთაწმინდასა და სოლოლაკში ახალი სახლები კრამიტით გადავხუროთ, – აქაურობა უფრო გალამაზდებაო. ესეც მისასალმებელია. დიდუბეც გაიხსენეს, – აქედან ელიავას ბაზრობა გადავა და მის ადგილზე პატარა ევროქალაქი აშენდებაო. „ცენტრ პოინტმა" თავიც მოიფხანა, ყოფილი ცეკას გამომცემლობის საბეჭდი კორპუსი იყიდა, უბნის გარდაქმნის ხმაურიანი პრეზენტაციაც გამართა, თუმცა აქ ევროქალაქი კი არ შენდება, პირიქით, ისევ ელიავას ბაზრობა ფართოვდება.



მიდით, ბატონებო, და ნახეთ, ახალ-ახალი სავაჭრო, ერთსართულიანი ობიექტები სწორედ იმ საბეჭდი კორპუსის წინ წამოიჭიმა. იქ ქვიშით დატვირთული სატვირთოები იდგნენ. მათ მოშორებით, ნაძვნარში გადაინაცვლეს და ტერიტორია მოაოხრეს. ახლა საკმაო ფართობი ბაზრის თავში, ვახუშტის ხიდთან, პირდაპირ სკვერშიც შემოღობეს. ალბათ, კიდევ რაღაცას წამოჭიმავენ. შესაბამისად, იქ მდგომი ტრანსპორტი ისევ ნარგავებში გადაინაცვლებს და ახალ ტერიტორიას მოაოხრებს.

სირცხვილი არ არის? იმ ვახუშტის ხიდიდან სამტრედიის ქუჩამდე, როგორც მტკვრის მარცხენა სანაპირო, ისე თვით ელიავას (ახლა აგლაძის) ქუჩა ერთ გრძელ, 3-კილომეტრიან ბაზრად იქცა. დილიდან საღამომდე არის ტრიალი, გრიალი, ღრიალი, ნაგავი, მტვერი, ჭუჭყი... ხიდის მიმდებარე ტერიტორია იქცა ვეებერთელა ტუალეტად, რომელსაც უფასოდ და უზოდიშოდ ხმარობს დროებით სამუშაოს მაძებნელთა, სოფლელ „ბირჟავიკთა" სოლიდური არმია. მათ თავშესაფარი არა აქვთ, ღამეებსაც იქ ათევენ და, ცხადია, გახურებული კარტის თამაშის შემდეგ ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც იქ იკმაყოფილებენ. აბა, რა ქნან, სად წავიდნენ...

იგივე ეხება მეორე ბაზრობას – „ექსპო ჯორჯიას", რომელიც ელიავას ბაზრობის ბუნებრივ გაგრძელებად იქცა. აბა, აქ არის ხეტყისა და რკინა-არმატურის მიტანმოტანა, რაღაც ასტონიანი ტრაილერებით, თანაც 24 საათის განმავლობაში. უზრალო მოსვენება კი არა, ბინადართ ძილიც წაერთვათ, ძილიც.

გვესმის, ბაზარი ფულია, ბიუჯეტის შემვსებია, მაგრამ რას ვერჩით ხალხს? ადამიანებს სმენა დაეხშოთ ამდენი ღრიალით, ფილტვები წაუხდათ ამდენი მტვრით, ნერვები დააწყდათ ამდენი ჩივილით. დაითვალეთ, რამდენი ბაზარია „დინამოს" სტადიონიდან დიღმის ხიდამდე. შეიძლება შუა ქალაქში, დიახაც, ცენტრში აშმორებულ, აგრიალებულ ფართად იქცეს ამხელა ტერიტორია? ნელ-ნელა შემცირების მაგიერ, ჩქარ-ჩქარა ვაფართოებთ? სირცხვილია, მთელი დიდუბე ყარს!

**ბადრი ღვინიაშვილი**

ორი რეპლიკა: როცა ბურთი ენას ხვდება

# სპორტულენობრივი „გაკვეთილები" დაგვეწყო

***მსოფლიო ჩემპიონატისას ტელეკომენტატორების ერთთვიანი ენობრივი „თავისუფლება" უსაზღვროა. ადრე კარგი სტილისტის შიშით რადიო და მით უმეტეს ტელეკომპანიების დიქტორები მუდამ „ფორმაში" იყვნენ და ენის კულტურის საკითხებიც მეტ-ნაკლებად გვარდებოდა.***

დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის კარგი თამაშები და რეპორტაჟები — ცუდი ქართულით. არ იციან როგორ მოგვაწონონ თავი „ტერმინოლოგიით" ხან ესპანურით „მუნდიალე", ხან იტალიურით „მონდიალე". აბა როგორ აღიქვამს ქართველი ტერმინის ფუძეს „მუნდი"? მსოფლიო ჩემპიონატი ხომ ზეიმია და ენის გამასხარავებით უხერხულობაში ვარდება მსმენელი. მე, მაგალითად, მშვიდად გამოვრთავ ხოლმე რეპორტიორის ხმას — პრობლემას ჩემებურად ვაგვარებ: არ მინდა მოვისმინო **„პასი გადასცა" (უნდა** ეთქვა **გადასცაძ, „პასი მიაწოდა" (მიაწოდაძ, „პასი გაუკეთა"** (გადასცა, მიაწოდა, გაუგზავნაძ, **„გადაცემა შეასრულა" (გადასცაძ, „გააკეთებს ჩამოწოდებას" (ჩამოაწვდისძ,** რასაც წამდაუწუმ იმეორებს მართლაც შესანიშნავი ტელეკომენტატორი, ფეხბურთის ლაბორატორიების მცოდნე („რუსთავი-2"ძ. pass მარტივად, სწორი ქართულით არის გადაცემა (ბურთისა და სხვაძ, **ამასთან ქართული ზმნის მრავალსახეობა სპორტულ მოვლენებს დიდი სიზუსტით წარმოგვიჩენს, თუ რა სიჩქარით ან რა მანძილზე სრულდება ბურთის მიწოდება: გადასცა, ჩააწოდა, გადააწოდა, მიუგორა, მიაწოდა** და სხვა. **„გადაარჩინა საკუთარი კარი გაშვებული გოლისაგან"** („პირველი არხი"ძ. რას ნიშნავს **„გაშვებული გოლისაგან"**? ან რა შუაშია სიტყვა **„საკუთარი"**? არასწორია **„გოლის გატანა"**. goal არის მიზანი, შედეგის ან მიზნის განხორციელება, რაც ბურთის გატანით მიიღწევა. რა დასჩემდათ ლეგიონერების მიერ საფეხბურთო გარჩევებზე უკონტროლოდ შემოტანილი „გოლკიპერი" (goalkeeperძ. არც იტალიელი და არც რუსი ასე არ ამბობს, იტყვიან მეკარეო (il portiere, вратарьძ,



არ ხმარობენ ენგად სიტყვას **გამთამაშებელი** („ენგადი - წყაროთა თვალი" — გრიგოლ რობაქიძეძ, ურჩევნიათ „ფლეიმეიკერი" (playmakerძ და სხვა. **ჟურნალისტებს ვურჩევ არ იხმარონ „ფლეი ოფ". ამერიკელი ამ არსებით სახელს ორგვარი მნიშვნელობით, ორი სხვადასხვა მოვლენის ხაზგასასმელად იყენებს**: „ფლეი-ოფ" (play-offძ ეხება გადამწყვეტ მატჩს ან სერიას კერძოდ, მთავარ სერიებში — ამ ჩემპიონატის შემთხვევაში **მერვედფინალში გასასვლელად,** ხოლო „ფლეი ოფ" (იწერება დეფისს გარეშე play offძ ნიშნავს **უკვე შემდგარ ფაქტს — მერვედფინალში მოხვედრას,** ზღურბლის გადალახვას - გასვლას. ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ და მსმენელი და მკითხველი კმაყოფილი დაგრჩებათ. სხვა მხრივაც თბილისის ტელეარხები ცუდ მაგალითს აძლევენ რაიონების კომენტატორებს. ასე იხრწნება ენა.. ასე თუ ისე რუსულენოვან ტერმინოლოგიურ წნეხს გადავურჩით და უკონტროლოდ ნერგავენ ინგლისურს. რა ქართულია **„უპასუხო გოლი", „იხსნა კარი გატანილი გოლისაგან"? „ბურთი არ ცილდება (თავდამსხმელსძ"** უნდა თქვან **„ბურთს აკონტროლებს, ატარებს" და სხვა.**

ბუნებრივია კითხვა — რა გაუჭირდათ წამყვან ტელეარხებს სამუშაოდ აიყვანონ პროფესიონალი გამოცდილი სტილისტები, თუ ეს მოახერხა ნაკლებად შეძლებულმა გაზეთმა „ასავალდასავალმა"? იგივე სტილისტი უკეთ გაერკვევა სიტყვათშემოკლებებშიც და არ დაუშვებს, მაგალითად, ერთი და იგივე კომისია გაზეთებში და ტელეარხებზე არ იწოდებოდეს **ექვსი ცრუსახელწოდებით**: ცსკ, ცსკ-ი, ცესკო, ცესკ—ო, ცესკო, ცესაკო და იხმაროს სწორი ბრუნვისნიშნიანი **ბუნებრივი არსებითი სახელები ცესკა, სემეკა** (და არა სემეკი ან **სემეკ** — ასე წერია ამ კომისიის ლოგოზე, არ ერთვის ბრუნვის ნიშანი!ძ. სპორტულ პრესაში სიტყვათშემოკლებები ხომ საერთოდ არეულია.

**რევაზ ბერულავა,**
**თსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი**

# „იგალეშჩიკეთ", ოღონდ მშობლიურ ქართულზეც შეგტკიოდეთ გული

**ახლა საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, მუნდიალი — 2006-ის ციებ-ცხელებაა. თბილისში და ტელეეკრანზე ხომ — ნუღარ იტყვით! ჰოდა, სწორედ ამ ეკრანზე ძალიან ხშირად გაისმის სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში „ვბალელშჩიკობ", „ბალელშჩიკობ", „ბალელშჩიკობს", „ვბალელშჩიკობთ", „ბალელშჩიკობთ", „ბალელშჩიკობენ".**

გასაკვირია, რომ რუსული „болельщик"-იდან „გაკეთებულ" ჟარგონს წამდაუწუმ „აჟღერებენ" სულ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები — ბავშვები და მოზრდილები, ლამაზლამაზი გოგონები, ინტელიგენციის (!ძ წარმომადგენლები, მინისტრები და პარლამენტარები, ვეტერანი თუ მოქმედი ფეხბურთელები და თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეჟურნალისტები, ვინც უწინარესად უნდა იცავდეს ქართული ენის სიწმინდეს.

იშვიათად გაიგონებთ მშობლიურს — „ვქომაგობ", „გულშემატკივრობს", ან ორი სიტყვით სათქმელ „მხარს ვუჭერ", „გული შესტკივა". ნუთუ ჟარგონს ამხელა მიმზიდველობა აქვს, ან რა — „ვბალელშჩიკობ" უფრო სხარტად წარმოითქმის, ვიდრე „ვქომაგობ"?..

კი, ბატონო, ჯანი გავარდეს, ერთმანეთთან საუბრისას, ვიწრო წრეში, „იგალეშჩიკეთ", რამდენიც გინდათ, ოღონდ ამას საჯაროდ, ეკრანიდან ნუ „გააჟღერებთ", პატივი ეცით მშობლიურ ქართულსა და უზარმაზარ აუდიტორიას.

ორივე ხელს ვუწევ დიდ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, დიდ პატივს ვცემ რუსულ ენას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ „ბალელშჩიკობა" მეკეროს პირზე, ან „არენის" წამყვანს გარედან ჩართვისას ვაცნობო — ჩვენ ბასეინთან ვხვდებით, მაგრამ მეშინია, იტალიის „ბალელშჩიკები" ბასეინში ჩამაგდებენო...

დასანანია ისიც, რომ ჩვენი ვეებერთელა საფეხბურთო ინფორმაციის მატარებელი და ისტორიის კარგი მცოდნე ტელერეპორტიორები შიგადაშიგ უხეირო ქართულით გადმოსცემენ მატჩების მსვლელობას, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

**თამაზ ებანოიძე**



ინფორმაცია

## დედაქალაქელებმა რაღა დააშავეს?

**გუშინ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების II-X კლასების მოსწავლეთა ნაწილისთვის 2005-2006 სასწავლო წლის ბოლო ზარი დაირეკა.**

**საზაფხულო არდადეგები კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის ხუთი (ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდისძ და ქვემო ქართლის ორი (წალკისა და დმანისისძ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების II-X კლასელებისთვის დაიწყო.**

**ქვეყნის დედაქალაქისა და დანარჩენი რეგიონების სკოლების II-X კლასის მოსწავლეები კი სწავლას 23 ივნისს დაასრულებენ.**

**მედიანიუსი**

## მოსწავლეები იარაღით დადიან

**თბილისის მერი გიგი უგულავა გუშინ 3 არაქართულენოვანი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებს შეხვდა.**

**გიგი უგულავამ თბილისის №148 რუსული, №104 სომხური და №73 აზერბაიჯანული სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრებს, პირველ რიგში, სასწავლებლებში მოზარდების მიერ ცივი იარაღის ტარების პრობლემის გადაჭრა დაავალა.**

**„სკოლებში იარაღის ჩამორთმევის საკითხი ჯერჯერობით ყველაზე მწვავედ დგას და საჭიროა ამ კუთხით სკოლებში განსაკუთრებული კონტროლი დამყარდეს", — აღნიშნა მერმა.**

**მან, ასევე, მოუწოდა სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებს მოსწავლეებთან იმუშაონ, რათა სკოლებში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირდეს.**

**სკოლების სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებმა კი სკოლების შენობების კაპიტალური შეკეთება და ამ მიზნით შესაბამისი თანხების გამოყოფა მოითხოვეს.**

**ინტერპრესნიუსი**

პირკატაცემული მკითხველის ელდა

# თქვენ თუ წაიკითხავდით ასე დაწერილ სხვის მოთხრობას?..

## ღია-დახურული წერილი მწერალ გურამ დოჩანაშვილს

***თავიდანვე მოწიწებით, გნებავთ, „ბიბლიაზე" ხელის დადებით დავიფიცებ, ბ-ნო გურამ, რომ მე — ისედაც დასავლეთელი გივი(აძ — თქვენი მოთხრობის პერსონაჟის სეხნია — უზომოდ ვარ შეყვარებული თქვენზე და თქვენს მხატვრულ შემოქმედებაზე; წაკითხული მაქვს თქვენი თითქმის ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოები და ზიარებასავით შევირგე მათი უმეტესობის მხატვრული სიტკბო და სიმსუყე; ვამაყობ, რომ თქვენი სახით ქართულ ლიტერატურას ჰყავს დიდებული, ერთობ ორიგინალური მწერალი და საინტერესო, გამორჩეული პიროვნება, მაგრამ... გავეცანი რა თქვენს ამას წინათ ცალკე წიგნად გამოცემულ ნაწარმოებს, რომელსაც ჰქვია „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი" (2005 წ.ძ, გამიჩნდა უამრავი ერთი და იგივე კითხვა — რატომ?***

*ვინაიდან მწამს, რომ იგივე კითხვა მრავლობითად უკვე აწუხებს ან მომავალში შეაწუხებს ზემოხსენებული წიგნის წასაკითხად ხელში ამღებ თქვენზე შეყვარებულ, მაგრამ ამჯერად პირკატაცემულ და წამებისათვის გამეტებულ მკითხველს, გთხოვთ — გულწრფელად მიპასუხოთ წერილობით, საჯაროდ (სხვათა გასაგონადაც!ძ და მოხსნათ ყველა რატომ! (თუ ეს შესაძლებელიაძ.*

*ბატონო გურამ, თქვენი ეს მორიგი ახალი მოთხრობა ისეა დაწერილ-გაწელილი დიდი ფორმატის 500 გვერდზე, რომ ამოსასუნთქად არავითარი დაყოფა არ გააჩნია: არც — ნაწილი, არც — კარი, არც — ნაკვეთი, თავი თუ ქვეთავი... რატომღაც ერთი გაბმული, გაუწყვეტელი ტექსტია. როგორც ჩანს, თქვენი ვარაუდით, მთელი ეს უზარმაზარი მოთხრობა თუ რომანი (ხანდახან ასეც რომ უწოდებთძ, ერთი ამოსუნთქვით, თავაუღებლად უნდა წაგვეკითხა, რაც სიზიფეს შრომის ტოლფასი სასჯელია თქვენი მოყვარული მკითხველის დასატანჯად. თანაც მოთხრობა დამძიმებულია უშველებელი აბზაცებით, თუმცა, უმინიატურულესი აბზაცებიც გემარჯვებათ. მაგალითად, ასეთი:*

*„კი?,:"*

*ეს, ალბათ, მკითხველის დასავენებლად — მისჯილი ტანჯვისაგან.*

*თავდაპირველად ერთი საშუალო ზომის აბზაცი შევარჩიე მკითხველისთვის ჭაშნიკად არამარტო იმიტომ, რომ ინტელიგენტ მკითხველებს აგდებულად მოიხსენიებთ, არამედ თქვენი „სასტაული" (თქვენივე გამოთქმააძ სტილის თავიდანვე წარმოსაჩენადაც:*

*„რაღა ვქნა ახლა? არც ტყუილი მინდა და არც ზრდილობითე ავტოთჩაჭრა გლახა სიტყვებით, და, ხოგამოგიტყდით რომეშინია ინტელიგენტებისიმე, და მარტო თითო-ორლათკიარარიან, არა, ააკი, მოგახსენეთ, ბევრნი არიან ამ ინტელიგენტობით ამე დალოცვილ-დადახუნძლულ საქართველოში მაგრამ თავშეკავება ან უვარგანათხანდისხანობით რაც მათი ინტელიგენტობისი ანუ პირდაპირობისის უტყუვარი და კაინიშანია ფრიადივითე,ხოლო განსაკუთრებით მათი იმქვეჯგუფისანის მეშინიან,ნამეტურათ ჭეშმარიტი ჰინტელიგენტობით რომ, გლეხური ქუდი ან ძაან ირიბათ ანაც ძალიან ძლიერ ზედმეტათე სწორა ადევთ მოლიპულ თავს ზე,და,ვაითუ ესაჩემისა მოთხრობაა თუ რაღაცაა აისეთ ვინმე მოყმესათუმხევალ ინტელიგენტკს ჩაუვარდეს თვალში ხელსაც როარ ამოისვამს და ისე ჩამავლებს გლახასიტყვაობაში და,მომეჭრახომ,თავი?, რადგან, ბილწსიტყვაობა კიარა და, ისეთი ზრდილობიანებებებები არიან, რომ, რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო, ისედაც სავსე აქვთ... — ჰო, ხინკალსაც კი, ჩემო ბატონო, განათლებულობით დანა-ჩქიფვით (დანა-ჩანგლით, — ლეჩხ.ძ გიახლებიან თუგინდაც მზეში ანაცდა ჩრდილში,კი,კი, მართალია ცოტა ძნელათე მაგრამ ზოგიერ-*

*თეთრიანიშვილის თვალს დასაბანად კარგი, საკუთარ თითებს არკადრულობენ და იმათვაკადრეფმებილწსიტყვაობას გინდაცე მაღალ ტრიბუნებიდან და, დროშის ტარებს? —" (გვ. 140ძ.*

*ასეთი ტექსტით თქვენ (ცნობილი ავტორიძ გულმოდგინედ, ერთობ ხაზგასმულად, ჯიუტად უარყოფთ ქართული სალიტერატურო ენის საყოველთაოდ და ოფიციალურად დადგენილ ნორმებს, თანამედროვე დახვეწილ ორთოგრაფიასა და დაზუსტებულ პუნქტუაციას; სავალალო ისიც არის, რომ თქვენ აშკარად დასცინით თქვენს მრევლს (მკითხველსძ და გავიწყდებათ საკუთრივ ნათქვამდაბეჭდილი: „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია". და ამ სასწაულ მკითხველს, მათ შორის „ინტელიგენტკს", ესაუბრებით არაინტელიგენტური ტექსტითა და მსუსხავი ირონიით. უფრო გაუგებარი და საწყენი კი ისაა, რომ თქვენ იცავთ ყოველგვარ ენობრივ დარღვევას და ამით საფრთხეს უქმნით მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას. გვიქადაგებთ ენის — თქვენი, როგორც მწერლის, მთავარი იარაღის დაბინძურებას!*

*გაიხსენეთ თქვენივე სიტყვები: „როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წაიკითხავ, ... თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს". თქვენს მკითხველებს რატომ წაართვით ასეთი სიამოვნება? აქედანვე უნდა გითხრათ, რომ თქვენმა ზემოთ ხსენებულმა წიგნმა კი არ დაგვბურძგლა, არამედ დაგვსუსხა, დაგვსეტყვა, დაგვმეხა და ნერვები დაგვიბზარა.*

*ბატონო გურამ, სამწუხაროა ისიც, რომ ასეთ ენობრივ უკულმართობებს თქვენ ხან ბახუსს აბრალებთ, ხან — თქვენგან შექმნილ ომარა-გივიას, ხანაც კიდევ — „თლათ" სიყვარელ იმერეთს, რომელთა სიყვარულს ვერ გაექცეოდით. მთავარი დამნაშავე, ცხადია, თავად ხართ, თუმცა დროდადრო გრძნობთ კიდეც, რომ მკითხველსაც ტანჯავთ და საკუთარ თავსაც. წინაალმდეგ შემთხვევაში არ წარმოგვიდგენდით ასეთ „განმარტებას" თქვენივე აკვიატებული სტილის დაცვით:*

*„ჩემო და ჩემგან და ამასთანავე აქითჩემთვისაც სატანჯვოვ,მკითხველო,ორმხრივულათ გვააქ ესი ტანჯვა,ტანჯვააესი,მაგრამ,თქვენი არ ვიცი და ხოლო მე სულელი ვარ და აბდალი მე აბა რა ორ რო თლათ ჩემითე ამოვირჩიე აიესიი აი დარგი,აი ის დარგი, აქეთიქითი სატანჯი გადმომცემისაც და წამკითხველისა, ორმხრივად, პროზა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ თქვენიც კარქათაც მიკვირლარიანი და,ძალიანაც, —:*

*რა ძალა გადგათ... მე? — მე კაი ბატონოვ,ვერ ვარ,ბატონო,მაინცადამაინცეთი საყოველთაოდ და ძირფესვიანათ და ანიდა ჰ-ამდე დალაგებული,მაგრამ, ეს ჩემი წერაა თუ ხელწერაა და დიპლიპიტო თუ ქნარიდაარფა თუ საარი და იავნანა, თუ „ნაბუქო"-დან გუნდი და გუნდი ზაქარიასი და ალაგ თუნდაც კიკოხმიანი რაცგინდა გუნდათ,„საიუზ ნერუში-იმიი" და რაღაცაა და ვიღაცანა ვარ თითონაც რო არვიცი არცერთ ერთეულათ ეს კაიბატონო,ესაა ისე თუმც ვერაუხსნელი და თანაც ასეაშკარა, მაინც,და მაგრამ თქვენ რა-ისეთი შეგემთხვათ ასეთი თქვენ რომ ... მე — ბედოვლათსაცკი რომ ასე მომყეთ, მომყევით,და ამჩემებური ჩემდამი ნდობის მოყოლიებით რომ, როგორაც ძაან მინმტკიცებთ, საშველს, და თქვენ რომ იცოდეთ სულაც მთლად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვართ სიამისტყუპტყუპტყუპებივით გადაკიდებულები ერთიმეორეზე თქვენა და მე და თქვენ,ეს მოზევრო მკითხველ-წამკითხველ-განმკითხველი, ზოგიც — სრულიად არაურჯულო და ხოლო რადგან ვინ იცის აბა სასიცოცხლოა თუ პირიქით, ეს,— შავით თეთრზე,ხეიბარული ნავარდობანი," (გვ. 121ძ.*




იხ. მე-11 გვ.

◎ მწარე ხუმრობით

# ვაითუ, მეათედ აიღოს ნაჯახი პაპაჩემმა ზურაბმა!

**ქართულმა ღვინომ და მის გარშემო ატეხილმა ორომტრიალმა, მეც და მთელ ჩემს სანაცნობ-სანათესაოს დაგვიკარგა ძილი და მოსვენება. ცხრაჯერ გავიდა პაპაჩემი ზურაბი ნაჯახით ხელში, ვაზის ასაჩეხად, მაგრამ ცხრაჯერვე მხრებჩამოყრილი დაბრუნდა უკან, როგორც შვილს ვერ გავიმეტებ, ისე ვერ გავიმეტებ ამ დალოცვილსო.**

**არადა, რა ჰქნას ახლა? წლიდან წლამდე ამ ვაზს ელოლიავებოდა და შეჰხაროდა, შემოდგომაზე დავაბინავებ და ერთ-ორ ლარს შემოვინახავო. ახლა რა გინდა რომ ჰქნა. კახელ კაცს ამ უკანასკნელ იმედსაც რომ მოუსპობ, კაცი გქვია მერე შენ? (ონიშენკოს ვლანძღავ ახლა მე და არავინ იფიქროს თავისთავზეძ. ისე, მარტო კახელი კაცისა რა მოგახსენოთ. რუს ვანიას პაპაჩემ ზურაბზე მეტად რომ გაუჭირდება, ეს უკვე ვიცი.**

„გარდაქმნების დროს იცხოვრეო", ასე იწყევლებიან თურმე ჩინელები, ეს რომ გავიგე, მივხვდი ჩინელებზე, სასტიკი ერი არ არსებობს და იმაშიც დავრწმუნდი, რომ მთელი ჩემი თაობა ასე დაწყევლა ვიღაცამ. აბა რაა, ასე გამწარებულ-გაჭირვებულებს რომ გვიწევს თავის გატანა და თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე საეჭვოდ გამხდარი ქართული ღვინის „წესიერების" დაცვა?! მოდი და ნუ „გაოცდები გაცოფებულად".

მაგრამ ჩემი გაოცება მაშინ უნდა გენახათ, „ბიზნეს წინადადებით" შეიარაღებული, საქართველოს თავ-



დაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი რომ ვნახე ბრიუსელში ჩასული. რა უმალ, ოპერატიულად გადაწყვიტა კაცმა ჩვენი ღვინის ბედი. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა ქართველთა უპრეცედენტობასა და განუსაზღვრელობაში.

რამდენი ერთი უნდა იჯავროს ადამიანმა? – ულვინო-„უზორჯომოდ" დარჩენილი რუსი თუ კახელი გლეხი, რომელსაც სულ მცირე 10 ტონა „თავისუფლების სასმელი" მაინც ექნება ამ შემოდგომაზე საკუთარ მარანში (აბა სად წაიღებს ამდენ ყურძენს თუ არა მარანშიძ? ჩემი სატკივარი და სანაღვლებელი გასაგებია, მაგრამ რუსისა არ მესმის მე. მარტო მე კი არა, გამოჩენილმა ექსპერტებმა აღნიშნეს ეს და დაასკვნეს – ეგენიო (რუსეთის მთავრობა იგულისხმესძ ან გაგიჟდნენ ან გასტრონომიული გემოვნება ღალატობთო.

მადლობა ღმერთს, ამ უკანასკნელს მაინც არ ვუჩივით ქართველები.

**იზა მახარაშვილი,**
**თბილისის მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.**

◎ ერის საგანძური

# იკორთისა და თირის მონასტრები მისახედია

**ქართულ პრესაში არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან ის უძველესი ქართული კულტურის ძეგლები, რომლებიც იმყოფებიან დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე. არადა, ბევრი მათგანი ხელოვნებისა და არქიტექტურის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს და შესაბამისად, მათი მოვლა და დაცვა სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების პირდაპირი მოვალეობაა.**

**შიდა ქართლში, საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებში მდებარეობენ ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლები, როგორებიცაა იკორთის ტაძარი და თირის მონასტერი.**

**მათ შესახებ დღეს გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი:**

**– დიახ, არაერთი უნიკალური კულტურის ძეგლი აღმოჩნდა ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ბევრი მათგანის მდგომარეობა სავალალოა, რადგან ჯერ კიდევ ამ კონფლიქტამდე იყვნენ მისახედი. ამჯერად ყურადღების გამახვილებას გავამახვილებ ისეთ ციხეზე, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი.**

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ყველასთვის ცნობილი და საყვარელი იკორთის მონასტერი. ის თითქმის იშლება. მისი რესტავრაცია ჯერ კიდევ 1993-94 წლებში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მაშინ ქართულ მხარეს ოსებმა არ შეუწყეს ხელი და მაგიტომ გადაიდო.

გერის წმინდა გიორგის ეკლესიას ოსები დაეპატრონნენ და შიგნიდან გალესეს, ცხინვალში მდებარე



თირის მონასტერი დიდი ლიახვის ხეობაში მდებარეობს, სოფელ მონასტერთან, სადაც ახლა ოსები სახლობენ. სხვათა შორის, იქ ღვთისმშობლობაზე დღესაც იკრიბებიან ქართველები და ლოცულობენ, ანთებენ სანთლებს. თირში ოსებიც შედიან. ქართველებთან ერთად ლოცულობენ, მიუხედავად დღევანდელი დაძაბულობისა. სულაც ასე იყო ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში. მონასტრის გარეგნული მხარე და ინტერიერი სხვა ტაძრებთან შედარებით უფრო უკეთ გამოიყურება, თუმცა, მაინც მისახედია.

ღვთისმშობლის ეკლესია მოქმედი გახლავთ და ჯერ რუსი მღვდელი სწირავდა, ახლა ოსი ჰყავთ...

***– ჩვენი ხელისუფლების მხრიდან თუ იგეგმება ამ ძეგლების რესტავრაცია?***

– თითოეული ეკლესია შესწავლილი აქვს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, იციან, რა მდგომარეობაში არიან. ისტორიულ ძეგლებზე აქვთ შესაბამისი ანკეტები, სადაც შეტანილია ყველანაირი მონაცემი, – თქვა მან.

**ლია ჭილაძე**

◎ ტენდერი



# იქნებ ხვალ მაინც გავხდეთ „დიდი ნავთობის" ქვეყანა

**ღია საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოში შავი ზღვის აკვატორიისა და აღმოსავლეთ საქართველოს თითოთითო, ასევე დასავლეთ საქართველოს ოთხ სალიცენზიო ბლოკზე ამ უბნებზე ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგიურ-გეოფიზიკურ, ბურღვით და სხვა სამუშაოთა ჩატარებისა და მოპოვების უფლების მისაღებად.**

სააგენტოს წარმომადგენლებმა დამსწრეთ გააცნეს ტენდერში მონაწილე კომპანიები და მათ მიერ აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარების უფლებისთვის შეთავაზებული თანხები, სამუშაო ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი, ასევე აუქციონის საბოლოო შედეგის გამოცხადების ვადები. ისინი ცნობილი გახდება კომპანიების მიერ შეტანილი განაცხადების პაკეტების გახსნიდან დაახლოებით ორ კვირაში. ამის შემდეგ გამარჯვებულმა კომპანიებმა სააგენტოს უნდა წარუდგინონ სალიცენზიო ბლოკებზე ტექნიკურ, ეკონომიკურ და ნავთობის ძებნაძიებით სამუშაოთა ჩატარების გეგმები, წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი ფასის შემთავაზებელი ფირმაც კი ტენდერში გამარჯვებულად არ ჩაითვლება.

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელმა სახელმწიფო სააგენტომ შარშან 30 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერზე გამოიტანა ექვსი სალიცენზიო ბლოკი. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ათზე მეტმა უცხოურმა კომპანიამ, მათ შორის, „გლობალ ოილ ენერჯიმ", „აგლოჯორჯიან პეტროლეუმმა", „აქსაით ენდსმა", სს „ბავარიული ნავთობისა და გაზის კომპანიამ" და სხვებმა. სხვადასხვა ბლოკებზე სამუშაოთა წარმოებას და შემდგომ ნავთობის მოპოვებაზე უფლებისთვის კომპანიების მიერ შეთავაზებული თანხები 150-დან 700 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ განაცხადები მხოლოდ სახმელეთო ბლოკებზე გაკეთდა.

– სიმართლე გითხრათ, ამდენ განაცხადს სააგენტოში ნამდვილად არ ველოდით, იმიტომ რომ ახლანდელ ტენდერზე მათმა რიცხვმა მანამდე გამოცხადებულ სხვა ტენდერებზე შემოსულთა მთლიან რაოდენობას გადააჭარბა, – განაცხადა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ანდრო კოტეტიშვილმა: – ჩვენი, ისევე, როგორც მონაწილე კომპანიების მიზანია აღნიშნული სალიცენზიო ბლოკების დეტალური გეოლოგიური შესწავლა ნავთობისა და გაზის შემცველობაზე. პირობა კი ის გახლავთ, რომ თითოეულ ბლოკზე ოთხი წლის განმავლობაში კომპანიები დაახლოებით 50 მილიონი დოლარის ინვესტიციებს განახორციელებენ, ესაა მინიმალური თანხა. ამის შემდგომ მუშაობა, ცხადია გაგრძელდება, რომელსაც ინვესტორები საკუთარი პროგრამით გააგრძელებენ. კონტრაქტების ვადა კი 25 წელიწადია.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია

## ფაშისტურ კანონებსაც ვიღებთ?

**პოლიტიკური კავშირი „ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ავთანდილ მარგიანი იმ კანონპროექტს აპროტესტებს, რომლითაც ყოფილ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებს სახელმწიფოს მმართველობით აპარატში საქმიანობა ეკრძალებათ.**

**ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ყოფილ კომკავშირულ და პარტიულ მუშაკებს პოლიტიკურ საქმიანობას უკრძალავს, თავისი შინაარსით ფაშისტურია. ასეთ გადაწყვეტილებებს თავის დროზე ჰიტლერი იღებდა", – აღნიშნა მან.**

**კანონპროექტის ავტორებს ავთანდილ მარგიანი ახსენებს, რომ საქართველოს ძნელბედობის ჟამს, საქართველოს ყოფილი პარტნომენკლატურა მართავდა და ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.**

**„სხვათა შორის, ეროვნული გმირი ჟიული შარტავა პარტიული მუშაკი იყო", – დასძენს იგი.**

## დევნილი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა

**სოხუმიდან დევნილი ლუიზა ჯიქონაია, მეუღლესთან ერთად, უკვე მეორე დღეა, ღამეს ზუგდიდის ცენტრში, ბმვ-ს მარკის ავტომანქანაში ათევს.**

**ჯიქონაიას განცხადებით, იგი ზუგდიდში, გაგარინის ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც გადასახადი – 350 ლარი დაუგროვდა, სახლის მეპატრონემ ქუჩაში გამოაგდო.**

**დევნილის თქმით, დახმარებისთვის უკვე მიმართა როგორც ზუგდიდის გამგეობას, ასევე აფხაზეთიდან დევნილთა შესაბამის სამსახურებს, თუმცა ბინის გამოყოფის თაობაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიუღია.**

## სტუდენტები გადაარჩინეს

**რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რუსთავის ფილიალის შენობამ ნგრევა დაიწყო.**

**ორსართულიან შენობას უზარმაზარი ბზარები გაუჩნდა და ზედა სართული, პრაქტიკულად, ჩამოიშალა..**

**შენობაში იმ დროს სტუდენტები იმყოფებოდნენ, რომლებიც გამოცდას აბარებდნენ. საპატრულო პოლიციამ სტუდენტებისა და და პედაგოგების ევაკუაცია შენობიდან დროულად მოახერხა. ხალხის ევაკუაცია მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდანაც მოხდა.**

## რა, ომი იწყება?



**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსი ძალოვანები კონტროლს აძლიერებენ.**

**ფრონეს ხეობაში ოსურმა მხარემ დამატებითი მოძრავი საგუშაგოები შექმნა და არსებული პოსტი ცხინვალიდან ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიის მიმართულებით ავლევისკენ 500 მეტრით გადასწია.**

**ამ დროისთვის ოსი შეიარაღებული ფორმიანების საგუშაგო სოფელ ავლევის შესასვლელთანაა დისლოცირებული.**

**გუშინ დილიდან ისინი საგუშაგოს აძლიერებენ მავთულხლართებითა და ქვიშით სავსე ტომრებით. ყველა გამვლელ მანქანას ამოწმებენ, ქართველ ჟურნალისტებს კი ამ პოსტთან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევენ. მოძრავი საგუშაგოებია შექმნილი ფრონეს ხეობიდან ნიქოზის მიმართულებით, მინდვრებზე გამავალ გზებზე.**

**ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამს და ამ მიმართულებით გადაადგილებისგან თავს იკავებს.**

**ინტერპრესნიუსი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №60



*— ბატონო მოსამართლენო და წოდებრივო წარმომადგენლებო! მე დღეს გამოვცხადდი არა როგორც ბრალდებული, არამედ, როგორც ბრალმდებელი და ამ მხრივ.*
*— თქვენ სიტყვა მოგეცით არა როგორც ბრალმდებელს!..*
*— ბატონებო, ჩვენ თავისუფლებისკენ მივისწრაფვოდით... ჩვენი მისწრაფებების განადგურება, მათი ჩაკვლა, ისევე, როგორც მზის ჩაქრობა, არავის შეუძლია. მე მჯერა, რომ ოდესმე ამ სკამებზე ვიხილავ თავისუფალი რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც მოქალადეებს მსჯავრს თვითონ დასდებენ! დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველა მოქალაქესთან ერთად მანდ ვისხდებით (უთითებს მოსამართლის სკამებზეძ და ჩვენს მოსამართლეებს გავასამართლებთ!..*

# დამცველი ვერავინ დაიცვა...

დარბაზში ხმაური ატყდა. აშკარად შემცბარმა, დაბნეულმა თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა... ბრალდებულს, პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატს, ადვოკატ იოსებ (ოსიკოძ ბარათაშვილს, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა — ციხე, რომელმაც პროფესიონალი იურისტის ცნობიერებაში ახლა გარდატეხა მოახდინა...

ხმაურიანი განცხადის საფუძველი კი დიდხანს მზადდებოდა...

ოსიკო ბარათაშვილი 1895 წელს პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდგომ თბილისის საოლქო სასამართლოში იწყებს მუშაობას. ახალგაზრდა იურისტის დახვეწილ გარეგნობას, ინტელიგენტურობას, ორატორულ ნიჭს, პრობლემის სიღრმეში წვდომის უნარს, მისივე ღრმა სულიერება და ემოციურობა ემატებოდა... ძირითადზე ყურადღების კონცენტრაციის განსაკუთრებული უნარი და სიტუაციის შესაბამისი არტისტიზმი ოსიკო ბარათაშვილის პოპულარობას განსაზღვრავდა. მისი მონაწილეობა სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო პროცესებში ადამიანებს მართლმსაჯულებისადმი ნდობით განაწყობდა...

შემდგომ, გარემოებათა კარნახით და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული იდეოლოგის პროგრამით, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ხდება.

სწამდა, რომ იდეები თუნდაც ყველაზე რაფინირებულ და საჭირო სიტყვებში მოქცეული, არაფერს ნიშნავს, „თვინიერ საქმეთა“.

* * *

დრო პერმანენტულად იცვლება საქართველოში... მასთან ერთად ყველაფერი იცვლება ისევე, როგორც **„საზოგადო მოღვაწის“** სტატუსი. ამ საკრალური ცნების მნიშვნელობა დღეს უცნაურად გაიოლდა და გამარტივდა. „ერის მამებად“ მონათლული ფილისტერები ხმამაღალი ფრაზებით და ჰალსტუხებით დაუსრულებლად გვმოძღვრავენ. ხშირად ისმის სიტყვათა შეთანხმება: „ჩემი მოღვაწეობა“, „მე ვმოღვაწეობ“... თუმცა პარალელურად, უცხოეთის ბანკებში დიდი სისწრაფით იზრდება მათივე ანგარიშები...

უანგარობა იყო ძირითადი მახასიათებელი უკვე გარდასული დროის საზოგადო მოღვაწის ტიპისა, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში უკავშირდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზნებს, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო საქმეებს... საუკუნის დისტანციიდან რაღაც სხვაგვარი სევდით მოსილნი ჩანან ისინი — დიდი წინაპრები თავიანთი ეპოქის განუხორციელებელი იდეალებით. დამსხვრეული იმედებით, ტკივილიანი ფიქრებით სამშობლოზე... დროის ნიშნებივით არიან ძველ ფოტოებზე აღბეჭდილი, უკვე წარსულის ნოსტალგიად ქცეული მათი მშვენიერი სახეები და სახელები...

**— ჩვენ, ქართველები, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან, უფრო მეტად, ვიდრე სხვები, ვგრძნობდით შეზღუდვებს,** — ამბობდა ოსიკო ბარათაშვილი პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან, — **ჩვენ გვდევნიან შრიფტისთვის, ანბანისთვისაც კი. მძიმე იყო ჩვენი მდგომარეობა. ამ ასოებშიც კი ხედავდნენ რაღაც განსაკუთრებულს: ეშინოდათ, რომ მათ წრეში შესაძლებლობა გვქონდა საკუთარი იდეების, საკუთარი აზრების გავრცელებისა... ბიუროკრატები ფიქრობდნენ, რომ ამ საშუალებით ჩვენ შეგვეძლო მათი დამხობა. განაპირა მხარეებში, კერძოდ, საქართველოში, ისინი დღესაც ყველა ზომას მიმართავენ, რომ ჩაახშონ თავისუფალი სიტყვა!..**

* * *

პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროში შედარებით ადრე ჩასული ილია ჭავჭავაძე ოსიკო ბარათაშვილის პირველსავე გამოსვლას დასწრებია. ბოლო რიგებში დაბრძანებულა, ღრმად ჩაფიქრებული და ოდნავ დაძაბული, რადგან წინ გამოსული ქართველი ორატორი **ი. რამიშვილი** ვრცელ სიტყვას ამბობდა **„დიდი რუსი ერის“** ინტერესების დასაცავად, ისე რომ, საქართველო არც უხსენებია...

და აი, შემდეგი გამომსვლელი, იოსებ ბარათაშვილი გამოაცხადეს. ის ენერგიულად, სწრაფად ავიდა ტრიბუნაზე და ხმის ლამაზი, გულშიჩამწვდომი ტემბრით მთელ სათათბიროს **უპირველესად ქართველი ერის სახელით მიესალმა...**

„ილია მთლად გადასხვაფერდა, — იგონებს თვითმხილველი მ. ბოლქვაძე, — შუბლი საამოდ გადაეშალა, იღიმებოდა და კმაყოფილებით უქცერდა“...

ისტორიამ არ შემოგვინახა ამ ორი დიდი ქართველის ურთიერთობის სხვა ფურცლები. არ ვიცით, წინასწარ ეცნობოდა თუ არა ილია ოსიკო ბარათაშვილის გამოსვლების თეზისებს, მაგრამ მათი აზრების თანხვედრა სხვადასხვა დროს, არაერთგზის გამოიხატა...

ცნობილია ილიას კონსპექტი, **„სიკვდილისათვის“,** რითაც ის სახელმწიფო სათათბიროში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოსავლელად ემზადებოდა.

ასევე შემონახულია ოსიკო ბარათაშვილის სიტყვა, იმავე ტრიბუნიდან, განსაკუთრებული ორატორული ოსტატობით წარმოთქმული, როცა საქმე ეხებოდა ორი მცირეწლოვანი დამნაშავის გასამართლებას და სამხედრო კანონის 279-ე მუხლის მიხედვით, სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდა... **„თქვენ ტაშს უკრავთ სიკვდილით დასჯას!..“** სამართლებრივ კანონთა ცოდნასთან ერთად ნამდვილ ემოციებს ამჟღავნებდა ქართველი ადვოკატი, რომელმაც შემდგომაც არაერთი ადამიანი გადაარჩინა სასიკვდილო განაჩენს.

სამართალმცოდნეობას, ისტორიას შემორჩა მისი გამოსვლების რამდენიმე სტენოგრაფიული ჩანაწერი, როგორც ადვოკატის აზროვნების და მჭევრმეტყველების სახელმძღვანელო ნიმუში... შემოგვრჩა თანამედროვეთა მოგონებებიც... მათ შორის ძალიან კმაყოფილი ილია ჭავჭავაძის ღიმილიანი განაცხადი: **„ახლა მე რაღა საჭირო ვარ? რაკი ბარათაშვილი აქ არის უჩემოდაც დაიცავს ჩვენს ინტერესებს!..“**



ოსიკო ბარათაშვილი და მისი მეუღლე ბარბარა ბარათაშვილი

* * *

1937 წელი. საბჭოთა კავშირის უმაღლესი კოლეგიის გამსვლელმა სესიამ იოსებ ბარათაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა...

იმ ოსიკო ბარათაშვილს, „ხალხის მტრად“ გამოცხადებულს, რომელმაც ჯერ კიდევ 1906 წელს, როგორც პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, **სიკვდილის დასჯის გაუქმება მოითხოვა...** მოითხოვა სიტყვის და პრესის თავისუფლებაც...

საქართველოს ისტორიაში შევიდა მისი, როგორც ლეგენდარული პიროვნების სახელი, რომელმაც **პირველმა აღძრა რუსეთის წინაშე, პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროზე, საქართველოს თავისუფლების საკითხი...**

**ვერავინ გადაარჩინა იგი. მრავალი ადამიანის დამცველს, სამწუხაროდ, თავად დამცველი არ ჰყოლია...**

იხ. მე-9 გვ.




ეს ფოტო გასული საუკუნის დასაწყისში, ოდესღაც ელიტარულ ქალაქ ქუთაისშია გადაღებული. ქალაქის არისტოკრატია მასპინძლობს სოხუმელ თავადს და პოეტს, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟს,



მწერალს და საზოგადო მოღვაწეს **გიორგი შარვაშიძეს,** რომელიც მთელი თავისი ღირსებით და კეთილშობილური იერით ზის მათ შორის, შუაში, ჩოხაში გამოწყობილი. დგანან (მარჯვნიდანძ ბონდო მიქელაძე, ჟორჟიკა გაბაშვილი, საშა ერისთავი, ნიკო ფაღავა, ალიოშა გაბაშვილი...

მათთან ერთად, სურათზე აღბეჭდილნი არიან: კატო აბაშიძე (კიტა აბაშიძის დაძ, კონსტანტინე ერისთავი, მარო წერეთელი, ვარინკა წერეთელი (გოგონასთან ერთადძ, ლიზა აგიაშვილი (შავ, ელეგანტურ კაბაშიძ, კაკო დადიანი და სხვანი...

ჩვენი დროის დისტანციიდან ალბათ ძნელი წარმოსადგენია როგორ წარიმართებოდა ამ ერთი შეხედვითაც ღირსეულ ქართველთა თავყრილობა... ზოგი რამ კი უეჭველია: იქნებოდა საუბრები საქართველოზე და მშვენიერი სიმღერებიც, რადგან მათ შორის „სულიკოს“ ავტორი ვარინკა წერეთელი და მაშინ ცნობილი ბანი ბონდო მიქელაძე გახლავთ...

# დაქცეული ვენახის დაისვა...

(მერვე გვერდიდან)

* * *

**სამი თაობის ინტელიგენციის ბინაში, კედელზე, დიდი ხნის წინათ გაჩერებული ძველებური საათი ჰკიდია... მაგიდასთან იდაყვდაყრდნობით ზის ჩაფიქრებული და მხრებში ოდნავ მოხრილი ბატონი ლადო ბარათაშვილი და მამას და წარსულს, ერთდროულად იგონებს... ამ ოთახში საათთან ერთად, თითქოს დროც საგანგებოდ გაჩერებულა... ყველა საგანი, ყველა სიტყვა უკავშირდება იმას, რაც უკვე იყო და აღარ არის...**

— მამა რომ ჩეკისტებს კიბეებზე ჩაჰყავდათ, უცებ შეჩერდა და ამომხედა, მითხრა: „დღეიდან ცხოვრება გიჩვენებს როგორ უნდა მოიქცე.. პატიოსნება და ვაჟკაცობა არ დაკარგო“...

მაშინ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი... როგორც „ხალხის მტრის“ შვილი უნივერსიტეტიდან გამრიცხეს და დამაპატიმრეს.... დედაჩემიც გაასამართლეს და ყაზახეთში გადაასახლეს“...

წლების მერე, პატიმრობაგამოვლილი და მამის პროფესიას დაუფლებული ადვოკატი 10 წლის წინათ გადასახლებულ დედასთან ჩადის...

**— არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი ჩვენი შეხვედრა.. შორიდან დავინახე და უცებ ვერც ვიცანი, მოდიოდა ჩემი ოდესღაც ულამაზესი დედა, — სულ სხვანაირი, პატიმრის ქურთუკში, ნირშეცვლილი... პირველივე კითხვა, რაც დამისვა, იყო: „ოსიკოსი რა იცი?“ ვეცადე, დამემშვიდებინა. მერე სხვათა შორის, ვუთხარი: „ხედავ, დედა, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემის გამო ჩავარდი ამ დღეში, მაინც, პირველად მის ამბავს კითხულობ-მეთქი...**

**იცით, რა მიპასუხა? — „მე მთელი ცხოვრება გავძლებ ასე, ვიქნები სამუდამო პატიმარი, ოღონდ ვიცოდე, რომ ოსიკო ცოცხალია“...**

* * *

— მამის მოღვაწეობიდან რომელ პროცესებს თვლით განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად?

— 1922-27 წლებში მამა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი იყო. 1923 წელს გახმაურებულ პროცესზე იცავდა კათალიკოს ამბროსი ხელაიას... იცავდა ასევე არსენა ჯორჯიაშვილსაც, რომელმაც გენერალ-მაიორი გრიაზნოვი მოჰკლა...

განსაკუთრებით საამაყოდ მიმაჩნია მამას ხელმოწერა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე...

— მოგონებების მიხედვით, ოსიკო ბარათაშვილი პოლიტიკურ პროცესებზე უფასოდ გამოდიოდა. პატიმართა მახლობლებს მატერიალურად ეხმარებოდა. წერენ იმასაც, რომ არაჩვეულებრივი არტისტული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

— შესანიშნავად უკრავდა თარზე. მელიტონ ბალანჩივაძის გუნდში მღეროდა და უკრავდა... იშვიათად მუსიკალური იყო. ერთ დღეს მთელი თბილისი აალაპარაკა: ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში“ კანიოს პარტია შეასრულა. დიდი ოვაციები გაუმართეს. საერთოდ, მრავალმხრივი ადამიანი იყო.

* * *

**1940 წელს 20 წლის ადვოკატი ლადო ბარათაშვილი თავის პირველსავე პროცესს იგებს.**

— თითქოს მამის აჩრდილი მკარნახობდა... ეს დღე ჩემს ცხოვრებაში არაჩვეულებრივ განცდებთანაა დაკავშირებული. მე და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთად გამოვედით სასამართლო დარბაზიდან.

— მრავალი წელია სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობთ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება იყოს დამნაშავე, რომელსაც თქვენ რალაც მიზეზის გამო არ დაიცავთ?

—ადვოკატის პროფესიული ვალია დაიცვას ყველა. დამნაშავესაც აქვს თავისი უფლებები. მასშიც შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. ადამიანს ერთმნიშვნელოვნად არ ვუყურებ. შეძლებისდაგვარად ვუთანაგრძნობ ყველას.

— როცა საქმეს აგებთ, რა გრძნობა გეუფლებათ?

— ვცდილობ ბოლომდე ვიბრძოლო. ერთი კლიენტი მყავდა გორიდან. 15 წელი მიუსაჯეს. ოთხი წელი ვსდიე ამ საქმეს. ჩემი ხარჯით მოსკოვშიც ჩავედი, იქ გავასაჩივრე... უდიდესი ენერგია დავხარჯე და შედეგად 15 წელმისჯილი პატიმარი, უპირობოდ გაათავისუფლეს. გახარებულმა გორში დავრეკე. მადლობის ნაცვლად, მიპასუხეს: „ჩვენ ხომ არ გვითხოვია მოსკოვში წასვლა, რატომ წახვედიო“... — ასეც ხდება ხოლმე... მაგრამ ეს არ არის მთავარი...



ლადო ბარათაშვილი შვილთაშვილ ირინასთან ერთად

* * *

ბატონი ლადო მრავალ პროცესს იგონებს სიამაყით. მაგალითად, „სუხიშვილების“ ერთ-ერთ მოცეკვავის დასაცავად ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს. სასამართლო დარბაზში აუარება გულშემატკივარი იყო. ადვოკატის გამოსვლა საქმისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. იმ დღესვე გაათავისუფლეს ბრალდებული. ხალხმა დამცველი მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა, ხელშიც აიტაცეს...

**გენეტიკურად მომადლებულ ორატორულ ნიჭს ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის ცოდნაც ეხმარება. თვლის, რომ ადვოკატისთვის არსებითია: „იცოდეს რა თქვას და რა არ უნდა თქვას“... ეს ალბათ ყველა ადამიანისთვის არის მთავარი...**

1994 წელს შავი ზღვის აუზის ადვოკატთა კონგრესზე მიიწვიეს ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით და უცხოელ კოლეგებს დეკლარაცია სწორედ ლადო ბარათაშვილმა გააცნო. იმავე წლის სექტემბერში ანკარაში მათ წინაშე პრობლემატურ მოხსენებას კითხულობდა. გულისყურით უსმენდნენ. ქართული ადვოკატური სკოლის პროფესიული დონე ერთხმად აღიარეს.

ლადო ბარათაშვილი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის არჩეული თავმჯდომარე, დღეს ოდენ საპატიო თავმჯდომარეა. კონსულტაციებისთვის მიდიან. ყოველთვის საქმის კურსშია, თუ რა ხდება ახალ იურისპრუდენციაში. თვლის, რომ ბევრი კანონი შეიცვალა. ბევრი რამ არ არის არგუმენტირებული და საერთოდ, შეიცვალა დრო...

* * *

**როცა ამ სახლში ისევ დავბრუნდით, მეორე დღესაც, კედლის საათი იგივე დროს უჩვენებდა. ძველი მხატვრების მშვენიერი და ფასეულობათა გადაფასების შემდეგაც დროში გამოცდილი ნახატები ეკიდა ოთახში... წიგნებში, რომელიც ბატონმა ლადომ გადმოგვილო, ფურცლები დიდი ხნის უკან იყო ჩანიშნული... ჩვენც იმ გვერდებზე გადავშალეთ და ძველი ამბების სიმყუდროვით ალვივსეთ...**

მაგრამ ამ გაყვითლებულ ფურცლებში უაღრესად თანამედროვედ ჟღერს ოსიკო ბარათაშვილის სიტყვების სტენოგრაფიული ჩანაწერები. თარიღები რომ გადავაადგილოთ, დღევანდელი დღეების კომენტარებადაც წარმოვიდგენთ...

მაგალითად, ის ერთგან ამბობს, რომ პოლიცია სასამართლო გადაწყვეტილებებს არ ელოდება და **„მახვილით და დარბევით“** მოქმედებს. **„სანამ შინაგან საქმეთა ეს სამინისტრო იარსებებს, მანამ კიდევ არაერთხელ ვიქნებით ახალი დარბევების მოწმენი“.** სახელმწიფო სათათბიროს მიმართავს, რომ გამეფებულია არაადამიანური სისასტიკე საქართველოს მოსახლეობის მიმართ. **ექვმიტანილებს, ხელისუფლების დასტურით, ციხეში მიყვანამდე, გზაში კლავენ...** ითხოვს მინისტრების გადადგომას და დასძენს: **„დაე, ნუ წავლენ, მაგრამ სახალხო-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღა დაამხობს არსებულ რეჟიმს და ამ მინისტრებსაც წალეკავს“...**

ოსიკო ბარათაშვილი აუცილებლობად მიიჩნევს, ხმამაღლა ითქვას, თუ როგორ ექცევიან ქართველებს რუსი გენერლები... მაგრამ გენერალი ალიხანოვი მისთვის მხოლოდ კონკრეტიკაა და საკითხის განზოგადოებისთვის სისტემის არსებით ცვლილებებზე საუბრობს: **„ჩვენ მოგვიწევს გადავწყვიტოთ უდიდესი მნიშვნელობის სოციალური საკითხი — სახელმწიფო სისტემის მთელი სოციალური წყობის შეცვლის შესახებ. მე, როგორც დაბეჩავებული და მრავალტანჯული საქართველოს ერთ-ერთი შვილი, მოგესალმებით თქვენ და აღვნიშნავ, რომ საქართველოს ოდესღაც შეეძლო სამშობლოს განთავისუფლებისთვის თავდადება“...**

* * *

ისტორიაში ასე მთლიანდება ძველი და ახალი. წარსული მუდამ თან გვახლავს და ჩვენს ყოველდღიურ ცნობიერებაში მონაწილეობს. გვახსენებს, **თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარდასულ დროს, თუნდაც ძველი კედლის საათზე შეჩერებულს...**

# წაგებული ბიოგრაფია

**„რა დაერქვას ამ ეპოპეას, რომელიც არ ეტევა ლიტერატურული ცნების არც ერთ ტერმინში? გრძნობა, ხერხი, ფიქრი, ეპოქა ჩაწოლილია გულში, დუღს, როგორც სტიქიონი და ეძიებს მისთვის კალაპოტი და სტილი...**

**ესაა ცოცხალი, აფართხალებული ცხოვრება.**

**„კვამლი, ნაცარი და საუბარი“**
**და ყოველივე ეს მიდის, ქრება...“**
**ნიკოლო მიწიშვილი.**

გრძნობების და ემოციების გადატანას ლიტერატურაში მწერალი ვირჯინია ვულფი ძალზე სახიფათოდ მიიჩნევდა. ამავე დროს, დარწმუნებული გახლდათ, რომ წერის დროს პირველად ემოცია უნდა ალიძრას.

გრძნობადის და ცნობადის პროპორციები ლიტერატურათმცოდნეობის ცნობილი თემაა, მით უმეტეს, როცა დოკუმენტურ პროზაზეა საუბარი, რასაც **ნიკოლო მიწიშვილი** არა ზოგადად ჟანრს, არამედ **„წერის პრინციპს“** უწოდებდა. საკუთარი შემოქმედების სტილის გასაღებიც თავად შემოგვთავაზა:: **„უცხოეთიდან თანამედროვე სამყაროს ხედვა მოცემულია, როგორც კონტრასტებზე დამყარებული ხერხი“.**

გრძნობადი სამყარო, ისტორიზმი მხატვრულ სახეებში, წერის სრულიად ორიგინალური მანერა, ავანგარდისტული სკოლების გამოცდილება და ტრადიციის აუცილებელი გათვალისწინება... ამასთან ერთად კი სულისშემძვრელი სიმართლე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებას, რომელიც მრავალ მიზეზთა გამო (ემიგრაცია, რეპრესიები, მწერლის აზროვნების ფორმის ვერ გაგება, გამოუცემელი წიგნები და ა. შ.) ქართველი მკითხველისთვის ყოველთვის ძნელად მისაწვდომი იყო.

13 ივლისს ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში ნიკოლო მიწიშვილის სახელი რაღაც სხვაგვარი მონატრებით და მოკრძალებით აჟღერდა.

მწერლის დაბადებიდან 110 წლისთავისთვის გამომცემლობებმა „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ მწერლის მემკვიდრეობის სანიმუშო გამოცემით თითქოს **ქართულ ლიტერატურულ პარნასს დაუბრუნეს დიდი ხანია ასაღიარებელი სახელი — ნიკოლო მიწიშვილი...**



ალბათ მისტერიაა, როცა მწერალი თავისი ბედისწერის თარიღებს წინაწარმეტყველურად განჭვრეტს...

მან ზუსტად განსაზღვრა, რომ გაუძნელდებოდა ლიტერატურულ სივრცეში ნამდვილი ადგილის დამკვიდრება. იცოდა, რომ არსებობს „პოეზიაში ბრძოლა“ და ეს **„ბრძოლაა საკუთარი ხმისთვის“...** ელოდა, რომ შეიძლება განშორებას დაიწყებაც მოჰყვეს და ყალბად აჟღერდეს ძველი მეგობრების სიტყვებიც...

**„თქვენ ამბობთ, რომ მე მაქვს საკუთარი ხმა, ჩემი გზა და გამართლება... მე დღეს გშორდებით თქვენ და გთხოვთ: თუმცა ჩვენ ყველანი ვიბრძვით საკუთარი ნიჭის ამაღლებისთვის — ჩვენ ვართ მეგობრები სიკვდილამდე და ვფიქრობ, ჩემი ადგილი თქვენს გულში არ უნდა იქნას გაუქმებული. თქვენს პოეზიაში მე მეკუთვნის ერთი თარო და ეს თარო ჩემი უნდა იქნეს. რასაკვირველია, მე ამ თაროს არ დავეძებ. დავბრუნდები და კვლავ დავიჭერ ჩემს ადგილს, მაგრამ მე ეს მინდა ვთქვა, ყოველი შემთხვევისთვის...“**

* * *

წიგნების პრეზენტაცია კამერულ ლიტერატურულ საღამოდ გადაიქცა, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს **ზაზა აბაშიძეს** ზემოთ ნახსენები „გრძნობადის და ცნობადის“ პროპორციებით, გემოვნების ნიშნით მიჰყავდა..

„კალნიერებაში ნუ ჩამომართმევთ“: — მწერლის ვაჟმა ილამაზ მიწიშვილმა ლიტერატურული საზოგადოების წინაშე გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო და გვიამბო არაჩვეულებრივი საგა მიწიშვილების წინაპრების და ოჯახის, მწერლის ცხოვრების ცნობილი თუ უცნობი დეტალების შესახებ. პარალელურად ეკრანზე გვიჩვენებდნენ უნიკალურ ფოტომასალას — გადაღებულს საქართველოსა და ევროპაში...

ბატონ ილამაზს არ უხმარია არც ერთი ლიტმცოდნეობითი ტერმინი ან საგანგებოდ მოხმობილი ე. წ. ელიტარული სიტყვათა შეთანხმება. მისი თხრობის მანერაში ყველაზე მიმზიდველი სწორედ სისადავე, გამჭირვალება და ბუნებრივობა იყო, რასაც გენეტიკური მოკრძალება ახლდა.

„ბატონ ილამაზ მიწიშვილს შედგენილი აქვს შესანიშნავი მონოგრაფია, — ამბობს კრებულის „ფიქრები საქართველოზე“ რედაქტორი **ლევან ბრეგაძე,** — უაღრესად საინტერესო იქნება, თუ ის დაიბეჭდება როგორც წიგნი, შთამბეჭდავი ფოტოილუსტრაციებით საოჯახო ალბომიდან.

რაც შეეხება ნიკოლო მიწიშვილის მემკვიდრეობას: ეს არის მაღალი რანგის ნამდვილი ლიტერატურა. განსაკუთრებით პროზა. საოცარია, რომ ამ მართლაც მნიშვნელოვან მწერალს აქამდე თითქმის არ იცნობდა ქართველი მკითხველი.

მან ცხოვრების ურთულესი გზა გაიარა. დააგვიანა აღიარებამაც... მიუხედავად იმისა, რომ 1956 წლიდან რეაბილიტირებულია, მისი პიროვნული და ნამდვილი რეაბილიტაცია ფაქტობრივად დღეს, აქ, ამ დარბაზში შესდგა...“

* * *

**„ო, საქართველოვ, წიგნო,**
**ჩუმად გადასაშლელო“...**

მხოლოდ „გრძნობადით“ ან თუნდაც მხოლოდ „ცნობადით“, დიდი ნიჭიერების გარეშე ვერ დაიწერებოდა მისი ლექსების ამგვარი სტრიქონები...

ხოლო პროზის საგნობრიობა და უნივერსალურობა უზადო მწერლურ ოსტატობასთან ერთად რაიმე შელავათს არ საჭიროებს ახალგაზრდობის თუ ტრაგიკული ბიოგრაფიის გამო და ჩვენთან ახლახან „დაბრუნებული“ ნიკოლო მიწიშვილი დღეიდან ალბათ კლასიკოსთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, თუნდაც იმ ზოგადი განმარტების თანახმად, რომ კლასიკა არის ის, რასაც ყველა დროში წაიკითხავენ...

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის წარმომადგენელი, ერთ-ერთი იმ „ცამეტთაგანი“, მოდერნის ესთეტიკის ცოდნით და შემოქმედებითი ათვისებით, ტრადიციის ერთგულებით, მსოფლიოს ლიტერატურის გაკვეთილების გათვალისწინებით, სამწუხაროდ, მხოლოდ დღეს მკვიდრდება, როგორც ნამდვილი ღირებულება...

საკუთარი ცხოვრების გზას მან **„წაგებული ბიოგრაფია“** უწოდა, რაც, ბუნებრივია, ჩვენთვის მისივე ტრაგიკულ ბედისწერასთან ასოცირდება...

ცნობა არქივიდან: **„სრულიად საიდუმლოდ ნიკოლოზ მიწიშვილის დახვრეტის განაჩენი სისრულეშია მოყვანილი ქ. თბილისში 1937 წელს... განაჩენის სისრულეში მოყვანის აქტი ინახება სპეც. განყოფილების არქივში, ტ. 8 ფ. 316“...**

* * *

ნიკოლო მიწიშვილი ალბათ მეორედ ბრუნდება სამშობლოში: ერთხელ სიცოცხლეში, ევროპაში, ხანმოკლე მოგზაურობიდან თუ ემიგრაციიდან, ხოლო მეორეჯერ, ახლა, სიკვდილიდან დიდი ხნის მერე...

თან ახლავს დაკარგული თაობის ბიოგრაფია და სამშობლოსადმი მიძღვნილი უმშვენიერესი, ტკივილიანი სტრიქონები... მათ შორის, ასეთიც:

**„და საქართველოს მზიან**
**სერებზე**
**ცრემლიან თვალებს**
**გადავაგორებ...“**

**სურათზე: სხედან (მარცხნიდან): კოლაუ ნადირაძე, ანდრეი ბელის მეუღლე, პაოლო იაშვილის მეუღლე — თამარი, ტიციან ტაბიძის მეუღლე — ნინო მაყაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი;**
**დგანან: ტიციან ტაბიძე, ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სანდრო შანშიაშვილი.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უღალატებს დასავლეთი საქართველოს?

**ქართული ღვინო რუსეთში ახალი საშუალო ფენის საყვარელი სასმელია. იქ თითქმის ყოველთვის შეხვდებით სუფრაზე „ქინძმარაულს“ ან მშრალ „საფერავს“. მაგრამ მთელი პრობლემაა ის, რომ ღვინო საკმარისი არ არის. დეფიციტის აღმოფხვრა გადაწყვიტეს კარგად აპრობირებული საბჭოური მეთოდით – რუსული ბაზარი გაავსეს ფალსიფიცირებული სასმელებით. სავარაუდოდ, რუსეთში შეტანილი ქართული ღვინოების 80 პროცენტი ფალსიფიცირებულია. ამ საბაბით აკრძალა კიდეც ერთი თვის წინათ რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა საქართველოდან ღვინოების იმპორტი.**

ყალბი პროდუქციის მასშტაბი პოსტსაბჭოურ სივრცეში ისევე დიდია და ეს პრობლემა ისევე მწვავეა, როგორც ალკოჰოლიზმის პრობლემა რუსეთში. იგი არის დემოგრაფიული კატასტროფის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. მარტო გასულ წელს რუსეთში ალკოჰოლიანი სასმელებით მოწამვლის შედეგად დაიღუპა 40 ათასი კაცი. მაგრამ აკრძალვა პრობლემას ვერ გადაჭრის. თანაც, საქართველო აქტიურად ებრძვის ღვინის ფალსიფიკაციას, რუსეთში კი ამ მიზნით არაფერს აკეთებენ. გასულ წელს საქართველოს კახეთის რეგიონში მოიწიეს ყურძენი, რომელიც საკმარისი იყო წელიწადში მხოლოდ 1,4 მილიონი ბოთლი „მუკუზნის“ წარმოებისთვის, თუმცა რუსეთში გაიყიდა 10 მილიონი ბოთლი ამ მარკის ღვინო. ამ სასმელის უმეტესი ნაწილი ჩამოასხეს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, საეჭვო წარმოშობის სპირტის ან შინნახადი არყის გამოყენებით. სწორედ ეს არის კიდეც ადამიანის ჯანმრთელობისათვის უაღრესად საშიში ფალსიფიცირებული სასმელები.

მაგრამ ქართული ღვინოების იმპორტზე რუსეთის მიერ დაწესებული აკრძალვა არის მხოლოდ მორიგი სცენა დრამისა, რომელიც ერთი თვის წინათ დაიწყო ვილნიუსში დიკ ჩეინიმ, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთმა გადაუხვია დემოკრატიის გზას. XIX საუკუნეში ჩემი წინაპრები მონაწილეობდნენ ბრიტანეთის და რუსეთის იმპერიებს შორის წამოწყებულ დიდ თამაშში, როცა იბრძოდნენ ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, დღეს კი, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემში ზიზღს იწვევს როცა ვუყურებ, თუ როგორ ცდილობენ დასავლეთის სახელმწიფოები ამ თამაშის მორიგი რაუნდის წარმართვას.

ახლა თვალი გადავავლოთ რუკას. რუსეთი ბელორუსიას და უკრაინას მიიჩნევს არა უბრალოდ უახლოესი საზღვარგარეთის ქვეყნებად, როგორც დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებს, არამედ აღმოსავლეთი სლავების ერთიანი იმპერიის ნაწილად. ასეთი ხედვა ეფუძნება როგორც ისტორიას, ისე ამ ქვეყნების ეროვნულ შემადგენლობას.




რადგან რუსეთს არ შეუძლია ძალისმიერი პასუხი გასცეს დასავლეთის ნაბიჯებს, იგი უფრო დახვეწილ პოლიტიკას მიმართავს. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის გატანის შესახებ დადებული შეთანხმება სრულდება: ორი ბაზა უკვე დაიხურა, როგორც ჩანს, ორიოდე წელიწადში დანარჩენ ორსაც გაიტანენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი, როგორც ჩანს, მზად არის გაიტანოს თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზები ყირიმის ნახევარკუნძულიდან 2017 წლისთვის, როცა ამოიწურება უკრაინასთან მიღწეული მორიგების ვადა. ზესახელმწიფოსთვის ყოველივე ეს ძალზე დამამცირებელია.

სამაგიეროდ, რუსეთმა გადაწყვიტა გამოიყენოს ყველა თავისი ძლიერი მხარე – იგი ცდილობს პოზიციების განმტკიცებას აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და უკრაინის სამხრეთ ნაწილში, სადაც ეროვნული უმცირესობები სასტიკად ეწინააღმდეგებიან იმ სახელმწიფოთა შემადგენლობაში შესვლას, რომლებშიც ისინი თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ.

ყოველივე ამის პარალელურად რუსეთი მეზობლებს შეახსენებს იმასაც, თუ რამდენად პირობითია მათი „დამოუკიდებლობა“. მიმდინარე წელი საქართველოში დაიწყო რუსეთიდან შემომავალ მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ბურუსით მოცული აფეთქებებით, რის შედეგადაც ქვეყანა გათბობის გარეშე დარჩა სუსხიან ზამთარში. მანამდე კი რუსეთმა აკრძალა საქართველოდან ხილისა და ბოსტნეული იმპორტი. ამას დაემატა ქართული ღვინოსა და მინერალურ წყლებზე დადებული ემბარგოც.

ყოველივე ამის შედეგად საქართველო კრიზისში აღმოჩნდა. ქვეყნის მოძველებული მრეწველობის უდიდესი ნაწილი არ მოქმედებს ფრიად საეჭვო საპრივატიზაციო გარიგებათა შედეგად. ღვინოს საქართველოს ექსპორტში თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი ეკავა, და ამ პროდუქციის 70 პროცენტი რუსეთში იგზავნებოდა. ახლა ყოველივე ამას თუ დავუმატებთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს, რომელთა შედეგადაც უამრავი ქართველი გადავიდა საცხოვრებლად ქვეყნის სხვა რეგიონებში, ძალზე არადამაიმედებელ სურათს მივიღებთ. თუ ქვეყანა ჯერჯერობით როგორღაც ახერხებს თავის გატანას, ეს ხდება მხოლოდ შეერთებული შტატებისგან მიღებული დახმარებით და საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულით, სადაც მოსახლეობის მეოთხედი მუშაობს. გავრცელდა ხმები, რომ რუსეთმა შეიძლება შინ დაბრუნება აიძულოს მოსკოვში მომუშავე ორ მილიონამდე ქართველს. ეს თუ მოხდება, საქართველოს ეკონომიკა კოლაფსში აღმოჩნდება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული დროშა ამერიკულ ფლაგშტოკს მიამაგრა. დასავლეთს ამან საკმაო სარგებელი მოუტანა. შარშან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენმა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, ევროპა დაუკავშირა კასპიის ზღვას – ორგანული სათბობის დაუმუშავებული მარაგების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს რეგიონს. მიმდინარე წლის დამლევამდე მეორე მილსადენით აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის“ საბადოში მოპოვებული გაზი ჩააღწევს თურქეთის ერზრუმის ნავსადგურში და ესეც საქართველოს ტერიტორიის გავლით მოხდება.

ნაკლებად გასაგებია ის, თუ რა მისცა სააკაშვილის ასეთმა პოლიტიკამ საქართველოს. ქვეყანას არ სთავაზობენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას, თუმცა მას აიმედებენ იმით, რომ შესაძლოა მიიწვიონ ნატოში, მაგრამ არც აქ არსებობს დასავლეთის მიერ ნაკისრი რაიმე მკაფიო ვალდებულებანი. ცხადია ერთი რამ: თუ რუსეთი გააძლიერებს საქართველოზე ზემოქმედებას, დასავლეთი, ალბათ, შეაქცევს ზურგს თავის მოკავშირეს.

საქართველოს ისტორიაში ასეთი რამ პირველად არ მოხდება. ეს პატარა ქვეყანა, რომელმაც შორეულ IV საუკუნის დამდეგს მიიღო ქრისტიანობა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მარტო იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის.

იბადება ასეთი კითხვა: თუ ჩვენ კვლავ ბედის ანაბარა შევატოვებთ მოკავშირეებს რუსეთს, როგორც ეს მოხდა 1956 წელს უნგრეთში, ასეთ შემთხვევაში ვილა გვენდობა ჩვენ, დასავლეთს?

**სიუზან რიჩარდსი,**
**«The Spectator»,**
**დიდი ბრიტანეთი**

# მოკლედ

**აფეთქება ბაღდადის შიიტურ მეჩეთში: დაიღუპა 10 და დაიჭრა 25 კაცი. „შაჰიდის ქამრიანმა“ ტერორისტმა აიფეთქა თავი ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ბურათის მეჩეთში. აფეთქება მოხდა პარასკევის ლოცვის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, რომელსაც, როგორც წესი, უამრავი მორწმუნე ესწრება.**



* * *

**ტალინის ხელისუფლებამ აღარ გადაიტანა ქალაქის ცენტრში აღმართული განმათავისუფლებელი მეომრის ძეგლი. მისი გადატანის შესახებ წინადადება წარმოადგინა „ისამაალიიტის“ ოპოზიციურმა ეროვნულ-რადიკალურმა პარტიამ. მაგრამ ცენტრისტული პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ქალაქის საკრებულოში ადგილების ნახევარზე მეტი ეკუთვნით, არ დაუჭირეს მხარი ძეგლის გადატანას.**

* * *

**ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში მოხდა სამი აფეთქება. მსხვერპლი არ არის. პირველი აფეთქება მოხდა ნაშუაღამევს, ირანის საელჩოსთან, პარლამენტის შენობიდან ასიოდე მეტრში. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა**



**მეორე აფეთქება საიდ აბდულო ნურის საქველმოქმედო ფონდის მახლობლად, მესამე აფეთქება კი მოხდა დილის 7 საათსა და 30 წუთზე ტაჯიკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან.**

* * *

**დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და იაპონია მომავალ კვირას გამოაცხადებენ, რომ გადიან სამხრეთ ერაყიდან. ისინი უშიშროებისა და წესრიგის უზრუნველყოფისთვის მთელ პასუხისმგებლობას ერაყის მთავრობას გადასცემენ. ამის შემ-**



**დეგ ამ სამი ქვეყნის ჯარები დატოვებენ ერაყის სამხრეთ ნაწილს. მორიგება ამის შესახებ მიიღეს ლონდონში, სადაც გასულ კვირას დახურულ კარს მიღმა გაიმართა ბრიტანეთის, ავსტრალიის და იაპონიის სამხედრო უწყებათა წარმომადგენლების თათბირი.**

* * *

**ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა „ექვსეულის“ წინადადებათა პაკეტს უწოდა ბირთვული პრობლემის მოგვარების გზაზე „წინ გადადგმული ნაბიჯი“. როგორც მან განაცხადა, ირანი ვითარების გამწვავებას დიალოგის გამართვას ამჯობინებს. მსოფლიოში უშიშროების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანობის და სულიერ ღირებულებათა დაცვის გზით, – დარწმუნებულია ირანის პრეზიდენტი.**



# შეიძლება მოჰყვეს ახალი სისხლისღვრაო

## სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება. გთავაზობთ ამ დოკუმენტის სრულ ტექსტს:**

„იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას არაერთგზის განუცხადებია, რომ ერთგულობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებას, იგი კვლავ განაგრძობს მოქმედებას სრულიად საწინააღმდეგო კალაპოტით. ქართული მხარე არათუ არ ასრულებს, არამედ აშკარად და რეგულარულად არღვევს შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში ხელმოწერილ მორიგებებს. უფრო მეტიც, საქართველოს ძალოვან უწყებათა ქვეგანაყოფები, რომელთა ყოფნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკვე თავისთავად არის დესტაბილიზაციის ფაქტორი, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეების მიმართ ახორციელებენ პროვოკაციულ მოქმედებას, და ყოველივე ეს ამ ბოლო ხანებში სულ უფრო გახშირდა და ძალზე შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო.

მაგალითად, მიმდინარე წლის 14 ივნისს, დაახლოებით 12.00 საათისთვის, ქართული პოლიციის უკანონო საგუშაგო, რომელიც ოსური სოფლის ფრისის მახლობლად მდებარეობს, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე 400 მეტრით გადაწიეს სოფლის მიმართულებით, თანაც პოლიციელები შეცვალეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებით, რომლებიც იარაღით ხელში არაერთხელ შევიდნენ ადგილობრივი მცხოვრებლების სახლებში, დააშინეს და შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. ამ სოფლის მცხოვრებლებმა, რომელიც 1992 წელს მთლიანად გადაწვეს ქართველთა ბანდფორმირებებმა, მიატოვეს სახლები და ღამე გაათიეს ცხინვალში, ეუთოს მისიის შენობის წინ.

იმავე ღამით, ქართული სოფლის ნიქოზის მხრიდან, ავტომატიური იარაღის ცეცხლი დაუშინეს ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საცხოვრებელ უბანს. აშკარა ხდება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება არ შედის საქართველოს ხელმძღვანელობის გეგმებში, რადგან იგი მიმართავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი სისხლისღვრა.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო კვლავ მიაპყრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მონაწილე მხარეების, აგრეთვე ეუთოს, საერთაშორისო გაერთიანებების ყურადღებას იმას, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის პროვოკაციული მოქმედების შედეგად უკიდურესად გამწვავდა ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, და მოუწოდებს მათ, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები საქართველოს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში, რათა თავიდან ავიცილოთ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის კონტროლს დაუქვემდებარებელი განვითარება“.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო.**

# რუსეთის თავდაცვის სამინისტრო: სამშვიდობოთა გაყვანა კავკასიაში სიტუაციას ააფეთქებს

**„სადღეისოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში განლაგებული სამშვიდობო ძალები არიან უშიშროების ერთადერთი გარანტი. მათი საქმიანობის წყალობით, ამ ბოლო 12 წლის განმავლობაში ვახერხებთ სისხლისღვრის და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების განახლების თავიდან აცილებას“, – განაცხადეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში, როცა კომენტარი გაუკეთეს ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსი სამშვიდობოები ვერ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას.**

რეგიონში სამშვიდობოთა დარჩენას დაჟინებით მოითხოვენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ოფიციალური სოხუმი და ცხინვალი რუს ცისფერჩაჩქნიანებს თავიანთ რესპუბლიკებში სტაბილურობის საიმედო გარანტად მიიჩნევენ. როგორც თავდაცვის უწყებაში აღნიშნეს, ქართული მხარის მოთხოვნა ჯარების გაყვანის, რუსი სამშვიდობოებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღების და როტაციის განხორციელების წესების შეცვლის შესახებ, ეწინააღმდეგება მიღწეულ მორიგებებს და ამან შეიძლება გამოიწვიოს ვითარების დესტაბილიზაცია. სამშვიდობოთა გაყვანას შეიძლება მოჰყვეს საომარ მოქმედებათა დაწყება, რაც ააფეთქებს სიტუაციას მთელ კავკასიაში, აღნიშნეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო.**

პირკატაცემული მკითხველის ელდა

# თქვენ თუ წაიკითხავდით ასე დაწერილ სხვის მოთხრობას?..

## ღია-დახურული წერილი მწერალ გურამ დოჩანაშვილს

(მეექვსე გვერდიდან)

[illegible]

თული ენა. მას აშკარა გადაგვარება ემუქ-რება. მე არ მინდა, რომ თქვენც შეუწყოთ ხელი მის გავერანებას. არადა, ხშირად უცნაური სიტყვათწარმოქმნით, ხელოვ-ნური კომპოზიტების შექმნით, ორთოგ-რაფიისა და პუნქტუაციის მოურიდებე-ლი შელახვით, სიტყვათა მრავლობითი რიცხვის გაწელილად წარმოდგენით, სკაბრეზული გამონათქვამების უხვად გა-მოყენებით და ა.შ., თქვენ მშობლიური ენის განვითარებას, თქვენსავე შემოქმე-დებას და ადამიანებსაც აღიზიანებთ.

იძულებული ვარ — საზოგადოებას წარვუდგინო სათანადო მაგალითები, რომელთა დამოწმება შეიძლება წიგნის ნებისმიერი გვერდიდან, თანაც უხვად.

დავიწყოთ სიტყვათწარმოქმნითა და კომპოზიტებით. თქვენ გვაძალებთ ასეთ, ჩემთვის (ალბათ, სხვებისთვისაც) მიუღე-ბელ, ფორმებს:

კაიძაანგადახუნძული; ვუხმეკიშენი; მართლადაცსალდათურ-ჯარისკაცები-სავითამაათ—სასაცილოსკენოზისაა-კენ! შობელაძლემურები; მთლადაცსრული-ადსახალხოდ; ომარისისი ნელქვეითური დეკოლტაოზა; ფუძეძირიდასაფუძველი-საძირკველი; აქტრისკაული(იძ; უიჰომარ-თლა; რონამეტნავათე კიროძეროგორსა-ნეტასანქმელს აჭმევდენ; გაშვიდწუთავ-და; სახელგლახაქალივითგავარდნილი პლანეტტა ჰოლივუდი; მფიძრვებადი; ეგ-ვიპტოლოგებისდამიუხედავადსალი; გეზ-ნებიმეშენი... ლიფსიშიდაირგვლივაოზა-ნეფშიცკი; ძლიარ ტევადშრომადი-შთამ-ბეჭდბეჭდვადბეჭდვითი ისეროშე; გასა-გინეკოლოგიურებლობაზე; მოწერა-კითხვე; დასამაინტერესებელევი...

აფსუს 1973-ო წელო, როდესაც დაიწე-რა თქვენი მშვენიერი მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარ-და“ და ის საოცრად ლაკონიური სიტყ-ვა—ჩამომალაზორანტეს, რომელიც უმალ აიტაცა ხალხმა და გაახალხურა!

ახლა ბევრთაგან რამდენიმე მაგალი-თი ამოვკრიბოთ თქვენეული ორთოგ-რაფიისა, ბატონო გურამ:

მთლად ჰარაქათგამოცლილიც ჰყო-ფილა ჰთურმე; აქლაღაგრამატიკაგახ-სენებული; ფინდარასტების საწინააღ-მდეგოთ; მერერაროშ; პარნა-გრაფია (თან გვიხსნით კიდეც ამ სიტყვას თქვე-ნეური ორთოგრაფიით: მარა რომელი გრაფი და ფარნაა, მართლა ყველაფრის კიარ მცოდნე, —ავტ.(და ართქვათ ახლა, ფარნა კი არ პარნაო მარა თუჰიდარასტი ფიდარასტია ემპატიოსანმა ფარნამ რა-ლა დაგიშავათ შეგირცხვათულაში!..(; ტექსტთითნები; მრავლებათასებიანი...

ჩემი გულუბრყვილობის გამო ზოგ-გან კორექტურაც კი მგონია გაპარული. იქნებ ესეც თქვენეული ორთოგრაფიაა! აი: თითქმი-სიყრუს; ალამამა განამტკიცა; რას შეტყოფს ქალი; რუსის ვაგზალსაც; მთლათ საერთოთაც არამევილეფსუა-რაფერს; შემოძალაძევო კაცო; რაცგინ-და შოზელცხენურადთაც იკოცნავებოდ-ნენ მსახიობები; მრავა-ლებათასებიანი; ენის ძაანაცაგტლეკილსა...



ბატონო გურამ! თქვენ ხშირად იყენებთ ებ-იანი მრავლობითის ფორმებს, მაგრამ ერ-თობ გაწელილად, უადგილოდ, მომაბეზ-რებლად. მაგალითი ბევრია. ცოტას დავ-ჯერდეთ: მოლოდინე-ბებებებებებებებდაა-სეშემდეგლურიმრავა-ლიები; ლოგინებებე-ბებებებში; ცემატყევე-ბებებში; თავისი იმებ-იმეეეებეებებეებიანა; წინაპრებებებებიანის; დეკოლტეებებებიანი; ანტიგრამატიკოლო-ბებებეი; ხიზილალებებებებებიანი... აქ კი უნდა მოვიშველიო თქვენეული ახს-ნა-განმარტება თუ რატომ იყენებთ მრა-ვალ ებ-ს. თქვენ წერთ: „ეს ბევრი „ებ“ი იმიტომრო, ბევრმარცვლოვანია იკრა რადგან“.

გვეხუმრებით თუ გვემასხრებით, ბა-ტონო გურამ?!

გარდა მრავლობითი რიცხვის ასე წარმოდგენისა, თქვენ ხშირად უადგი-ლოდ იყენებთ აჩემებული ასოებისა თუ მარცვლების ზედმეტად გამეორებას. მა-გალითად: გამოყეყეყეყე-ჩებს; უმაღ-ლესლესლეს დამთავრებული; კვიკვიკი-სებდა; კიდეცკიკიდედეიმსახურა; კივერ იტანს დაიტევსდაიტვირთავს, ღრღრჭჰ ბრდღსმღხყმეეყეროშოუღრრ, ჩვენო-ურ საბჭჭოჭოეთში, გიყვისყვირებიან, იყო, იყვო, ქვეიყო, იყოყე, კი, კი და ა.შ.

რა საჭიროა ასეთი ფორმების გამო-ყენება მხატვრულ ნაწარმოებში. ამას რომ წაიკითხავენ (წაიკითხავენ?!( თანა-მედროვე ახალგაზრდები, ხომ მოისვრი-ან თქვენი სამი წლის ნაშრომს სადღაც კუთხეში და ხელმეორედ აღარ აიღებენ ხელში.

ახლა გადავხედოთ მოთხრობაში გა-მოყენებულ სასვენ ნიშნებსა და უცნაურ შემოკლებებს სიტყვებისას.

მთელ წიგნში თითქმის არც ერთი აბ-ზაცი და სტრიქონიც კი არ თავდება წერტილით, რაცსრულიად გაუგებარია. სანაცვლოდ ამისა, აბზაცი, სტრიქონი, წინადადება თუ სიტყვა შეიძლება დამ-თავრდეს, მაგალითად, ასეთი უცნაური პუნქტუაციით: , :—/?,/..,/?—:—/?,—/! —:/ —!,-ო,/—,—:—,... ...?!,— /;...;...—/?—: და ა.შ. (ან, როგორც თქვენ გვთავაზობთ—აშშ!( უსასრულოდ.

რა არის ეს? რატომ დაგჭირდათ ასე-თი უცნაურობანი სასვენ ნიშნებთან მა-ინც?!

უცნაურობებია სიტყვათა შემოკლე-ბების შემთხვევებშიც, რომელსაც ემა-ტება სასვენი ნიშნების უსწორო გამო-ყენებაც: ცნ. (ოზილმაძრეჟისორმა; მჭრე-ლად იძახდა შეშინებულიც შავიმა. შ.შ.ო,—(;( მო, მა, ბეზ, რებელია-მეთქი; დარცხვენილი, ა...ვ...ტ... ...(ალბათ იგუ-ლისხმება ავტორი(; დროსდამკარგავი ძაან თელათეც ტყვილა ტე-ქნიკ-ტე.-ლევ.-ზორ-ორმხივულათე აღჭურვილი აპპ.—რატურები; სა!-ლი.

რა საჭიროა ასეთი ფორმალობა?

ბატონო გურამ! თქვენთვის, რასაკვირ-ველია, ცნობილია, რომ ზეპირი და წე-რითი მეტყველება ოდითგანვე დანაწევ-რებული, რაც საშუალებას გვაძლევს, ადამიანებმა რიგიანად გავაგებინოთ ერ-თმანეთს სათქმელი. ამისთვის კი წერით მეტყველებაში შემოღებულია სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენება. თუ მკითხველმა სწორად ვერ გაიგო წასა-კითხი, მას ეკარგება კითხვის სურვილი. მეცნიერები გვაფრთხილებენ: „პუნქტუ-აციის წესების დაუცველად ძნელია გა-საგებად წერა და წაკითხულის სწორად გაგება; ამიტომ, ცხადია, ამ წესების ცოდნა და სასვენი ნიშნების სწორად გა-მოყენება ყველა წიგნიერ ადამიანს მო-ეთხოვება“.

რასაკვირველია, მწერალმა შეიძლება დაუშვას გამონაკლისები, მაგრამ უთუ-ოდ საჭიროა ზომიერების დაცვა, რასაც ვერ ვხედავთ განსახილველ წიგნში.

ბატონო გურამ! ერთგან მოთხრობა-ში წერთ: „ვისგოუგია ყიამყრალობა ჩე-მი“. ალბათ გაგვეხუმრეთ, თორემ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო რომ იტყ-ვიან, სწორედ ისეა საქმე სინამდვილეშ-ში. მაგალითი ბევრია, მაგრამ ცოტა ვიკ-მაროთ მკითხველის პატივისცემით: ძა-ანაც რომოუ კეთილები... და ძალიანა-ცემახლობლები; მაგას რომოუ დამააჯი-კავებლები; ამჩემი ჩემისა გოთ.-რანსა-ძმობისა, მე ამჩემისა; გ-ოთურან-ოლგ-რაშრი; სწორიმოგეცეს; მაგათ რომოუ ტვინიდანა; შოლრაშოშე; იჩემანალამ შეჩემიჩემა შენი; ამოიძახა ძაან შაბლო-ნურათე „ტყდატყ“, ანაცვა რაღაც ამ-დაგვარი; გიჟია... ეს ჩემის თვრამეტიანი; სიძე შეძვე-ლოვ გოთ.-ვერანო და ა.შ.

ბატონო გურამ! მე თა-ვად ვესწრებოდი თქვენი ამ წიგნის პირველ პრე-ზენტაციას (წარდგენა თუ წარმოდგენა რომ ჰქვია ჩვენებურად( თი-ბი-სი ბანკის უმშვენიერეს დარ-ბაზში თბილისის ბრწყინ-ვალე საზოგადოებასთან ერთად. ჰოდა, მაშინ თქვენ თქვით, რომ სამას გვერდამდე ძალიან გაგ-ვიჭირდებოდა თქვენი მოთხრობის წაკითხვა. მე-რე კი... ალბათ, ფიქრობ-დით, რომ მივეჩვეოდით, მაგრამ თოვლზე დაწერი-ლივით გაგვიძრა იმედი სტაჟიან მკითხველებს. ასე, რომ — ბო-ლომდე ვეწამეთ.

თუ არ გჯერათ, ა, ბატონო, ერთი მოკ-ლე ამონაწერი 302-ე გვერდიდან: „ახყე მაშოს ჯამისკე გაიშვირა ისეთევი რო ითითი რომა, რისიღ გახლკვლანჭლვა... — სპორტი თუგინდა,აი,ესარი. სპორტი — ხომ, მაგარი-რამე და რამ-რამცა არი!“

მოსწავლემ ან სტუდენტმა რომ წაი-კითხოს ასეთი გრამატიკულ-ენობრივ-ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური მასა-ლა, ხომ პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან ჩვენი ღვაწლმოსილი მასწავ-ლებელ-ლექტორები და ვერაფრით გა-იმართლებენ თავს აღსაზრდელთა წი-ნაშე, რადგან მათ პირში მიახლიან — გა-მოჩენილი მწერალი ასე წერს და თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართ, ორიანით რომ გვიფასებთ ჩვენს ნაწერსა თუ ნათ-ქვამსო!

მხოლოდ 422-ე გვერდიდან ცოტათი მოვითქვი სული მცირე ხნით, თუმცა თქვენ, ბატონო გურამ, მაინც ვერ შეე-ლიეთ თქვენებურ სიტყვაჩახლართუ-ლობას: „არა,ჰყვირიან ძილში,ეს მაინც როგორ-ძალიან გაი-გაიყვირყვირებიან და, ხოლო კი მე,მე მართლა მეყო რაც დროც კიც ასე-ძვირფასიც,დამაკარგი-ნესც,და, გ. და ჟ. შავგულიძეზე როგორ მფიქრველი,არა მაქვს მეტი საქმე და გა-დავყვები-ახლა ვინცხა-ომარას და მა-ვან-გივიას, ჩემები ეგენი იყვნენ კი არა დაე,არა, კი,არა,ხომ ასეა,ასე გამო-დის,კი,“

და ასე ბოლომდე!

არ დაგიმალავთ, ბატონო გურამ! მე, ამ ღია წერილის ავტორმა, ჩავატარე მი-ნი გამოკითხვა ჯერ ვიწრო წრეში (ოჯახში, სამეზობლოში(, მოსწავლეებსა და სტუდენტებში, შემდეგ გადავწვდი მე-გობრებს, თანამშრომლებსა და რამდე-ნიმე უცხო პირსაც. მინდოდა მათი და-მოკიდებულების გარკვევა თქვენი ახა-ლი მოთხრობისადმი. ამ, არცთუ მოკლე დროში, გაგიკვირდებათ და, ყველა გა-მოკითხულმა ერთსულოვანი უარყოფი-თი დამოკიდებულება გამიმჟღავნა.

ახალგაზრდებმა, გვაპატიეთ, მაგრამ, ბატონო გურამ, პირდაპირ მოგვახალეს: რა გაკითხებთ ამ იდიოტობასო?!

ომარასა და გივიას ასაკის ადამიანები (ცოტათი უმრწემესები თუ მცირედად უხნესებიც(, რომელთაც შეძენილი ჰქონ-დათ (ალბათ, პრეზენტაციებზე( თქვენი ძვირად ღირებული (20 ლარი!( „ისედაც დასავლეთელები...“, გულწრფელად გა-მოტყდნენ: კი მოვინდომეთ, მაგრამ ბო-ლომდე მაინც ვერ გავედით, ვისა აქვს ამ წიგნით ასატკივებელი თავიო და, უკეთეს შემთხვევაში, თაროზე შემოდე ყდაგაუცვეთელი ტომი.

ზოგიერთები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ თქვენს ნაშრომს და ეჭვი გა-მოთქვეს: როგორც ჩანს, გურამ დოჩა-ნაშვილმა ამოწურა საკუთარი მწერლუ-რი შესაძლებლობანი და ახლა „თამა-შობრივ მოთხრობებით“ (თქვენი სიტყ-ვებია, ბ-ნო გურამ( ირთობსო თავს.

მხოლოდ ერთმა, საერთოდ ნიჭიერე-ბის პატივისმცემელმა პიროვნებამ, რო-მელმაც ჩემი არ იყოს, ბოლომდე წაი-კითხა თქვენი ეს წიგნი, თქვა: გურამ დოჩანაშვილი დიდი მწერალია და აქვს უფლება — ზოგჯერ ასეც წეროსო.

ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ჯერჯერობით არავინ გამოეხმაურა თქვენს ამ მოთხრობას საჯაროდ. რა არის ეს — პირში წყლის ჩაგუბება, უპა-ტივცემლობა, მორიდება თუ, რატომ-ლაც, უარყოფითი დამოკიდებულების არგამჟღავნება ან შეფარული მტრობა? კრიტიკოსთა თუ მკითხველთა ასეთი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარ-მოებისადმი, უპირველეს ყოვლისა, პი-რადად თქვენთვის უნდა იყოს საწყენი.

ერთი რამ კი სავსებით ცხადია: გა-მოკითხულთა აბსოლუტური უმრავ-ლესობა უკმაყოფილოა, მეტიც, გა-ნაწყენებულია (რბილად რომ ვთქვათ( თქვენი ხუთასგვერდიანი უსაშველოდ გაწელილი ახალი მოთხრობით.

და კიდევ: ვთქვათ, ვინმე უცხოელმა მოისურვა აღნიშნული მოთხრობის თარგმნა თავის მშობლიურ ენაზე. ხომ ამაოდ დაშვრება? ჩვენი აზრით, ამ მოთხრობის სიტყვიერი მასალის ღირ-სეულად თარგმნა სხვა ენაზე სრულიად შეუძლებელია.

მაშ, ვისთვის დაიწერა „ისედაც დასავ-ლეთელები...“? ვფიქრობ, იგი ოდენ ქარ-თველთა (თავგანწირულ მკითხველთა( საწამებლად შემორჩება ქართული ლი-ტერატურის ისტორიას!

ბატონო გურამ, ამ სატანჯველით რა-ტომ გინდათ თავი შეაძულოთ დღემდე თქვენს ერთგულ მკითხველს?! თქვენ ხომ „ვატერ(პოძლოოს...“ ავტორი ხართ! ეს არ უნდა დაგვავიწყდეთ!

მკითხველთა უკმაყოფილება ამჯე-რად გამოწვეულია ძირითადად თქვე-ნი უცნაური ენის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის გამო.

გვენდეთ, ასეთი სტილის ნაწარმოე-ბი ვერ მიიზიდავს ისედაც კითხვას გა-დაჩვეულ, წიგნზე გამწყრალ და ტელე-ვიზორს მიჯაჭვულ ახალგაზრდობას; ვერ დააინტერესებს ანკარა ქართულზე გაზრდილ, დღეს კი ენის სიწმინდეს მოწყურებულ საშუალო ასაკის ადამი-ანებს; მტრად გადაიკიდებთ ხნიერთ, რომლთაც აშკარად უჭირთ მოჭარბე-ბულ სიტყვიერ ლაბირინთებში გზის გაგნება.

ყოველივე ამით კი დაეცემა თქვენი მწერლური რეიტინგი და დაკარგავთ უამრავ ერთგულ მკითხველს. ამაზე მტკივნეული რა უნდა იყოს მწერლის-თვის?

მე, მაგალითად, ერთობ გამიჭირდა თქვენი ამ მოთხრობის წაკითხვა. შარ-შან დავიწყე და წელს ძლივს დავამთავ-რე ჯანმრთელობის გაუარესების (არ-ტერიული წნევის საშიში აწევა, თავის ტკივილი...( ფასად.

თქვენ თუ წაიკითხავდით ასე დაწე-რილ სხვის მოთხრობას? არა გვგონია!

და ბოლოს: ძალიან მერიდება თქვენ-თვის იმ აქსიომის შეხსენება, რომელიც სულ ახლახან წაგვაკითხა გაზეთში ერ-თმა თანამედროვე გამოჩენილმა ქართ-ველმა მწერალმა: „უკულტურობაა (და აქედან ილებს ყველა ფერი სათავეს( მშობლიური ენისადმი აგდებული, ცი-ნიკური დამოკიდებულება, უფრო სწო-რად, მშობლიური ენის შეგნებულად იგ-ნორირება...“

გენიალური რუსთაველი კი ხომ რვა საუკუნეა ჩაგვძახის ყურში და გვაფრ-თხილებს: „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“.

პატივისცემით,

თქვენი აქამდე ერთგული მკითხველი

**გივი(ა) ბოჯგუა,**
**გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორი.**

***მინაწერი:***

***ბატონო გურამ! ამ დღეებში კიდევ გადავიკითხე თქვენი „სამოსელი პირველი“, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერ შევკადრებ ვერც ერთ იმ შენიშვნას, „ისედაც დასავლეთელებს...“ რომ წავუყენე.***

***„სამოსელი პირველი“ ჭეშმარიტად ბრწყინვალე, უზადო ქართულით გვხიბლავს. მასში დახვეწილი მეცნიერულ-მხატვრული კეთილსინდისიერებითაა დაცული ენობრივი, სტილისტიკური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური... თანამედროვე მოთხოვნები.***

***უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო გურამ, თავადაც დაბრუნდეთ და თქვენი განაწყენებული მკითხველებიც დააბრუნოთ „სამოსელი პირველის“ ჩვეულ სამყაროში! თქვენ სულაც არ შეგშვენით ხელოვნურობით მანიპულირება. დაბრუნდით წარსულში სამომავლოდ!***

**გ. ბ.**

ინფორმაცია

## „თრიალეთს“ ათასები მიჰქონდა

ქარელის რაიონი რეგიონულ ტე-ლეკომპანია „თრიალეთს“ წელი-წადში დაახლოებით 12 ათას ლარს უხდიდა, ხოლო კასპის რაიონი წე-ლიწადში 7 ათას ლარამდე.

ამის შესახებ გუშინ პარლამენ-ტის საპროცედურო საკითხთა კო-მიტეტის სხდომაზე ქარელის რაი-ონის ყოფილმა გამგებელმა მალხაზ კორკოტაძემ და კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულე-ბელმა გენადი ხაჩიძემ განაცხადეს.



სხდომაზე პარლამენტარ ბადრი ნანეტაშვილის დეპუტატობასთან კანონშეუთავსებელი საქმიანობის საკითხი განიხილება და მოწმეე-ბის დაკითხვა მიმდინარეობს.

ქარელის რაიონის ყოფილი გამ-გებლის მალხაზ კორკოტაძის გან-ცხადებით, იგი თანამდებობაზე 2003-2005 წლებში მუშაობდა და აღნიშნულ პერიოდში გაფორმე-ბული ჰქონდა როგორც ტელეკომ-პანია „თრიალეთთან“, ასევე გაზეთ „თრიალეთთან“ გარკვეული ხელ-შეკრულება საინფორმაციო მომ-სახურების გაწევის ვალდებულე-ბით, რაშიც ისინი ოფიციალურად, რაიონის ბიუჯეტიდან იხდიდნენ თანხებს.

**ინტერპრესნიუსი**

## თევზს ესპანეთიდან მოაცურებდნენ?

ფინანსური პოლიციის საგა-მოძიებო დეპარტამენტის სამეგ-რელოს სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე წინას-წარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება შპს „პალიასტომი - 2004“-ს. ფირმამ ესპანეთიდან თევ-ზი შემოიტანა, დეკლარაციაში კი ყალბი მონაცემების შეტანით სა-ბაჟო გადასახადი შეამცირა. ტვირთის ექსპერტიზა დაწყებუ-ლია, რაც დამალული გადასახადის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს.

**მედიანიუსი**

სექს-სკანდალი

## დიპლომატის 16-საათიანი უზნეობა

**უცნაური დიპლომატიური სკან-დალი ავარდა რუსეთსა და კანა-დას შორის. ამ დღეებში ოტავის პროკურატურამ ორდერი გასცა კანადაში რუსეთის საელჩოს უფ-როსი მრჩევლის ვალერი ფომინის დაპატიმრებაზე. 53 წლის დიპლო-მატს ადანაშაულებენ ორი ადგი-ლობრივი ჭაბუ-კის დათრობასა და გაუპატიურე-ბაში.**



პოლიციის მტკიცებით, ეს სა-მარცხვინო ისტო-რია ჯერ კიდევ თებერვალში მოხ-და: თითქოს ფომინმა თავის ბინაში მიიპატიჟა ორი 20 წლის ოტაველი, გაჟყიპა ფსიქოტროპული ნივთიერე-ბებით შეზავებული კოქტეილით და შემდეგ მთელი 16 (!( საათის განმავ-ლობაში აუპატიურებდა.

ტოქსიკოლოგიური ექსპერტი-ზის სინჯები დადებითი გამოდგა და 2 ივნისს რუსეთელ დიპლომატს ბრალდებები წაუყენეს. ეგ კია, რომ ამ მომენტისთვის ფომინი დიდი ხნის ჩასული გახლდათ მოსკოვში. ახლა კანადელები მოითხოვენ, რომ რუსეთმა თავის მრჩეველს დიპლო-მატიური იმუნიტეტი მოუხსნას და ოტავას გადასცეს, თუმცა ორ ქვე-ყანას შორის არ არსებობს ექსტრა-დიციის ხელშეკრულება.

**„КП“**

◉ ნატურიდან

# ხაშის ტრფიალი

**ქუთაისში ძმაკაცს ვესტუმრე. იცოცხლე, ჩვენ გავიხარეთ. დიდი ხნის უნახავებმა ჯერ ლაპარაკით ვიჯერეთ გული, საღამოს რესტორანში „ჩავუჯექით და იქ გავაგრძელეთ ჭორაობა“.**

— რა ვქნა, — ხმადაბლა მეუბნება თამაზი, — კაცი ხარ და გამიგებ კაცურად. ცოლი კი მიყვარს, როგორც ცოლი, მაგრამ ერთი ჩვენი თანამშრომელი ქალი „შემიყვარდა ნამეტნავად“.

— აუჰ! ეგ რა მოგსვლია!

— აბა, კაცო, მთელი უბედურება ისაა, რომ იმ ქალსაც ქმარი ჰყავს.

— აუჰ, აუჰ!

— ჰოდა, დილით ვდგები 6 საათზე. ვხვდებით მე და ის ქალი „კონსპირაციულ“ ადგილზე და მერე მივდივართ სამსახურში ცალ-ცალკე.

— კი მაგრამ, ცოლს არ უკვირს, ასე ადრე რომ გადიხარ სახლიდან?

— სავარჯიშოდ დავდივარ-მეთქი, ვეუბნები.

სახლში გვიან მივედით.

თამაზის ცოლი გველოდა. დიდი ამბით შემომეგება და მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ახლა იმან დამიწყო ხმადაბლა ლაპარაკი:

— შენი ძმაკაცი მაზრაზებს.

— რატომ, რაშია საქმე?

— იცი, რა გაიძვერაა?

— ჩაიდინა რამე? — ვითომ გამიკვირდა.

— ჩაიდინა რომელია! ყოველ დილით 6 საათზე გადის სახლიდან და მე მეუბნება სავარჯიშოდ მივდივარო. ფეხბურთელი ეგ არაა და მოჭიდავე, მე ვერევი მთვრალი როა... შენ გჯერა ეს ამბავი?

მხრები ავიჩეჩე...

— არც მე მჯერა, თუ ძმა ხარ, რა მჭირს მაგის მოსატყუებელი... გგონია არ ვიცი, სად დადის?

— სად? — მეცვალა ფერი.

— სად... სად და ხაშს მიირთმევს ყოველ დილით.

— ააა? — დამიბრუნდა ფერი, — ხაშს არაყი უხდება და ეგ კიდევ მანქანით დადის... ასე რომ, საეჭვო არგუმენტია, — ვცადე ძმაკაცის დაცვა.

— არაყს არ აყოლებს, მარა რაღაცა სხვას აყოლებს... უალკოჰოლოს...

# „მელამმა“ გაქცა

**ძალიან მოხერხებული კაცია ჩემი მეზობელი ბაჩო ა-ძე. ავტობუსის მძღოლად მუშაობს და მოგეხსენებათ, რა მარიფათიანიც იქნება. ყველაფერს კადრულობს, რომ ავტობუსი „გადატკიპოს“ მგზავრებით.**

ერთხელ კოლეგა მძღოლმა (მეორე სოფელშიძ სთხოვა, ხვალ ქორწილში მივდივარ და შენ იმუშავე ჩემს ავტობუსზე, მეტი პატივი, თუ კაცი ხარო.

— რას ჰქვია, კაცი არ ვარო, — იწყინა ბაჩომ და მეორე დილით ძმაკაცის ავტობუსი დააყენა საწყის სადგურში, საიდანაც სოფელში უნდა წასულიყო.

ზაფხულია, პაპანაქება სიცხე. არეული დროა და არც გრაფიკის და ინტერვალების დაცვაზე იკლავს ვინმე თავს.

ბაჩომ ავტობუსი ჩამოაყენა, უკანა სკამზე ჩრდილი მოძებნა, დაჯდა და სროლა-აფეთქებებით აჭრელებულ გაზეთს ჩაუღრმავდა. ივსება ავტობუსი... აჭერს სიცხე... სუნთქვა ჭირს, მაგრამ ბაჩო მიჩვეულია, რომ ბოლო მგზავრი წიხლით უნდა შეტენოს და წვალებით დახუროს კარები.

— არიქა, ვიხრჩობით! — კვნესის ვილაცა.

— სადაა სოსოიე შტერი, მაროჟნს ჭამს, ალბათ, საცხა! — „მექორწილე“ მძღოლის მისამართით გამოითქვა მოსაზრება (არ იციან, ქორწილში რომ გრიალებს სოსოიაძ.

— ამოვწყდიიიით! — ყვირის ვიღაცა.

— არ მოვა და მე წევიყვან! — წამოხტა ბაჩო, საჭეს მიუჯდა და ძრავი დაქოქა...

— არ ქნა, დედა, მაგი! — იყვირა შავოსანმა ქალმა.

— არ დაგვამტვრიო, ბიჭო! — დაუბღვირა მელოტმა კაცმა.

— გამორთე, დედა, გამორთე... მოვუცდით, აპა რას ვიზამთ...

— ხო, ხო, შვილო, მოვუცდით..., — ეხვეწება ხალხი.

ბაჩომ ძრავი გამორთო და თავისებურად რომ „გადაპრესა“ ავტობუსი, მერე გამოაცხადა: სოსო ქორწილშია და დღეს მე ვმუშაობო.

... ავტობუსი წყევლა-ქოთქოთხარხარით დაიძრა.

**მურმან მერკვილიშვილი**

◉ გაუმარჯოს სიცილს!

# ორომტრიალი

**ასე დაურქმევია ოთარ სტაჟაძე-იოსელიანს, ჩვენს კოლეგა ჟურნალისტსა და მწერალს თავისი წიგნისთვის (ახლახან გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ“ დასტამბაძ და არცთუ შემთხვევით. მართლაცდა ამ ქვეყნის ორომტრიალში ყველა ჭეშმარიტ ქართველს ებაჯული კითხვა, რომლებზეც საკუთარ თავზე არ ილებს. თონ წერს, წიგნი „დაბადა ველივე მიულებელის წინაირგვლივ ხდება, იმის გათროტების უარყოფა სიკედება უამრავი მრავალტანპასუხის გაცემას მწერალი უბრალოდ, როგორც თვისურვილმა, ხმა ამოელო ყოაღმდეგ, რაც დღეს ჩვენს ვალისწინებით, რომ ბოთისათვის გზის მიცემაა“.**



**ავტორის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ამ სურვილის ულალატოდ დარჩა და წიგნში ეპიგრამების, მოთხრობების, იუმორესკების, დიალოგების, მინიატიურების, ნამცვრევების, სხარტულების, პაროდიების სახით ჩვენი ჟამარეული და გატანჯული ცხოვრების სურათები შეუფერადებლად, მიმზიდველად და ხატოვნად წარმოაჩინა.**

**საილუსტრაციოდ ზოგი მათგანის მოხმობაც კმარა.**

### *ეპიგრამები*

*ალარ თავდება ზაკვა და წუმპე,*
*ძნელია მიხვდე, ვინ რას ენუკვის,*
*უფლის წინაშე ლოცულობს ზოგი,*
*გულში კი ამდროს სატანას უკმევს.*

* * *

*მუქთ კუზოში ჩაწოლას მას ვერავინ ასწრებდა,*
*არ მეგონა იმ ქვეყნად ასეც თუ გამასწრებდა.*

* * *

*როცა მთავრობა დაბდუროზს,*
*ხალხია ულუკმაპუროდ,*
*ვერ გაამტყუნებ, თუ ბოლოს*
*ადგეს და... გააპანღუროს.*

### *ნამცვრევი*

*დღეს მატრაბაზობს იმდენი,*
*დაგეკარგება იმედი.*

* * *

*მანამ გვექნება ჯახირი,*
*სანამ ვიქნებით ნახირი.*

* * *

*დემოკრატია თუკი კარგია,*
*თაღლითებს უფრო რატომ არგია?*

* * *

*როცა მთავრობას ხშირად ეშლება,*
*ხალხს, რა თქმა უნდა, არც ეშველება.*

### *სხარტულები*

- *ნუ ყვირი, მაინც ვერვის შეასმენ.*
- *გულუბრიყვილო კაცი ეშმაკი კაცის ოქროს მადანია.*
- *ფრთხილად, არაკაციც ადამიანს ჰგავს.*
- *უბედურებისაკენ იმედით სავსენი მიდიან.*

***წიგნი ინტერესით იკითხება, ავტორი მასში ოსტატურად იყენებს იუმორს, გროტესკსა და სარკაზმს, თხრობის მოულოდნელი რაკურსით ქმნის ორიგინალურ სახეებს.***

***ოტია ჩართოლანი***

◉ ანეკდოტები

**ჩვენებური კონკურსი კონკურენციისგან იმით განსხვავდება, რომ კონკურსში ნიშნავენ გამარჯვებულებს, კონკურენციაში კი სჯიან დამარცხებულებს.**

* * *

**— მე არ ვარ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი! მე ზნეობრივად უპასუხისმგებლო სიფათი ვარ!**

* * *

**უკვე ორმოც წელზე მეტისა ხართ?**

**როდესაც წლოვანებას გეკითხებიან, მორცხვად უპასუხებთ, უკვე ოცდაათზე მეტისა ვარო?**

**გსურთ, რომ გარშემო მყოფთ აოცებდეთ თქვენი ახალგაზრდული გამომეტყველებით?**

**თქვით, რომ 60 წლისა ხართ!!!**

* * *

**— ძვირფასო, კმარა, არ მინდა დედაჩემთან! — ექვითინება ცოლი ქმარს.**



**— ხმა, კრინტი, სულელო! განაგრძე თხრა!**

* * *

**— მამი, მართალია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში საქმრო ქორწილის შემდეგღა გებულობს, ვინ არის მისი საცოლე?**

**— ეს ყველა ქვეყანაში ასეა, შვილო.**

* * *

**ყველა დამსახურებისამებრ ღებულობს, მაგრამ არა ყველა საკუთარი დამსახურებისამებრ.**

* * *

**— ვისთან შეექმნი საკუთარ ოჯახურ ბუდეს?**

**— იმასთან, ვინც პირველი შემოფრინდება.**

* * *

**— ალო, პოლიციაა? მსურს გაცნობოთ, რომ გარკვეული ხანია, ვღებულობ მუქარის შემცველ წერილებს.**

**— ცხადია, ანონიმურს, არა?**

**— რას ამბობთ! ხელმოწერილს!**

**— ვინ აწერს ხელს?**

**— საგადასახადო ინსპექციის უფროსი.**

* * *

**ორი ძმაკაცი პეტკას ესტუმრა. სხედან სამზარეულოში, ეწევიან. დალევა სურთ. ჰოდა, ერთი სტუმარი მეორეს ეუბნება:**

**— არაყში შაქარი იმიტომ იხსნება, რომ არაყი წყალს შეიცავს, სუფთა სპირტში კი იგი არ იხსნება...**

**პეტკა ჯერ ჩუმად ზის, მერე დგება, გამოაქვს ბოთლით სპირტი, ჩაყრის შიგ შაქარს და ანჯღრევს...**

**— აი, შენ კი ამტკიცებდი, რომ პეტკა წუწურაქია და არაფრით გამოაჩენს სპირტსო, — ეუბნება ის ერთი სტუმარი მეორეს.**

◉ ორწყობილა

### საპრივატიზაციო წინადადებები

„კუდიგორასთან ერთი ტყე არი“ —
ეგებ მისგანაც ვნახოთ ხეირი...

* * *

ღმერთისგან უსასყიდლოდ ნაბოძარი,
ქვიშხეთში იყიდება წყაროს წყალი...

* * *

კუბურ სანტიმეტრებში მოზომვით
კოჯორში იყიდება ოზონი...

* * *

წინანდალში დარჩა რამე სახეთქი?
... კახათი ვერ იამაყებს კახეთი...

◉ სხარტულა

### ცხოვრება ძვირდება, ქვეყანა... ვითარდება

ტარიფი ავარდა, ტარიფი ამაღლდა,
დღეს ვეღარ ვხარჯავ დენს თამამად, ლაღადა,
ეგ წუწკი ტარიფი გაზზედაც მძიმდება,
ცხოვრება დღითი დღე ძნელდება, ძვირდება.
გრძელდება შიში და იმედი მთავრდება,
ქვეყანა კი თურმე მაინც ვითარდება...

**სურა მელია**

◉ ხალხი კვიმატობს

### ქვესანიშნავი ხუთეული

**ტელეპროგრამა „გლობუსმა“ მაყურებელთა შორის გამოკითხვა მოაწყო თემაზე: დაასახელეთ ყველა დროის ქართველ მოგზაურთა საუკეთესო ხუთეული.**

კითხული 1000 მონაწილის პასუხების მიხედვით ასეთი სურათი გამოიკვეთა: 1. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი; 2. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე; 3. თბილისსა და ფრანკფურტს შორის მუდმივი ბილეთის მქონე დეპუტატი ელენე თევდორაძე; 4. ველოსიპედით მსოფლიოს შემომვლელი ჯუმბერ ლეჟავა; 5. ევერესტის დამლაშქრავი მთამსვლელი, შეთავსებით პარლამენტარი გია თორთლაძე.

### ფილარმონიიდან თავისუფლების მოედნამდე

**№46 ავტობუსში მონასმენი**

— ნახე, ტელევიზორში რა გადმოსცეს?

— რომელ გადმოცემას ამბობ?

— პარლამენტარები თავიანთ სისხლს აბარებენო.

— რასაც ეგენი ხალხს სისხლსა სწოვენ და ხალხს სისხლს უშრობენ, დიდი ამბავი, ცოტას თუ დაუბრუნებენ...

— უსასყიდლოდო.

— რასაც ეგენი ტყუილა იღებენ ამხელა ხელფასებსა და პენსიებს, სისხლში აკლიათ ფულის აღება, ხო იცი! სისხლს აბარებენო! ვენებს რო ახვრეტინებენ, სქელი ჯიბეები გაიხვრიტონ და ფული უწილადონ საცოდავ ხალხს. სისხლი რა ბედენაა! ქვეყნის სამსახურში ისე ჩასუქდნენ და ჩაკურატდნენ, რომ ცოტას გაღება არგებთ კიდევაც...

**ლუკა გორგიძე**

◉ კარიკატურისტის არქივიდან

# ცხოვრების ანაბეჭდები








მხატვარი მურთაზ აბაშიძე

მუნდიალ – 2006

# შესაცვლელი თამამად უნდა შეიცვალოს

ხუთშაბათს მოხდა ის, რასაც საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა – მინდორზე სტახანოვურ ტემპში ტრავმამოშუშებული უეინ რუნი გამოვიდა. ვერ ვიტყვით, რომ ინგლისელთა მეორე წარმატება მათი კერპის ბრძოლაში ჩაბმამ განაპირობა, მაგრამ ფაქტია, რომ ალბიონელები განსაკუთრებით დასკვნით ნახევარ საათში, ანუ სარბიელზე თავიანთი ქარიზმატული ლიდერისა და მარჯვენაფლანგელი აარონ ლენონის გამოჩენის შემდეგ გააქტიურდნენ. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ტაბლოზე აისახა – პიტერ კრაუჩმა და სტივენ ჯერარდმა ბოლო წუთებზე გატანილი გოლებით დააშამათეს შესაშური თავგანწირვითა და ტაქტიკური განსწავლულობით მოთამაშე ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრები – 2:0. ეს ის შემთხვევა იყო, როცა გამარჯვებული ქებას იმსახურებს, ხოლო უამრავი ღირსებით შემკული მისი მეტოქე – ქედის მოხრას.



არანაკლები სიმწვავე ახასიათებდა „ბ“ ჯგუფის მეორე წყვილის – შვედეთისა და პარაგვაის გუნდების დუელს, რომლის ბედიც 89-ე წუთზე გადაწყდა – რეზერვისტების იოჰან ელმანდერისა (გახსოვთ, „ბრონდბიუ“ – „დინამოს“ შარშანდელი ბატალიებიდან?Ӏ და მარკუს ოლბაკის კომბინაცია ზუსტი თავური დარტყმით ფრედერიკ ლიუნგბერგმა დააგვირგვინა – 1:0. აღსანიშნავია, რომ სკანდინაველთა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა შესვენებაზე „ტრე კრუნურის“ ჭირვეული ვარსკვლავი ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეცვალა და ამ შემთხვევაში ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა გამართლებული აღმოჩნდა.



**გუშინ:** არგენტინა – სერბეთი 6:0.

კრივი

# „ოქროს ქამრის“ ლაურეატები

**ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი 12 ივლისიდან მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ტყავის ხელთათმანის ქართველი ოსტატებიც ემზადებიან. ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის – დავით ცერცვაძის ხელმძღვანელობით ჩვენი მოკრივეები რუმინეთის საკმაოდ პრესტიჟულ ტურნირში**



(„ოქროს ქამარი“Ӏ მონაწილეობდნენ. 57 კილოში ჩემპიონობა კობა ფხაკაძემ მოიპოვა, ხოლო დავით წიკლაური (81Ӏ და იუზა გულორდავა (მძიმე წონაӀ მესამე ადგილებზე გავიდნენ.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის 20 ივნისიდან ბაქოში 18-დღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის და პლოვდივს მერე გაემგზავრება.

ქართული ჭიდაობა

# ჭედილა ყიზილაშვილს ერგო

**ყვარლის რაიონის სპორტკომპლექსმა კომპანია „ქინძმარაულის“ ინიციატივით გამართულ ტურნირს უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი, ირაკლი ცირეკიძე და სხვები.**



დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ 60 კილოში ყვარლელმა ილია მჭედლიშვილმა იმარჯვა, 70 კილოში ყველას დედოფლისწყაროელმა კედელაშვილმა აჯობა. მომდევნო ორ წონაში თელაველმა იოსებ წიკლაურმა და გორელმა იოსებ მსხალაძემ დაიკავეს პირველი ადგილები.

აბსოლუტური წონითი კატეგორიის ფინალში ახმეტელმა გიორგი ყიზილაშვილმა თბილისელ ადამ ოქრუაშვილს სძლია და ათას ლართან ერთად ჭედილაც დაიმსახურა.

მატჩები

# წოდებები მიენიჭათ

**ქართველ მოჭადრაკეებს მრავალ შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი და არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოც მოუპოვებიათ.** საკმაოდ ძლიერი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები გვყავს. მათს რიგებს



სამი ღირსეული წევრი შეემატა. ამას წინათ ფიდეს ბოლო კონგრესზე **სოფიო გვეტაძესა** და **ლევან აროშიძეს** – დიდოსტატობა, ხოლო **ანა გავაშელს** საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭათ.

ვულოცავთ!

ორბიტაზე

## ევერესტზე – 16-ჯერ



**ზოგი ოცნებითაც ვერ სწვდება პლანეტის უმაღლეს მწვერვალს – ევერესტს, ეს 46 წლის შერპი აპა შერპა კი მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, ვინც 8848 მეტრ სიმაღლეზე 16-ჯერ ავიდა.** მან მწვერვალი ბოლოს 19 მაისს დაიპყრო, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

## ეს მათი არჩევანია

**ჰოლანდიური ჟურნალის „გეი კრანტის“ (ალბათ მიხვდებით, ვისი ჟურნალიაӀ ვერსიით ყველაზე მიმზიდველი ფეხბურთელი პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუა.**

ახალგაზრდა პორტუგალიელი არატრადიციული სექსუალური პირების რჩეულის ტიტულს ზედიზედ, მეორე წელია, იხვეჭს. ჟურნალის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში 3000 მკითხველი მონაწილეობდა, სწორედ მათ მიიჩნიეს კრიშტიანუ რონალდუ ყველაზე ლამაზ, მიმზიდველ და სექსუალურ მამაკაცად მსოფლიო ჩემპიონატზე.



მეორე ადგილზეა „აიაქსის“ შვედი ფეხბურთელი მარკუს როზენბერგი, ხოლო მესამეზე – მისი ჰოლანდიელი თანაკლუბელი ჯონ ჰეიტინგი. მათ მარაქაში არიან აგრეთვე ინგლისელები მაიკლ ოუენი და დევიდ ბექჰემი, ბრაზილიელი კაკა, ესპანელები კასილიასი და ტორესი და ბევრი სხვა.

## გამარჯვების პარადი

**ალბათ სწორედ ასე უნდა ეწოდოს გერმანიის ბადენ-ბადენის ქუჩებში ამ ლამაზმანების – ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა ცოლებისა და მათი „კანდიდატების“ გამოჩენას. გუშინ უკვე ვწერდით, რომ პაპარაცები მათ სასტუმროს ეზოში, საცურაო აუზთან უსაფრდებიან, იქნებ როგორმე რომელიმე მათგანი შიშველი გამოვიჭიროთო. ახლა კი ისინი გერმანული კურორტის მაღაზიებისკენ მიიჩქარიან ვიქტორია ბექჰემის წინამძღოლობით. „პარადში“ მონაწილეობენ უეინ რუნის „გულის ვარდი“ კოლინ მაკლაფლინი, მაიკლ ოუენის თანამცხოვრები ლუიზა და ფრენკ ლემპარდის საცოლე ელენ რივზი.**

ვიქტორია ძალზე ამაყად მიაბიჯებდა და ამის სრული უფლებაც ჰქონდა, რადგან გერმანულმა ტაბლოიდმა BILD მისი ოჯახის ერთობ აუგად მოხსენიებისთვის საქვეყნოდ, ოფიციალურად მოიხადა ბოდიში, ხოლო ამ გამოხდომის ერთ-ერთი ავტორი ტობიას ჰოლტკამპი კი წერს: „ვიქტორია ნამდვილი დედოფალია ლამაზმანებს შორის“.

ინგლისელებს ამჯერად ნამდვილად აქვთ ამაყად სიარულის უფლება.



მემორიალური ტურნირი

# „ირაო“ ზაზას ეძღვნება

**ვაკეში „ირაოს“ სტადიონზე გუშინწინ დაიწყო ცნობილი ტელეჟურნალისტისა და პუბლიცისტის ზაზა დარასელიას მე-6 მემორიალური ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც მისი მეგობრების ინიციატივითა და ოჯახის თანადგომით იმართება.**

შეჯიბრებაში ტრადიციულად რვა გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი.



გაუწყებთ პირველი ორი ტურის შედეგებს:

**15 ივნისი. „სარბიელი“ – „მე-2 არხი“ 0:9, „პირველი არხი“ – „იმედი“ 1:5, „რუსთავი-2“ – „ბოცვაძელები“ 4:1, „მზე“ – „აფხაზეთი“ 1:3.**

**16 ივნისი. „სარბიელი“ – „იმედი“ 1:4, „პირველი არხი“ – „მე-2 არხი“ 3:8, „რუსთავი-2“ – „აფხაზეთი“ 1:2, „მზე“ – „ბოცვაძელები“ 2:3.**

დღეს 10 საათიდან მესამე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „სარბიელი“ – „პირველი არხი“ (10.00Ӏ, „აფხაზეთი“ – „ბოცვაძელები“ (11.00Ӏ, „მე-2 არხი“ – „იმედი“ (12.00Ӏ, „მზე“ – „რუსთავი-2“ (13.00Ӏ.

ნახევარფინალები ხვალ 13 და 14 საათზე დაიწყება. ფინალი 20 ივნისს 16.00 საათზე გაიმართება.

**თამარ გეჯაძე.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი. რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

გერმანულ ტალღაზე

## დავუჯეროთ ასტროლოგებს?

**გააანალიზეს რა მსოფლიო ჩემპიონატზე შექმნილი სიტუაცია პროგნოზირების ჩინური ტრადიციული საშუალებებით, მალაიზიელი ასტროლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფინალში გავლენ იტალია და ბრაზილია.**



„წლეულს, ძაღლის ნიშნით რომ მიდის, ვარსკვლავები ბრაზილიელი და იტალიელი ფეხბურთელებისადმი არიან კეთილგანწყობილნი. სწორედ ამის გამო გამოთვლებით ჩვენ მივედით ასეთ დასკვნამდე – ფინალში, შესაძლოა, ერთმანეთს შეხვდნენ შემდეგი წყვილები – გერმანია და ბრაზილია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი (?Ӏ, იტალია და ინგლისი და, რაც ყველაზე სათუოა, იტალია და ბრაზილია“, – განაცხადა მალაიზიის ერთ-ერთმა წამყვანმა ასტროლოგმა, ჩინური წარმოშობის დენიელ ჩანმა.

„ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი მოდის ცხენის, ძაღლის ან ვეფხვის წელიწადზე. აღსანიშნავია, რომ ძაღლის წელიწადში გამართული თითქმის ყველა შეჯიბრება მთავრდება ან იტალიელი ან ბრაზილიელი ფეხბურთელების გამარჯვებით“, – ამბობს ჩანი.

გასაკვირია, მაგრამ მისი პროგნოზი რეალურად ემთხვევა სინამდვილეს – ძაღლის წელიწადში გამართულ შეჯიბრებებზე (1934, 1958, 1970, 1982 და 1994 წლებშიӀ ან იტალია (ორჯერӀ ან ბრაზილია (ოთხჯერӀ იმარჯვებდა. ჯერჯერობით ასეა მიმდინარე ჩემპიონატზეც.

## იტალიელია თუ არგენტინელი?

**იტალიის ნაკრების ნახევარმცველს მაურო კამორანეზის შარად მოსდეს თავისი სახელმწიფო ჰიმნის უცოდინარობა. ის კი თავის ჰიმნად არგენტინულს მიიჩნევს – ის ხომ არგენტინაშია დაბადებული.**

– ვერც არგენტინულ ჰიმნს ვერ ვმღერი, – თქვა ფეხბურთელმა, – იტალიური სიტყვები კი საერთოდ არ ვიცი. მაგრამ ის იციან ჩემმა შვილებმა, მსოფლიო თასზე იტალიელი ვარ. ამიტომ აზრი არა აქვს, მკითხოთ, მინდა თუ არა არგენტინის ფორმაში ყოფნა.

კამორანეზი, რომლის წინაპრები იტალიაში დაიბადნენ, არასოდეს უარყოფდა, რომ თავს არგენტინელად მიიჩნევს. როდესაც იტალიის ნაკრებში თამაშის წინადადება მიიღო, მან თქვა: „მე ამ ქვეყნის პასპორტი მაქვს, მაგრამ ეს საკმარისი როდია, თავი იტალიელად მივიჩნიო!“

## ბრაზილიელთა ახალი რეკორდი

**თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ ბრაზილიამ მაინც დაამხო ხორვატიის ნაკრები, ამით მან დაამყარა მსოფლიო ჩემპიონატების აბსოლუტური რეკორდი – ზედიზედ რვა გამარჯვება (ბურთები 19-4Ӏ.**

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელებმა მოიგეს შვიდივე შეხვედრა და მეხუთედ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

წლევანდელ ჩემპიონატზე პირველივე გამარჯვებით მათ დაამხეს იტალიელთა რეკორდი – ზედიზედ 7 გამარჯვება, რომელმაც 70 წელი იარსება (!Ӏ იტალიელებმა ეს რეკორდი 1934 და 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე დაამყარეს, როდესაც თანმიმდევრულად დაამარცხეს ესპანეთი (1:0Ӏ, ავსტრია (1:0Ӏ, ჩეხოსლოვაკაია (2:1Ӏ, ნორვეგია (2:1Ӏ, საფრანგეთი (3:1Ӏ, ბრაზილია (2:1Ӏ და უნგრეთი (4:2Ӏ.




ზედიზედ 6 გამარჯვება აქვს ინგლისის ნაკრებს 1966, 1970 წლების ჩემპიონატებზე და ასევე ბრაზილიას – 1978, 1982 წლების ჩემპიონატებზე.

**სურათზე: „მეამაყება, რომ ბრაზილიელი ვარ!“ – მუცელზე აწერია ამ ბრაზილიელ ქალბატონს, რომელმაც უკვე იცის, რომ ვაჟიშვილი შეეძინება.**

**ინფორმაცია**

## დააკავეს ყალბი ჩვენების მიცემის ფაქტზე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყალბი ჩვენების მიცემის ფაქტზე უწყების ყოფილი აგენტი ქეთევან თხილავა დააკავა.

ქეთევან თხილავას ინტერვიუ 11 ივნისს გადაცემა „დროებაში" გავიდა. სიუჟეტი შეეხებოდა მარნეულის ყოფილი გამგებლის ელდარ ჭოხონელიძის დაკავების ფაქტს.



ყოფილი გამგებელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. თხილავას ინფორმაციით, შსს-მ დანაშაულის პროვოცირება მოახდინა, რეალურად კი ჭოხონელიძე ქრთამის აღებას არ აპირებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებას გააჩნია ოპერატიული მასალა, რომელშიც ნათლად ჩანს, როგორ აიღო ელდარ ჭოხონელიძემ ქრთამი და როგორ სთხოვდა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტს ქეთევან თხილავას, გარკვეული პრობლემის მოგვარების სანაცვლოდ 20 ათას დოლარს.

## ცოფი ცხოველებსაც დაერია

გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში გუშინ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო. რამდენიმე დღის წინათ ამ სოფელში ექვსი სული საქონელი და ერთი ღორი დაეცა. შინაური ცხოველების დახოცვის მიზეზი ცოფი გახდა.

როგორც „მედიანიუსს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯამბულ მალაკელიძემ განუცხადა, შინაური პირუტყვი გარეულმა ცხოველებმა და მაწანწალა ძაღლებმა დაკბინეს, რის შემდეგაც მათ ცოფი განუვითარდათ.

## სიგარეტმა „დაწვა"

ფინანსური პოლიციის პირველი ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში უაქციზო სიგარეტის შემომტანი ერთ-ერთი უმსხვილესი შტოს წარმომადგენელი ფაქტზე დააკავეს.



სპეცოპერაცია გამთენიისას სოფელ წეროვანთან ჩატარდა. უაქციზო სიგარეტის გადამზიდავმა და თბილისის ბაზრების მსხვილმა მომმარაგებელმა თემურ წვერავამ ოსი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან შემოტანილი უაქციზო სიგარეტი „ზილის" მარკის სატვირთო ავტომანქანაში გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ღამით ჩატვირთა. სიგარეტის ყუთებს კი ზემოდან დიდი რაოდენობით ქვიშა დააყარა. ქვიშით შენიღბული უაქციზო სიგარეტი თბილისისკენ გამთენიისას დაიძრა. „ზილს" თემურ წვერავა საკუთარი ავტომანქანით აცილებდა.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 16 ყუთი უაქციზო სიგარეტი „იავა" და 8 ყუთი უაქციზო სიგარეტი „ალიანსი" (სულ 12 ათასი კოლოფი). თემურ წვერავა და მის მიერ დაქირავებული „ზილის" მძღოლი ბექა შეყლაშვილი წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილი. მათ 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

მედიანიუსი

**მადლიერება**

# მანანა შარაშიძის სიცოცხლის სახლი

**ამას წინათ რედაქციაში მანანა შარაშიძის სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები გვეწვივნენ და გვთხოვეს, რომ ჩვენი გაზეთის საშუალებით, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ეთქვათ მადლობა იმ ადამიანისათვის, რომელმაც აღადგინა დაშლილი და დანგრეული სამედიცინო დაწესებულება და ოაზისად აქცია იქაურობა.**

* * *

ამ ცენტრში ყველას ერთი და იგივე რეაქცია აქვს: გაოცება, აღფრთოვანება და მადლიერება.

ჭეშმარიტად, შეიძლება კლინიკა ევროპულ დონეზე გაარემონტო, უახლესი ტექნიკით აღჭურვო, უმაღლესი პროფესიონალებით დააკომპლექტო, მაგრამ ადამიანური გულის სითბო მოაკლო. აქ კი გუნდიც საგანგებოდ შეურჩევიათ, გუნდი, აი, ამ კლინიკის სიმდიდრე და განსხვავებული ნიშანი.

ყველას უნდოდა თავისი მადლიერება გამოეხატა, მაგრამ მხოლოდ ნაწილთან მოვახერხე გასაუბრება.

> **ღმერთის წყალობით, ქალბატონი მანანას ძალისხმევისა და ჩვენი პერსონალის თავგანწირული შრომის შედეგია ის, რომ დედის სიკვდილიანობა საერთოდ არ გვქონია. მე მჯერა, რომ მომავალში ჩვენთან ყველაფერი კიდევ უფრო უკეთესად იქნება.**

**თენგიზ ასათიანი – ცენტრის დირექტორი სამკურნალო დარგში, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეან-გინეკოლოგიის № 2 კათედრის გამგე, საერთაშორისო ექსპერტი:**

– ეს სამშობიარო სახლი 1936 წელს გაიხსნა. აქ ბევრი სახელგანთქმული ექიმი მოღვაწეობდა. ამ ბაზაზე ფუნქციონირებდა და დღესაც ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრა.

დროთა განმავლობაში პირველი სამშობიარო სახლის შენობა დაძველდა, მიწისძვრამ კი საბოლოოდ დააზიანა იგი. ამას ემატებოდა ის, რომ არ იყო გათბობა, ცხელი წყალი, შუქი, თანამშრომლებს არ ეძლეოდათ ხელფასები. შეუძლებელი გახდა ასეთი დაწესებულების ფუნქციონირება და ასეთ გაუსაძლის პირობებში საქმიანობა. 1999 წლიდან, ჩვენთან, პრაქტიკულად პაციენტი აღარ შემოდიოდა. როდესაც დაწესებულებების პრივატიზაცია დაიწყო, თანამშრომლებმა სთხოვეს ქალბატონ მანანას, შეესყიდა სამშობიარო და აემუშავებინა იგი. მანანამ, ბევრი ფიქრის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა მისი ეს გადაწყვეტილება. ვერ წარმომედგინა, ვინმე თუ შეძლებდა ასეთი დანგრეული სამშობიაროს აღდგენას და ამუშავებას. მაშინ, მანანამ მითხრა: – მე ექიმების შვილი ვარ, თავად ექიმი, ასპირანტურაში აქ მოვედი და უკვე 20 წელია აქ ვმუშაობ, მინდა ჩემი მშობლების საქმე გავაგრძელო, მათ საპატივცემულოდ, ქვეყნისათვის და თანამშრომლებისათვის სასიკეთო საქმე გავაკეთო, აღვადგინო დანგრეული კლინიკა და ახალი ევროპული დონის კლინიკა ჩამოვაყალიბოო. ეს ახალგაზრდა ქალისათვის ძალიან თამამი განცხადება გახლდათ. მაგრამ სულ რამდენიმე თვეში მოლოდინმა გადააჭარბა და ჩვენ ულამაზესი, ძალიან თანამედროვე, ევროპული დონის კლინიკა გვქონდა სახეზე. ყოველივე ამას, ქალბატონმა მანანამ დაუღალავი, ენითაუწერელი შრომით მიაღწია, რისი მოწმეებიც თითოეული ჩვენგანი გახლავართ. განცვიფრებული ვართ იმით, რაც მან შეძლო. მოკლედ, ბევრ კარგ ვაჟკაცს გაუჭირდებოდა იმის გაკეთება, რაც მანანამ გააკეთა.

ერთხელ მანანამ მითხრა: – რომ მცოდნოდა, რამდენი შრომა და ენერგია იყო საჭირო ამ კლინიკის შესაქმნელად და შემდეგ ასამუშავებლად, ნამდვილად არ მივიღებდი ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ახლა, უკანდასახევი გზა არა გვაქვს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საუკეთესოები ვიყოთო. ჩემთვის გავიფიქრე, კიდევ კარგი, რომ არ იცოდა, თორემ ასეთი დაწესებულება ხომ არ გვექნებოდა-მეთქი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რაც მანანა ხელმძღვანელობს ჩვენ ცენტრს, პერსონალი თავის კუთვნილ ხელფასს ყოველი თვის ერთიდაიგივე დღეს იღებს. ეს კი ჩვენი სტიმულიც გახლავთ. ჩვენთან ფუნქციონირებს მომავალი დედებისა და მამების სკოლა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი მშობლების ჩამოყალიბებაში. მომრავლდა პაციენტებიც და ყველა კმაყოფილი მიდის ჩვენგან. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონი მანანას დამსახურებაა. კოლექტივიც უდიდეს პატივს სცემს მას და მხარში უდგას. თითოეული ჩვენგანი ცდილობს, რომ თავისი შრომითა და ერთგულებით გამოხატოს მის მიმართ მადლიერება. ჩვენი კოლექტივი ძალიან შეკრულია, ყველას ერთმანეთი უყვარს და ერთმანეთს მხარში უდგას. ესეც ქალბატონი მანანას დამსახურებაა. იგი ყოველდღე გვეუბნება – გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ერთმანეთს.

ღმერთის წყალობით, ქალბატონი მანანას ძალისხმევისა და ჩვენი პერსონალის თავგანწირული შრომის შედეგია ის, რომ დედის სიკვდილიანობა საერთოდ არ გვქონია. მე მჯერა, რომ მომავალში ჩვენთან ყველაფერი კიდევ უფრო უკეთესად იქნება.

– ქალბატონი მანანა ერთი შეხედვით ძალიან მკაცრი ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებს, – ვეუბნები ბატონ თენგიზს.

გეთანხმებით, მკაცრია, მაგრამ ძალიან სამართლიანი. სხვანაირად იგი ვერ შექმნიდა ასეთ ცენტრს და უხელმძღვანელებდა 200-კაციან კოლექტივს. ამავე დროს, ძალიან გულჩვილი და კეთილია. ხშირად სევდიანიც მეჩვენება ხოლმე. მას ადამიანებთან ურთიერთობის უდიდესი ნიჭი აქვს. ყველას ისე ესაუბრება, როგორც ეს მას ეკადრება. კომუნიკაბელურია და ამიტომაც არის კარგი ხელმძღვანელი. მანანა უახლოესი მეგობარია, ძალიან მიყვარს და ვაფასებ მას.

ქალბატონ მანანას ბევრი საზრუნავი აქვს: უზარმაზარი სამედიცინო ცენტრი, სასტუმროები თბილისში და ბაკურიანში, სამეცნიერო შრომა და რაც მთავარია, ოჯახი და მეგობრები. მისი ერთადერთი ქალიშვილი ნინო, მუდამ მოუთმენლად ელის დედის სახლში დაბრუნებას, ხოლო მისი მეგობრები – მასთან შეხვედრას.

**პეტრე ლომაია – სამეანო განყოფილების გამგე:**

– როდესაც ამ ცენტრში მოვედი სამუშაოდ, ჯერ კიდევ რემონტი მიმდინარეობდა.

სხვადასხვა ქალაქში და ბევრ ადამიანთან მიმუშავია, მაგრამ ქალბატონი მანანასნაირი ადამიანი იშვიათად თუ იქნება ვინმე; ნიჭიერი, კარგი ექიმი, კარგი ორგანიზატორი, ადამიანების მოყვარული და სამართლიანი.

ჩვენთან ისეთი სიტუაციაა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში კი არა, უმაღლესი კლასის სასტუმროში გეგონებათ თავი.

ქალბატონი მანანა აქტიურად ერევა პაციენტების მკურნალობაში, საკმარისია ვინმეს რაიმე გაუჭირდეს და ხმალამოღებული იბრძვის, რომ დასჭირდეს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოიძახებს კონსულტანტს. სულ ახლახან ერთ პაციენტს ძალიან გაუჭირდა, ბევრი სისხლი დაკარგა და სხვა კლინიკაში იყო გადასაყვანი. ნათესავები ჩვენ ძალიან გვემადლიერებოდნენ, მაგრამ სხვა კლინიკაში მკურნალობის თანხის გადახდა არ შეეძლოთ და ქალის სახლში წაყვანა გადაწყვიტეს. ეს კი მის სიცოცხლეს ნამდვილად შეიწირავდა. ქალბატონმა მანანამ დატოვა პაციენტი ჩვენ ცენტრში და მთელი კოლექტივი ათი დღის განმავლობაში ვიბრძოდით ამ ქალის გადასარჩენად. გაოგნებულები იყვნენ პაციენტიც და მისი ახლობლებიც. დედაც და ბავშვიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერნენ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონი მანანას დამსახურებაა, იგი 24 საათი ჩვენს გვერდით არის და მართავს სიტუაციას.

ჩვენს კლინიკაში გამოკვლევის მეთოდები და მკურნალობა მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ჩვენთან ასეთი წესია, გაწერიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ პაციენტს რაიმე გაუჭირდა, ვალდებულებას ვიღებთ, რომ მას უფასოდ ვუმკურნალოთ, ეს დიდი მიღწევაა და ისინიც ძალიან კმაყოფილები არიან.

მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ხელმძღვანელთან და ასეთ კოლექტივში მიხდება საქმიანობა. კაცმა უნდა ინატროს ქალბატონი მანანასნაირი ხელმძღვანელი, კოლეგა და მეგობარი.

**ნანა მიქავა – გინეკოლოგიური განყოფილების გამგე:**

– 1968 წლიდან ვმუშაობ ყოფილ I სამშობიარო სახლში. მანანა აქ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა. ჩემს თვალწინ ყალიბდებოდა მანანა როგორც ექიმი და როგორც ხელმძღვანელი. ნამდვილად

> **ქალბატონი მანანა აქტიურად ერევა პაციენტების მკურნალობაში, საკმარისია ვინმეს რაიმე გაუჭირდეს და ხმალამოღებული იბრძვის, რომ დასჭირდეს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოიძახებს კონსულტანტს.**

ვერ გადმოვცემ სიტყვებით იმას, რაც მე გულში მაქვს. ძნელად თუ მოიძებნება მანანასნაირი ადამიანი. მას ხელმძღვანელობის და მეგობრობის უდიდესი ნიჭი აქვს.

მანანამ სამოთხე გვაჩუქა და ჩვენც საკუთარი სახლივით ვუვლით და ვუფრთხილდებით აქაურობას. კარგ პირობებს საყვარელი ადამიანების გარემოც ემატება, სამსახურში ყველას გვიხარია მოსვლა. ფულთან შეხება არა გვაქვს, ანგარიშსწორება, შიდა სტანდარტების მიხედვით, სალარო აპარატის საშუალებით ხდება. ხელფასს დამსახურების მიხედვით ვღებულობთ ყოველ თვეში დროულად. ერთგულებას და შრომას მანანა არავის უკარგავს. მე ძალიან მიყვარს და ვაფასებ ქალბატონ მანანას და ბედნიერი ვარ, რომ მასთან ვმუშაობ და იგი ჩემი მეგობარია.

**თამრიკო ალექსანდრიდი – მიმღების განყოფილების გამგე:**

– მე ვარ ის თანამშრომელი, რომელიც ყველა აქ მოსულ ადამიანს ვიღებ და ვაცილებ. ამიტომ, ჩემთან უფრო იხსნებიან პაციენტები, ვიდრე მკურნალ ექიმთან. ყველა გაოცებულია ჩვენი გარემოთი, რემონტით, სისუფთავით, პერსონალით, მომსახურებით, მკურნალობით. უდიდეს მადლობას უხდიან იმ ადამიანს, ვინც საქართველოში მცხოვრებ ქალებს ასეთი რამ აჩუქა. ქალბატონ მანანას მოთხოვნაა, რომ პერსონალის გარეგნული მხარე შეეფერებოდეს ჩვენი კლინიკის დონეს. კლინიკის გახსნიდან სამი წელიწადი გავიდა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო პოპულარულები ვხდებით. დღეში 40-50 პაციენტი მოგვმართავს. ჩვენს ცენტრში არის დიაგნოსტიკური განყოფილება თავისი ლაბორატორიით, ქალთა კონსულტაცია, სადაც ორსულები აღრიცხვაზე აგვყავს. გვაქვს სამეანო, გინეკოლოგიური, ქირურგიული და სტომატოლოგიური განყოფილებები. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს ქალბატონი მანანა, ძალიან ვაფასებთ მას და უდიდეს პატივს ვცემთ. მან ჩვენ ცხოვრებას ხალისი და სტიმული მისცა და ჩვენც ჩვენს მადლიერებას როგორც შეგვიძლია, ჩვენი შრომით და ერთგულებით გამოვხატავთ.

**დალი ყარყარაშვილი – ბუღალტერი:**

– 32 წელიწადია აქ ვმუშაობ, ამიტომ შემიძლია ობიექტურად შევაფასო რა იყო წარსულში და რა არის ახლა. ყველაფერი ბრწყინავს, პაციენტებისა და თანამშროლებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.

– ჩვენი დედა მოვიდაო, – ასე ეძახიან ამ ახალგაზრდა ქალს თანამშრომლები. ამაზე მეტი დაფასება და აღიარება რაღა უნდა ადამიანს, დედას რომ შეადარებენ. ძალიან მკაცრი და მომთხოვნი დირექტორია, მაგრამ ამავე დროს სამართლიანი, ძალიან გულჩვილი და კეთილი, ყველას ეხმარება. ხშირად გვეუბნება – ეს ცენტრი ჩემი კი არა, ჩვენიაო. მეუღლე რომ გარდამეცვალა, ძალით მომიყვანა სამსახურში და სიცოცხლისკენ შემომაბრუნა. მთელი კოლექტივის სახელით კიდევ ერთხელ, უდიდეს მადლობას ვუხდი მას ყველაფრისთვის, რაც მან ჩვენთვის გააკეთა.

თანამშრომლებთან გასაუბრების შემდეგ პაციენტების შთაბეჭდილებების წიგნი მოვითხოვე, და თამრიკო ალექსანდრიდთან ერთად გადავათვალიერე:

„ნანახმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს გარემო, დახვეწილი გემოვნებით გაკეთებული ყოველი კუთხე-კუნჭული, კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს იმას, რომ არიან მანანა შარაშიძის მსგავსი ქალბატონები, რომლებიც ზრუნავენ ადამიანებზე, ქვეყანაზე, მომავალ თაობაზე და უანგარო საქმიანობით დიდ ადამიანურ მაგალითს აძლევენ ყველას. დიდი მადლობა ამ დიდებულ ქალბატონს ასეთი შესანიშნავი სამყაროს შექმნისათვის".

ამ წიგნში მრავალი ასეთი ჩანაწერია, მაგრამ ყველას აქ მოტანა შეუძლებელია. მეც დიდი მადლიერების გრძნობით ავივსე ამ ახალგაზრდა ქალბატონის მიმართ, რომელმაც მთელ საქართველოს აჩუქა ასეთი კლინიკა და დღემდე არ ზოგავს თავს, ენერგიას და ჯანმრთელობას იმისათვის, რომ პაციენტი და თანამშრომელი კმაყოფილი იყოს. მართლაც, ყველა მადლიერია მისი და საქვეყნოდ უნდათ მადლიერების გამოხატვა.

* * *

**წამოსვლისას, კიბეებზე სიხარულით გაბრწყინებული მამა შემხვდა, რომელსაც ის იყო, ახალი სიცოცხლის დაბადება აუწყეს. მეც მივულოცე.**

**დაე, მუდამ ეზეიმოს სიცოცხლეს მანანა შარაშიძის სიცოცხლის სახლში.**

**მარი დადეშქელიანი**

## ხსოვნა

### დავით დევდარიანი



ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი დააკლდა – გარდაიცვალა **დავით დევდარიანი** – ადამიანი, რომელმაც ტკივილით აღსავსე ცხოვრება განვლო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი სიწმინდე და მაღალი ადამიანური ღირებულებები.

დაიბადა 1927 წელს ქ. თბილისში ცნობილი საზოგადო მოღვაწის გაიოზ დევდარიანის ოჯახში, რომელიც გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი გახდა. რეპრესირებულ იქნა დედაც – ქალბატონი ნინო. მიუხედავად ასეთი ბედუკუღმართობისა, ბატონმა დავითმა რვაწლიანი განათლების შემდეგ წარმატებით დაამთავრა თბილისის საავიაციო ტექნიკუმი და 1956 წლამდე სხვადასხვა ობიექტებზე იმუშავა. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1961 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იურისკონსულტის თანამდებობაზე. 45 წელი ილვაწა ბატონმა დავითმა ქვეყნის ამ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც უაღრესად კეთილშობილმა და სიკეთით აღსავსე პიროვნებამ.

ბატონი დავითი ათეული წლების მანძილზე სათავეში ედგა სპის სამართლის კათედრას და თავისი მაღალი კომპეტენციით ყველაფერს აკეთებდა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის მიმართულებით, განსაკუთრებით ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. იგი მრავალი შრომის ავტორია საინჟინრო სფეროში უსაფრთხოების, ტექნიკისა და შრომის დაცვის სამართლებრივ ასპექტებზე. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იურისტის წოდება.

ბატონი დავითი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან რამდენიმე საპროტესტო წერილით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და რუსეთის პრეზიდენტს, სადაც პირუთვნელად ამხელდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საქმეში დამნაშავე ძალებს და მოითხოვდა არსებული ვითარების ობიექტურ საერთაშორისო სამართლებრივ შეფასებას.

წავიდა ჩვენგან უწყინარი და ჩუმი ადამიანი, ღირსეული მამულიშვილი და ინტელიგენტი პიროვნება, რომლის სახელი დიდხანს იცოცხლებს მის მეგობრებსა და კოლეგებში.

მშვიდობით, ბატონო დავით.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-96-32;**

**899 328576**

ლეილა, ჯუმბერ, გურამ კვიკვინიები იუწყებიან თამარ (თალიკოძ გოგინავა-იოსავას გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის 1987 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

გივი გეწაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტთან არსებული

## ნატიფი ხელოვნების სკოლა

სასწავლებლად იწვევს საშუალო სკოლის 9-კლასდამთავრებულ მოსწავლეებს.

სკოლა განათლების რეფორმის შესაბამისად 3-წლიანია – X, XI, XII კლასი.

სკოლის მიზანია:

1. ზოგადსაგანმანთლებლო აუცილებელ საგნებთან ერთად აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების ისეთი დარგების საფუძვლებს, როგორიცაა:

**არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, დიზაინი, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორია.**

2. შეასწავლოს სპეციალობები:

**არქიტექტურული მარკეტინგი, არქიტექტურული კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული ფოტოხელოვნება, გობელენი, თექა, ბატიკა, ხეზე დეკორატიული ჭრა.**

შეფასების ეროვნული ცენტრის მოთხოვნათა შესაბამისად ნატიფი ხელოვნების სკოლის მოსწავლეები სრულად გაივლიან აბიტურიენტთათვის სავალდებულო კურსს შემდეგ საგნებში:

**ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსულიძ, მათემატიკა, ხატვა, ფერწერა, ხაზვა.**

სკოლის დამთავრების შემდეგ გაიცემა საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების სახელმწიფო ატესტატი და მიღებული სპეციალობის შესაბამისი სერტიფიკატი.

**სკოლასთან გახსნილია უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები ხატვასა და ხაზვაში.**

**ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართზე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, I კორპუსი, ს. ჩიქოვანის №1 (ყოფილი ხილიანის ქ.ძ**

**ტელ: 33-52-68, მობ: 899 51-48-19, 893 91-19-61.**

## ტელევიზია

## 17 ივნისი

**იმედი**

09.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 09.15 ანიმაციური ფილმი: კომპიუტერული გენიოსები; 10.05 რაო რაო?; 10.15 12 მტრედი; 11.35 დილის ფოსტა; 12.20 იმედითა შენითა; 12.40 TV-მარკეტი; 13.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 13.10 მხ/ფილმი: მთიელი; 15.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 15.10 სერიალი: ცოდვის ფერი (Uძ; 16.15 TV-მარკეტი; 16.30 უცნობი საქართველო; 17.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 17.10 ნაბიჯი ჯანმრთელობისაკენ; 18.00 ეტალონი; 19.10 სერიალი: ცოდვის ფერი (Uძ; 20.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 20.55 ქართული სერიალი: საპონი (Uძ; 21.55 ინდუსტრია შოუ;



23.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 23.15 მხ/ფილმი: საიდუმლო აგენტები (მ. ბელუჩიძ (15ძ მხატვრული ფილმი; 01.00 ქრონიკა – საინფორმაციო გამოშვება; 01.10 მხ/ფილმი: განვიხილოთ ჰარის ცხოვრება (ვ. ალენიძ (15ძ მხატვრული ფილმი; 02.45 მხ/ფილმი: მთვარის სხივის მანძილზე (დასტინ ჰოფმანიძ (Uძ მხატვრული ფილმი; 04.35 მხ/ფილმი: მთიელი 06.25 იმედის მელოდიები. მუსიკა.

**რუსთავი-2**

08.00 კლასიკა; 09.00 კურიერი; 09.20 მულტფილმი „რეინჯერები“; 11.00 საბ. ფილმი „დინოტოპია“; 12.00 კურიერი; 12.20 გაიღიმეთ ფარული კამერაა; 13.10 მხ. ფილმი „ქორწილი“; 15.00 კურიერი; 15.20 სერიალი „სიამაყე“; 16.30 სერიალი „ანდრომედა“; 17.00 მსოფ. ჩემპიონატი-2006: პორტუგალია-ირანი; 19.00 ბი-ბი-სი; 19.40 კანდიდატი; 21.00 კურიერი; 22.00 შაბათის შოუ; 23.00 ჯეობარი, პირდაპირი ეთერი; 01.00 მხ. ფილმი „სიყვარული ვენახში“; 01.40 მხ. ფილმი „საშობაო ღვეზელი“; 03.20 კურიერი; 03.40 მხ. ფილმი „მილიონები“.

**მზე**

09.00 მუსიკა; 09.40 ანიმაცია; 10.00 ქართული მულტფილმი; 10.20 უცხო სუნელი; 11.00 საქართველოს ისტორია; 11.30 სერიალი „კარაბინერები“; 12.30 გადაცემა „მედი“; 12.50 ქართული მხ.ფილმი „ჭირვეული მეზობლები“; 14.00 მზერა; 14.15 ქართული მხ. ფილმი „ჭირვეული მეზობლები“ (გაგრძძ; 15.00 დოკ. სერიალი „მყვინთავის დღიურები“; 15.30 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; 17.00 მზერა; 17.15 მულტფილმი „ალისა საოცრებათა სამყაროში“; 18.30 ბასტი-ბუბუ; 19.00 ანსამბლი „სიმი“; 20.00 მზერა; 20.30 ინდური მხ. ფილმი „საბედისწერო შეცდომა“; 23.30 მხ. ფილმი „მონანიება“.




**საზოგადოებრივი არხი**

08.00 მოამბე; 08.15 დოკ. ფილმი „მითხარი როგორ“; 08.45 მომავლის ცირკი; 09.25 სერიალი „სკოლის შემდეგ“; 09.40 ანიმაცია „ჯაშუშები“; 10.05 სერიალი „მეოცნებე ბიჭი“; 10.15 „ჰოლმარკი“: სერიალი „მაიმუნების მეფე“; 11.15 ქართული ანიმაციური ფილმი „მოგზაურობა ისტორიაში“; 11.30 დოკ. ფილმი „ხელოვნება და სტილი“; 12.00 მოამბე; 12.10 ბენი ჰილი; 12.40 მხ. ფილმი „ღვთაებრივი სიგიჟე“; 14.30 ტელესპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“; 15.00 მოამბე; 15.15 ტელესპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“; 15.30 ფორმულა – (კვალიფიკაციაძ (დიდი ბრიტანეთიძ; 16.30 სასამართლო დარბაზი; 17.00 ტელესერიალი „მეგობრები“; 17.30 შენობები გვახსენებენ; 18.00 მოამბე; 18.30 ქართული მხ. ფილმი „სერენადა“; 19.00 არენა „მსოფლიო ჩემპიონატი-2006“; 20.00 ფეხბურთი – ჩეხეთი-განა (I ტაიმიძ; 20.50 მუსიკა; 21.00 ფეხბურთი – ჩეხეთი- განა (II ტაიმიძ; 21.50 არენა – „მსოფლიო ჩემპიონატი-2006“; 22.00 „მოამბე“ – საინფორმაციო გამოშვება; 23.00 ფეხბურთი – იტალია-აშშ (I ტაიმიძ; 23.50 მუსიკა; 00.00 ფეხბურთი – იტალია-აშშ (II ტაიმიძ; 00.50 არენა – „მსოფლიო ჩემპიონატი-2006“; 01.45 მხ. ფილმი „ტუვალუ“.

**აჭარა**

08.45 მულტფილმი; 10.00 მხ. ფილმი „ჰუძონელი ქორი“; 11.30 გადაცემა „შესანიშნავი შვიდეული“; 12.00 რეჟისორ ზ. კაკაბაძის ბენეფისი; 15.00 ფრანგული თეატრი; 17.30 ახალი ამბები; 17.50 გადაცემა „სხვა როლი“; 18.10 გადაცემა „რეტრომობილი“; 18.45 გადაცემა „უმაღლესი კლასი“; 19.30 გადაცემა „შესანიშნავი შვიდეული“; 20.30 ახალი ამბები; 21.00 დოკ. ფილმი; 21.30 საოჯახო ლოტო; 22.15 ქართული კინო; 00.00 ახალი ამბები; 00.15 მხ. ფილმი „ცხრანახევარი კვირა“.

## მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შპს „არბიტრაჟის“ დებულება

მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შპს „არბიტრაჟის“ 100-პროცენტიანი წილის მქონე დამფუძნებელმა დიმიტრი ალექსიძემ 1.06.06 წელს მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცებულ იქნას მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შპს „არბიტრაჟის“ დებულებად ჟურნალ „ადვოკატ მეოხის“ 2005 წლის სპეციალურ გამოშვებაში გამოქვეყნებული „მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „თემიდას“ დებულება შემდეგი ცვლილებებით:

1. დებულების ტექსტში დასახელება „თემიდა“ შეიცვალოს დასახელება „არბიტრაჟით“ და მისამართად მიღებულ იქნას ქ. თბილისი, კოსტავას 44, ბინა 15.

2. მუხლი 5-ის პუნქტები: 6; 6[1] და 7; მუხლი 7-ის პუნქტი 3; მუხლი 8-ის პუნქტი 5 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 5. პუნქტები 6; 6[1] და 7.

პუნქტი 6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ქონებრივ დავებზე დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 0,5-დან 5 პროცენტამდე დამოკიდებული დავის ღირებულების ოდენობაზე.

პუნქტი 6[1]. საარბიტრაჟო მოსაკრებლის პროცენტულ ოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟის თავმჯდომარე, რომელსაც არა აქვს უფლება საარბიტრაჟო მოსაკრებლის პროცენტული ოდენობა განსაზღვროს 0,5 პროცენტზე ან 100 (ასიძ ლარზე ნაკლები თანხით.

პუნქტი 7. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა იყოს 100 (ასიძ ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 10000 (ათი ათასიძ ლარს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე არბიტრაჟის თავმჯდომარეს უფლება აქვს დააწესოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობად დავის საგნის 3 პროცენტი მიუხედავად მისი გადამეტების 10000 (ათი ათასიძ ლარზე.

მუხლი 7-ის პუნქტი 3.

პუნქტი 3. საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენისას და მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემისთანავე, თუ კი ამაზე თანახმა არის ორივე მხარე, რადგან, თანახმად კანონის „კერძო არბიტრაჟის“ შესახებ მე-18 მუხლის თანახმად: „1. საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები“.

მუხლი 8-ის მე-5 პუნქტი.

პუნქტი 5. საარბიტრაჟო უწყება მიღებულად ითვლება თუ მისი ჩაბარებისას დაცულია ს.ს.ს. კოდექსის 70-78 მუხლის მოთხოვნები.

დებულება მიღებულად ითვლება პრესაში გამოქვეყნებისთანავე.

**დამფუძნებელი დ. ალექსიძე.**

**14.06.2006 წ.**

## განცხადება

### *სს „გორკონის“ აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ*

სს „გორკონის“ დირექცია იწვევს სს „გორკონის აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 10 ივლისს, 12 საათზე, ქ. გორში, შინდისის გზატკეცილ №17-ში.

დღის წესრიგი:

1. 2005 წლის წლიური ანგარიში:

აქ წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშებთან ერთად;

2. გენდირექტორის ანგარიშების დამტკიცება;

3. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე დანიშნულია 2006 წლის 10 ივლისს;

4. სხვადასხვა.

აქციონერებს კრების ჩატარების 10 დღის განმავლობაში შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება საქართველოს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან „კომპანია ცენტრი“. მისამართი: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. №24.

დღის წესრიგის საკითხების თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „გორკონის“ დირექციაში.

**სს „გორკონის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

## მეცნიერების საიხლენი

# როდის მთავრდება თაფლობის თვე

**სოციოლოგთა მტკიცებით, ცოლ-ქმარი ყველაზე ძლიერ გრძნობებს ერთად ცხოვრების პირველ წლებში განიცდის; შვილები რომ უჩნდებათ, ემოციები სუსტდება, ხოლო როცა წამოჩიტული პირმშონი მშობლების კერას ტოვებენ, სიყვარული ახალი ძალით იფეთქებს.**



მკვლევართა ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ამერიკული ნებრასკის უნივერსიტეტის სოციოლოგი ჯოდი ვან ლანინჰემი. ოჯახურ წყვილთ 11 შეკითხვაზე შესთავაზეს პასუხის გაცემა, მაგალითად, ასეთებზე: „როგორია თქვენი აზრი ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებებში სიყვარულისა და შეთვისების მიმართ?“, „როგორ აფასებთ თქვენს სექსუალურ ურთიერთობებს“? და ასე შემდეგ.

შედეგები მოწმობენ, რომ წლებთან ერთად ოჯახური წყვილები სულ უფრო ნაკლები დადებითი ემოციებით არიან დამუხტულნი. გამოკითხვები ხუთ ეტაპად ტარდებოდა – 1980, 1983, 1988, 1992 და 1997 წლებში. 1980 და 1983 წლებში შეიმჩნეოდა არნახული მაღალი დონე განქორწინებებისა. სამაგიეროდ, 1988-1997 წლების მონაცემებით ცოლ-ქმრული ბედნიერების ცოტა უკეთესი სურათი გამოიკვეთა.

მრავალ წელს ეწეოდა დაკვირვებებს დებრა ამბერსონის ხელმძღვანელობით მომუშავე სოციოლოგთა მეორე ჯგუფი ოსტინში ტეხასის უნივერსიტეტიდან. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქორწინებაში ბედნიერების შეგრძნება დროსთან ერთად ფერმკრთალდება და იკარგება. ამ შემთხვევაში სპეციალისტები ითვალისწინებდნენ არა მარტო ერთად ნაცხოვრები წლების რაოდენობას, არამედ შეუღლებული წყვილების ასაკსაც. გამოირკვა, რომ ხანდაზმული ადამიანები ოჯახურ ცხოვრებაში მეტ დადებით ემოციებს იღებენ, რამდენადაც ვნებათა ბიზგიზი იმათ დამოკიდებულებაში მინავლდა და ერთმანეთის დაფასება ისწავლეს. მიუხედავად იმისა, რომ შვილების გამოჩენა, ერთობლივი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს ქმარა და ცოლს შორის ურთიერთდამოკიდებულებებზე, შემდგომ, როცა პირმშონი თავიანთ გზას ეწევიან, მოხუცებულ მეუღლეთა გრძნობები ძლიერდება.

ქორწინებაში „რჩებიან“ ის ამერიკელები (ასეთები 94 პროცენტს შეადგენენ), ვინც 65 წლამდე ერთხელ მაინც მოასწრო ოჯახის შექმნა. გარდა ამისა, უშვილო ოჯახური წყვილები მოწიფულ ასაკში უფრო იშვიათად იყრებიან, ვიდრე იმათი თანატოლები, ვინც შვილები გამოზარდა.

**როჯერ დოილი, აშშ.**

## რაც თვალს არ გამოეპარა

# წკიპურტები

### „წადით, წადით!!!“

**როგორც ამბობენ, ამჟამად უცხოეთში საარსებო წყაროს მოსაპოვებლად 1,5 მილიონი კაცია წასული. საქართველოსავით პატარა ქვეყნისთვის ეს ციფრი წარმოუდგენლად დიდია, მაგრამ...**

საარსებო წყაროს მოპოვება სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარად ესმის. ზოგი მიიჩნევს, რომ პური არსობისა საკუთარი ოფლით უნდა მოიპოვოს. სხვებს იქედნურად ელიმებათ: საკმარისია ხელის სისწრაფე და ყველაფერი შენია, რაც კი ცუდად დევს. სწორედ ამიტომ მაინცდამაინც კარგი წარმოდგენა აღარ აქვთ ჩვენზე გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, ჩეხეთში... ერთი სიტყვით, თითქმის ყველგან, სადაც ქართველმა კაცმა ფეხი შეადგა. ინგლისში საქმე იქამდე მივიდა, რომ მიგრანტებს მთავრობა 3 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, ოღონდ თავიდან მოგვშორდითო...

მაგრამ არის სხვა გამონაკლისიც, როცა მიგრანტებს ფინანსურ დახმარებას უწევენ, რათა ქვეყანაში სიმშვიდე იყოს, არ აღზევდეს ქურდობა, ბანდიტობა და ყაჩაღობა. ვიცნობ მძღოლს, რომლის შვილები რუმინეთში ცხოვრობენ და გვარიან შემწეობასაც იღებენ.

ეს უცხოეთში. ჩვენში როგორ არის საქმე? გაძვირებული გაზისა და ელექტროენერგიის შეღავათებს მიიღებენ ის ოჯახები, ვისაც არა აქვს ტელევიზორი, მაცივარი, მტვერსასრუტი, სარეცხი მანქანა, ჭაღი და, წარმოიდგინეთ, კბილის ჯაგრისი. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: გვინდა კი ასეთი ოჯახები? ან იქნება იმ ქვეყანაში სიმშვიდე და პატიოსნება, სადაც ხელისუფლება ასეთი ოჯახების ვითომ დახმარებას აპირებს?

### განწყვიტხაობის ბრალდება

**თავისუფლების მოედანზე დღეს მშენებლობის ბუმია. დიდი ხანია, მწყობრში ჩადგა „ქორთიარდ მარიოტი“, ახლა თავისუფლების ქანდაკებას ამონტაჟებენ, იქით, ძველი პოლიკლინიკის ადგილზე კიდევ რაღაც ახალი შენდება.** ცოტა ქვემოთ ჩაინაცვლებთ და ამ გიგანტურ მშენებლობათა ფონზე თვალში შეგეჩხირებათ დაფხავებული შენობა, რომელსაც ერთ მხარეს სახურავი უკვე ჩამონგრევია. მინებჩამტვრეული ფანჯრებიდან მარტოობის სიცივე იმზირება.

ეს ჩვენი ყოფილი კოლეგის დავით ბუზუკაშვილის სახლია. ცხონებულმა, აქ დალია სული, სასურველი თანხა არ შეაძლიეს, ამიტომ სხვაგან გადასვლა არ ინება. სახლი კი დგას, როგორც უგულობის, განუკითხაობის ბრალდება.

როდემდე იდგმება? რომელს უფრო ძლიერი ნერვები აღმოაჩნდება, „ბუზუკაშვილის სახლს“ თუ ქალაქის მერიას?

### „ცხოვრებავ, მართლა ოხერო...“

**როგორც ამბობენ, ბულგარელმა ნათელმხილველმა ვანგამ იწინასწარმეტყველა, სესერეკა ოცდამეერთე საუკუნის პირველ მეოთხედში აღსდგებაო. სასწაულები რომ ხდება, კი ვიცით, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარი მხოლოდ მაცხოვარი ჩვენი – იესო ქრისტე გვახსოვს – ბევრი ეცადა სესერეკას იდეური გელადი, კომპარტია, მაგრამ ღმერთის მაგივრობა ვერა და ვერ შეასრულა.**

როცა დღევანდელ ხელისუფალთა ზოგიერთ ნამოქმედარს ვაანალიზებ – განსაკუთრებით სოციალურ სფეროში, ლამის ვანგას წინასწარმეტყველება დავიჯერო, ვინაიდან ოფიციალურად აღრიცხულ თითქმის 300 ათას კაცს ნაგავში ქექვა მოზეზრდა! ყოველწლიურად 20-25 ათასი კაცი სამუშაოს კარგავს და ხელებს უმწეოდ შლის – „ცხოვრებავ, მართლა ოხერო, ნეტავ, საიდან მოხველო?“

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ბევრს სესერეკა მოენატროს?

### პრეზიდენტს აქეთ ხომ არ ჩამოყვლია?

**ჩამოიარა, სახალხო ბანკთან შეჩერდა და აღშფოთებულმა იკითხა, ამ პატიოსან ხალხს პენსიის რიგში რატომ აყენებთო? რატომ და ყველა ერთად მოდისო. თქვენც ადექით და ზოგიერთს შინ მიართვითო.** ოდესღაც ხომ სწორედ ასე იყო – პენსიები სახლში მოჰქონდათ! მერე ინკასატორების დაყაჩაღება დაიწყეს და ამ „პროგრესულ“ მეთოდზეც უარი ვთქვით. ეტყობა, ახლა ინკასატორებს აღარაფერი ემუქრებათ, ამიტომ მშვიდად ივლიან სადარბაზოდან სადარბაზოში და დაარიგებენ 33-33 ლარს!

– ეს დალოცვილი, იმაზე მაინც აღშფოთებულიყო, ასე მცირე პენსიებს რატომ აძლევთო, თორემ, ფული იყოს და, რიგში დგომას როგორმე ავიტანთ, – ამბობენ „უმადური“ პენსიონერები.

„მოდი და ჰქენი სიკეთე, როცა ამდენი ცრუაო“.

### კოცრის ქყრდმა იანვარში დაიკვეხა?

**„შევარდნაძემ ყველანი გაგვაცუცურაკა“ – განაცხადა ერთ-ერთ გაზეთში თავის დროზე შევარდნაძის გარემოცვის უაქტიურესმა წევრმა ავთანდილ მარგიანმა და გადმოალაგა ერთმანეთზე უარესი ბრალდებები – ზოგი ცნობილი, ზოგი უცნობი. ერთი სიტყვით, ყოფილი წინამძღოლი „ზურგზე დასცა“.**

არა მგონია, რომ ამით ავთანდილ მარგიანის სახელს რაიმე მიემატა. პირიქით. ტყუილად ხომ არ ამბობენ, ჩხუბის შემდეგ ხელებს აღარ იქნევენო. ყველაფერი ჩავლილია, ბატონო ავთანდილ, თქვენ კი მხოლოდ ახლა გავაპკაცდით.

სირცხვილია...

**გუჯა რთველაძე**

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 17 ივნისს



**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +29⁰, ღამით +15⁰ – +19⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +28⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

**თბილისში –** ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +19⁰, დღისით +29⁰.

**ბათუმი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +24⁰; **სოხუმი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +26⁰; **ქუთაისი** – ღ. +20⁰, დ. +24⁰, **ოზურგეთი** – ღ. +17⁰, დ. +26⁰, **ზესტაფონი** – ღ. +18⁰, დ. +29⁰; **რუსთავი** – ღ. +19⁰, დ. +29⁰, **ფოთი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +27⁰; **მესტია** – ღ. +14⁰, დ. +19⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +20⁰; **თელავი** – ღ. +20⁰, დ. +30⁰; **გორი** – ღ. +16⁰, დ. +25⁰; **ახალციხე** – ღ. +14⁰ დ. +23⁰; **ბორჯომი** – (წვიმა) ღ. +15⁰, დ. +24⁰; **ცხინვალი** – ღ. +12⁰, დ. +25⁰; **სამტრედია** – (წვიმა) ღ. +19⁰, დ. +27⁰; **ზუგდიდი** – (წვიმა) ღ. +17⁰, დ. +25⁰; **ჭიათურა** – (წვიმა) ღ. +17⁰, დ. +25⁰.

## ლარის კურსი

### 17 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2920 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7760 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2480 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0658 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9815 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0,4219 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5506 ლარი |

## მოდა

# მხოლოდ თქვენს ფეხქვეშ...

## ზაფხული და ფეხსაცმელი






**ყოველი ქვეყნის კულტურა ქალის სილამაზეს სხვადასხვანაირად აღიქვამს – თუ იაპონელი გეიშები პატარ-პატარა ნაბიჯებს დგამენ, ესპანელი ლამაზმანები ფლამენგოს სტილში დადიან, სიარულის მანერას კი, ძირითადად, ფეხსაცმელი (მაღალქუსლიანი, დაბალქუსლიანი, სპორტული და ა. შ) განსაზღვრავს, რომელსაც შეუძლია სიარულის მანერა რადიკალურად შეცვალოს.**

განსაკუთრებული ყურადღება ფეხსაცმელს ზაფხულში ექცევა – გაითვალისწინეთ, ჩაცმულობაზე ზრუნვა უპირველესად, ფეხსაცმლის შერჩევით უნდა დაიწყოთ...

2006 წლის ზაფხულს ქალები კვლავ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით შეხვდნენ. ერთდროულად მოდურია, როგორც წვრილი, ასევე განიერი ქუსლები, რომლის სიმაღლე 3 სმ-დან 12-14 სმ-მდე მერყეობს. მოდის ექსპერტებმა ამ სეზონის საზაფხულო ფეხსაცმელს პროვოკაციული უწოდეს.

წლევანდელი ფეხსაცმლის მოდის აღმოჩენა აფრიკული სტილია, რომელიც ბევრმა დიზაინერმა აიტაცა. განსაკუთრებული ორიგინალობით კი, ძვირფასი ქვებით გაფორმებული, ეგზოტიკური ფეხსაცმლები გამოირჩევა, რომელიც შეიძლება ითქვას, მოდის უკანასკნელი გამოძახილიცაა. აღსანიშნავია, რომ თითქმის აღარ გვხვდება ლითონის შესაკრავები, ბალთები. ასევე, მოდურია წვრილი მძივებით (ბისერებით) შემკული ყველანაირი საზაფხულო ფეხსაცმელი, და აქტუალურია გრძელი თასმები.

ეთნიკური მოტივებიდან ბერძნული დომინირებს. ბევრმა წამყვანმა დიზაინერმა ფეხსაცმელი სწორედ ძველ ბერძნულ სტილზე შექმნა, ოღონდ მაღალი ქუსლით.

პლატფორმის წინააღმდეგ ზოგიერთი დიზაინერის ბრძოლის მიუხედავად, იგი კვლავ მოდურია. ძირითადად, საზაფხულო ფეხსაცმელი მყვირალა ფერებში არის გადაწყვეტილი, წინა პლანზე წამოიწია მაქსიმალურად ღია ფეხსაცმელმა – დიზაინერებმა აქცენტი აფრიკულ და ლათინურ სტილზე გააკეთეს. ამჯერად გუჩი ნაზი, ფაქიზი ფერების ფეხსაცმელს ანიჭებს უპირატესობას, პოლინი – ყვავილებს, თუმცა, კლასიკურ სტილსაც არ ივიწყებს, ბალდონინი – ფერადს და მხიარულს, ვალენტინო კი ძირითადად – ფირუზისფერს და ყვითელ ტყავს იყენებს... ასე რომ, სასურველი დიზაინისა და ფერის ფეხსაცმლებს ამ სეზონისთვისაც მოდელიერები უხვად გვთავაზობენ, არჩევანი კი თქვენზეა, მთავარია, მასში თავი კომფორტულად და ელეგანტურად იგრძნოთ.

**ლელა დონაძე**

**სურათებზე: ფეხსაცმლის მოდელები ამ სეზონისთვის.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.